გუშინ ენერგოსისტემა "ნულზე დაჯდა" A2

პარიზი! "დისნეი-ლენდი!" B1

ავტომობილი B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 1 ივნისი, 2004 წელი. №128 (677)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### დიდი სტუმრიანობა ქუთაისში

გუშინ ქუთაისში პარლამენტარების დიდი სტუმრიანობა იყო. რწმუნებულის მოწვევით ქალაქში ადგილობრივი დეპუტაცია და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ჩამოვიდა.

A2

## პოლიტიკა



### საქართველოს პრეზიდენტის განცხადება

"საქართველო სახელმწიფოა და მას თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესები აქვს. თავისი საზღვრები და ეკონომიკური სისტემა, რომელსაც ბოლომდე დავიცავთ,"

A3

## უცხოეთი

### ერაყი - კოალიციის განხეთქილების დასაწყისი?



ახლოვდება დრო, როდესაც ერაყის მმართველობა ადგილობრივ მთავრობას უნდა გადაეცეს. ამავდროულად, ერაყის ომი აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში იმ განმსაზღვრელ საკითხს წარმოადგენს, რომლის წყალობითაც ჯორჯ ბუშს თეთრი სახლის დატოვების პერსპექტივა აქვს.

A5

## საზოგადოება

ცხოვრება



უსტაბაში

ირაკლი ბერიაშვილი

### ვეცემი მზეზე

A6

## სამართალი

### ბიუჯეტი და მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა

პარლამენტის მიერ დამტკიცებული საერთო სასამართლოების ბიუჯეტით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ვთქვათ - საქართველოში ხელისუფლებას სასამართლოები პრიორიტეტულად აღარ მიაჩნია.

A7

## თორმეტამდე

დღეს ყველა ბავშვი ზოოპარკში უნდა წავიდეს. გაზეთი "თორმეტამდე" დღეს ერთი წლის ხდება. იქ პირველ საათზე საჰაერო ბუშტი აფრინდება და პარიზის დისნეი ლენდისკენ გაფრინდება.

B1

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 27 | მზიანი |
| ქუთაისი | 24 | წვიმა |
| ბათუმი | 23 | წვიმა |
| სოხუმი | 21 | წვიმა |
| ფოთი | 22 | წვიმა |
| თელავი | 26 | მზიანი |
| ზუგდიდი | 24 | წვიმა |
| გორი | 23 | ღრუბლიანი, მზე |
| ახმეტა | 26 | ღრუბლიანი, მზე |
| ჭიათურა | 23 | წვიმა |
| გაგრა | 17 | წვიმა |
| სამტრედია | 24 | წვიმა |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9200 |
| ევრო | 2.3570 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5293 |
| რუბლი | 0.0662 |

# საქართველოში ულტიმატუმების აღარ ეშინიათ

სოფო ბუკია

*საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დამატებითი ძალების მობილიზება მოხდა. შინაგანი ჯარის ნაწილები განლაგდნენ კონფლიქტის ზონის იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ქართული მხარე აკონტროლებს. ამის მიზეზი ქართული ბლოკ-პოსტების გაუქმების შესახებ ოსური და რუსული მხარეების მიერ მიღებული გადაწყვეტილება გახდა.*

**"ჩქარა ჩაალაგეთ, ჯარი მოდის, ომი იწყება,"** - ამ სიტყვებით გუშინ "ერგნეთის" ბაზრობიდან მოვაჭრეები აიბარგნენ.

საქართველოს ჩრდილოვანი ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი მკვებავი არტერია, საიდან შემოსული კონტრაბანდაც საქართველოს ბაზრის 30 პროცენტს ფლობს, გუშინ თავისი არსებობის მანძილზე პირველად დაცარიელდა. ორ დღეში საქართველოში კონტრაბანდის უმნიშვნელოვანესი წყარო ოფიციალურად შეწყვეტს არსებობას.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ გუშინ დილით მოწვეულ თათბირზე ცხინვალში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის მოვალეობის შემსრულებელმა სვიატოსლავ ნაბზოროვმა იმ ქართული ბლოკ-პოსტების გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო, რომლებიც ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობს (ერედვი, ტყვიავი, ნიქოზი და ფხვენისი). ნაბზოროვმა აღნიშნა, რომ თუ ქართული მხარე ბლოკ-პოსტებს ნებაყოფლობით არ გააუქმებს, მათ ძალის გამოყენებით აიღებენ.

გაგრძელება A3 გვერდზე



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

# "ნაციონალებისა" და "რესპუბლიკელების" გზები გაიყო

თამარ მჭედლიშვილი

*აჭარაში პოლიტიკური სკანდალი მწიფდება. გუშინ ცნობილი გახდა, რომ დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს რამდენიმე წევრმა თანამდებობები დატოვა. მათ შორისაა საკანონმდებლო ცვლილებებისა და რეფორმების კომისიის თავმჯდომარე თამაზ დიასამიძე, კულტურისა და განათლების კომისიის თავმჯდომარე ელგუჯა მაკარაძე, ეკონომიკისა და ფინანსთა კომისიის თავმჯდომარე ედუარდ ფუტკარაძე და ხელვაჩაურის რაიონის გამგებელი მურმან დუმბაძე. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თანამდებობაზე უარის თქმას აპირებს ბათუმის მერი ედვარდ სურმანიძეც. დაძაბულია ურთიერთობები "ნაციონალურ მოძრაობასა" და "რესპუბლიკურ პარტიას" შორის, რის გამოც "რესპუბლიკელები" აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას დამოუკიდებლად გეგმავენ. როგორც ჩანს, აჭარის არჩევნები პოლიტიკურ ძალთა შორის გავლენის სფეროების ახალი გადანაწილების მიზეზი ხდება.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# ნავთობბიზნესი და ფინანსური ნაკადები

*საერთაშორისო ბაზარზე ენერგეტიკულ რესურსებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად, განუხრელად იზრდება სპარსეთის ყურის ექსპორტიორი ქვეყნების მნიშვნელობა. რეგიონში განთავსებულია მსოფლიოში არსებული, დადასტურებული ნავთობისა და გაზის მარაგების ორი მესამედი და მას იდეალური გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს ორივე - დასავლეთის და აღმოსავლეთის - მზარდ ბაზართან მიმართებაში. ამ ბაზრებისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების ენერგეტიკული რესურსების ალიანსი წარმოშობს უდიდეს ფინანსურ ნაკადებს, რომლებიც ქმნის როგორც ბიზნესის განვითარების უდიდეს პერსპექტივებს, ისე სერიოზულ საფრთხეებს საერთაშორისო სტაბილურობისა და უსაფრთხოებისათვის. გლობალურ საერთაშორისო გარემოში ეს საფრთხეებიც გლობალურ ხასიათს ატარებს და მათი თავიდან აცილება პოზიტიურ ძალთა გაერთიანებას მოითხოვს. ამ კონტექსტში უნდა იყო განხილული საერთაშორისო ანტიტერორისტული კამპანია და მასში საქართველოს მონაწილეობა.*

ლიანა ჭერვალიძე

თანამედროვე მსოფლიოს სტაბილურობის და განვითარების პერსპექტივები ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა მიმართულებით განვითარდება პროცესები სპარსეთის ყურეში და მთლიანად შუა აღმოსავლეთში.

ამ რეგიონის განსაკუთრებულ მნიშვნელობას საერთაშორისო სტაბილურობისა და განვითარებისათვის რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს:

- რეგიონში განთავსებულია მსოფლიოში არსებული დადგენილი ნავთობისა და გაზის რეზერვების ორი მესამედი;
- რეგიონს იდეალური გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის მზარდ ბაზრებთან მიმართებაში
- მსოფლიო დადგენილი ენერგეტიკული რესურსების ამ ორ მესამედს აკონტროლებს 1973-74 წლების დროს მომხდარი ნაციონალიზაციის შემდეგ წარმოქმნილი რამდენიმე სახელმწიფო კომპანია. ეს კომპანიები იმართება ადგილობრივი ფინანსურ-პოლიტიკური ელიტის მიერ, რომლებიც ნავთობის ბიზნესს მათი ქვეყნების შიგნით და გარეთ პოლიტიკური ბრძოლის იარაღად იყენებენ.
- რეგიონი არის ნარკოტიკების წარმოებისა და იარაღით უკანონო ვაჭრობის უმსხვილესი ცენტრი.

**ბიზნესის განვითარების უდიდესი პერსპექტივები თუ საფრთხეები საერთაშორისო სტაბილურობისა და უსაფრთხოებისათვის**

გაგრძელება A4 გვერდზე

# მძიმე მემკვიდრეობა

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

*ბავშვები საქართველოს მოსახლეობის 21 პროცენტს შეადგენენ. სამი წლის წინათ მათი წილი ქვეყნის მოსახლეობის 25 პროცენტი გახლდათ. ეს ვარდნა იმ "კარგი" ცხოვრების დამსახურებაა, რომელიც ქართველებს ოჯახების შექმნისა და შვილების ყოლის საშუალებას არ აძლევს. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, შობადობისა და გარდაცვალების მაჩვენებელი ერთმანეთს უტოლდება, ბუნებრივი მატება ნულს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა დიდი ნაბიჯებით მიდის დაბერებისკენ. თუმცა, ეს სხვა საუბრის თემაა.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

მაკა ჭაიანი

მაშ ასე: საქართველოში 924000 ბავშვია. აქედან 3600 ქვეყნის სხვადასხვა სახის 42 სახელმწიფო დაწესებულებაში (უპატრონო თუ ინვალიდ ბავშვთა სახლები, არასრულწლოვანთა კოლონიები) არის მოთავსებული. ერთი შეხედვით, ამ უმნიშვნელო რიცხვს შთამბეჭდაობას ის პირობები სძენს, რომელშიც (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ეს ბავშვები იმყოფებიან.

საკვები ასეთ დაწესებულებებში მუდმივად ერთგვაროვანი და არასაკმარისია. ბავშვთა სახლების კონტინგენტი, ძირითადად, პურით, ბრინჯით, ლობიოთი და ზეთით იკვებება. შაქარი, რძის პროდუქტები და ხორცი იქ იშვიათობაა. საკვებში საერთოდ არ შედის ხილი, მაგრამ იმ თანხებით, რასაც სახელმწიფო ბავშვთა სახლების შესანახად გამოჰყოფს, ამის მოხერხება წარმოუდგენელია. თითო ბავშვზე, როგორც წესი, 1 ლარი და 80 თეთრია გათვალისწინებული. წლების განმავლობაში დაფინანსება 60-70 პროცენტით ხდებოდა; შესაბამისად, ბავშვები, ფაქტობრივად, მშივრები იყვნენ.

ინსტიტუციონალურ დაწესებულებებს (აქაც - იშვიათი გამონაკლისის გარდა) ქრონიკულად არ ჰყოფნით ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, საპონი, კბილის პასტა; სახლების უმრავლესობას არ გააჩნია არც გათბობა, არც წყლის გამაცხელებელი სა-

გაგრძელება A6 გვერდზე

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 საზოგადოება

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ავტომობილი B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

## გუშინ ენერგოსისტემა "ნულზე დაჯდა"

წუხელ, საღამოს 11 საათისთვის, საქართველოს ენერგოსისტემა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. 500-კილოვოლტიან ელექტროგადამცემ ხაზ "იმერეთზე" მომხდარი ავარიის გამო სამი საათის განმავლობაში მთელი საქართველო ჩაბნელებული იყო. ელექტრომომარაგება შეუწყდათ სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტებსაც.

ენერგეტიკოსებმა ენერგოსისტემის აღდგენა და სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტებისათვის დენის მიწოდება მხოლოდ ავარიიდან საათნახევრის შემდეგ შეძლეს. თბილისის სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტების ელექტრომომარაგების აღდგენა კი მხოლოდ ღამის ორი საათისთვის მოხერხდა.

ცნობისათვის: "იმერეთი" ძირითადი ელექტროგადამცემი ხაზია, რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთმანეთთან აკავშირებს. ამის გამო, ენერგეტიკოსებს ავარიის შედეგად გამორთული ენგურჰესის აგრეგატების ამუშავებაც გაუჭირდათ. რადგან "რაო ესს როსიის" კუთვნილი ჰიდროელექტროსადგური "ხრამი-2" არ ფუნქციონირებს, ენერგოსისტემამ ძირითადი სადგურების გასაშვებად აუცილებელი პირველადი სიმძლავრის მიღებაც დიდხანს ვერ მოახერხა.

წუხელ ენერგეტიკოსებმა ავარიის მიზეზების დადგენაც ვერ მოახერხეს. გართულდა ავარიის ადგილის ლოკალიზებაც.

ავარიის შედეგების ლიკვიდაციის შემდეგ ენერგეტიკოსებს ავარიის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით მხოლოდ ზოგადი ვარაუდების გამოთქმა შეეძლოთ. ამ ვარაუდის თანახმად, ხაზის დაზიანება დასავლეთ საქართველოში ცუდმა კლიმატმა, კერძოდ კი, ძლიერმა ქარმა გამოიწვია.

*24 საათი*

## კონტრაბანდასთან ბრძოლის წინა ხაზზე პარლამენტარებიც გამოჩნდნენ

*თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის მიმართ პრეტენზიებს გამოთქვამს და მათ საკმაოდ სერიოზულ ბრალდებებს უყენებს. მისი მტკიცებით, ძველი კორუფციული სქემები ამ უწყებაში ისევ მოქმედებს. "სისტემაში, როგორც ადრე ხდებოდა, ფული დღესაც მიდის ზევით, თანაც, გაცილებით დიდი ოდენობით," - აცხადებს გივი თარგამაძე.*

ფონიჭალასა და ყარაჯალაში ამასწინათ ჩატარებული სპეცოპერაციით საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე მეტად კმაყოფილია. მისი თქმით, კონტრაბანდასთან მიზანმიმართული და თანმიმდევრული ბრძოლა აუცილებელია, რადგან ჩრდილოვანი ბიზნესის აყვავებით, ქვეყანა უდიდეს შემოსავლებს კარგავს. კონტრაბანდული საქონლის მოძრაობაზე ლომის წილი (დაახლოებით, 80 პროცენტი) კი, თარგამაძის აზრით, სწორედ პოლიციაზე მოდის.

**"მას შემდეგ, რაც ამ უწყებას ეკონომიკურ დანაშაულებთან ბრძოლის ფუნქცია ჩამოერთვა, უკანონო ბიზნესში პოლიციელები გაათმაგებული ძალით ჩაებნენ. მეექვსე განყოფილების თანამშრომლები ტრასებსა და მაგისტრალებს დღეს მთლიანად აკონტროლებენ,"** - აღნიშნავს გივი თარგამაძე და შინაგან საქმეთა მინისტრს თავის უწყებაში საკადრო წმენდისკენ მოუწოდებს.

გუშინდელი საკომიტეტო მოსმენის დროს უკმაყოფილება ფინანსთა მინისტრის მისამართითაც გამოითქვა. თარგამაძეს აინტერესებს, როგორ წარმოუდგენია ზურაბ ნოღაიდელს მებაჟეების ნორმალური მუშაობა, როდესაც მათი ხელფასი 100 ლარამდე ჩამოიყვანა. კიდევ უფრო დაბალი ხელფასი (60-80 ლარი) აქვთ მესაზღვრეებს, რაც აგრეთვე კორუფციის წყაროს წარმოადგენს.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ბადრი ბიწაძე თავისი უწყების პრესტიჟის დაცვას ცდილობს და აცხადებს, რომ მესაზღვრეებს ტვირთების შემოწმების უფლება არა აქვთ და ამიტომ, მებაჟეებთან მათი გაიგივება და სხვისი ცოდვების მათზე გადაბრალება არასწორია. თუმცა, ბიწაძე სულაც არ ცდილობს, თავისი ხელქვეითები უცოდველ კრავებად წარმოაჩინოს.

"კაცი წლების განმავლობაში ხუთი ლარისთვის ხელგაწვდილი რომ იდგა, იმის გამოსწორება ძალიან ძნელია," - ამბობს იგი და შექმნილი ვითარებიდან გამოსავლად საკადრო ცვლილებებს ასახელებს.

საკომიტეტო მოსმენისას შედარებით ნაკლები კრიტიკა დაიმსახურა საფინანსო პოლიციამ. გივი თარგამაძე მის ყველაზე დიდ ნაკლად იმას მიიჩნევს, რომ ამ უწყებიდან ინფორმაცია ხშირად იჟონება. თუმცა, საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე იქვე იმასაც შენიშნავს, რომ საფინანსო პოლიციაში თვითწმენდის პროცესი გაცილებით უკეთესად მიმდინარეობს და კორუფციულ გარიგებებში შემჩნეულებს სამსახურიდან ზოგჯერ ჯგუფურადაც კი ათავისუფლებენ.

როდესაც წითელი ხიდიდან ქვეყანაში შემოსულ კონტრაბანდაზე საუბრობენ, მავანნი იმ გართულებებსაც ასახელებენ, რაც მასთან (კონტრაბანდასთან) ბრძოლას შეიძლება მოჰყვეს. კერძოდ, გამოითქმება ვარაუდი, რომ ამ შემთხვევაში ბიზნესი მთლიანად ჩაკვდება, აგრეთვე, გაიზრდება ეთნოკონფლიქტის რისკი.

გივი თარგამაძის მტკიცებით, ეს ვერსიები არასწორია და კონტრაბანდასთან ბრძოლა აღნიშნულ საფრთხეებს ნამდვილად არ შეიცავს. მისი აზრით, დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, რომ წითელ ხიდთან, ე.წ "ნეიტრალურ ტერიტორიაზე" არსებული ბაზრობა საერთოდ დაიხუროს ან ორივე (ქართული და აზერბაიჯანული) მხარის მიერ მკაცრად გაკონტროლდეს, რათა საქონლის დანაწევრება და წვრილ პარტიებად საზღვარზე მათი გადმოტანა არ ხდებოდეს.

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს, პრობლემას ბოლომდე "მისდიოს" და კონტრაბანდასთან ბრძოლა თავისი საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტად აქციოს.

*გიორგი ასანიშვილი*

## დაივიწყეთ შეუსრულებელი სახელმწიფო ბიუჯეტი!

### გახსოვდეთ სახელმწიფო გერბი!



[illegible] ფოტო

მიმდინარე კვირის ბოლოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის სავარძელს, ალბათ, ახალი პატრონი გამოუჩნდება. [illegible] შეტანილი. [illegible] ნახაბიძე, კონტროლის პალატის თავმჯდომარის კანდიდატურად [illegible] ნინო ბურჯანაძე კი ამჟამად ქუთაისშია ჩასული [illegible] "პარლამენტარ[illegible]" [illegible], სულხან მოლაშვილის შემცვლელის ვინაობაზე დეპუტატებს [illegible] მაშინ შეიტყობენ. [illegible] ირჩევენ, რომ კონტროლის პალატის თავმჯდომარის კანდიდატურას [illegible]

ბოლოს [illegible] პარლამენტში მოწვეული იქნას ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, რათა მან პასუხი გასცეს "ვნეშეკონომბანკის" აქტივებთან დაკავშირებულ საკითხებს. როგორც ირკვევა, ნოღაიდელი "გამოწვევას" ღებულობს - იგი მზად არის, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სათანადო დოკუმენტი გამოაგზავნოს და საქმის არსი განმარტოს.

მიმდინარე კვირაში დეპუტატებს ახლო წარსულის გახსენებაც მოუწევთ: მათ უნდა დაამტკიცონ მთავრობის მიერ წარმოდგენილი დასკვნა 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. უფრო ზუსტად, პარლამენტარები აღნიშნულ დასკვნას არ დაამტკიცებენ, რადგან გასული წლის ბიუჯეტი ვერ შესრულდა.

**"ეს ნიშნავს იმას, რომ წინა მთავრობის მუშაობას უარყოფითად შევაფასებთ, ხოლო, თუ რა მოჰყვება ამას..."** - წინადადებას შეგნებულად აღარ ამთავრებს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ მაჭავარიანი.

იგი დეპუტატებს იმასაც შეახსენებს, რომ სახელმწიფო გერბთან დაკავშირებით ვალი აქვთ. **"მომავალ 26 მაისს ხომ არ დაველოდებით? ივნისის თვეში ახალი გერბი უნდა დავამტკიცოთ,"** - დასძენს პარლამენტის ვიცე-სპიკერი.

*გიორგი ასანიშვილი*

## გოცირიძეს ინგოროყვა შეცვლის

საბოლოოდ, მთავრობამ საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის ყოფილი ხელმძღვანელის ალეკო გოცირიძის შემცვლელი მოძებნა. ამიერიდან კორპორაცია ენერგეტიკის სამინისტროს საკურატორო სექტორში მოექცევა, ხოლო მის ხელმძღვანელობას ენერგეტიკის მინისტრის უკვე ყოფილი მოადგილე დავით ინგოროყვა ითავებს.

ინგოროყვა "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ გუშინ აირჩიეს. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომამ, რომლის ჩატარებაც დიდხანს ვერ ხერხდებოდა, გუშინ საკმაოდ დიდხანს გასტანა. ინგოროყვასთან ერთად, გუშინ სამეთვალყურეო საბჭოს კიდევ ორი წევრი - კახა შაფაქიძე და ლევან გოგოძე დაამტკიცეს. სახელმწიფო ვერტიკალში მოქცევასთან ერთად, "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციას", შესაძლოა, იურიდიული სტატუსიც შეეცვალოს. სავარაუდოდ, ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად ჩამოყალიბდება.

ენერგეტიკის სამინისტროში კორპორაციის უშუალო ფუნქციად გაზის სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას მიიჩნევენ. რაც შეეხება კორპორაციის 100-პროცენტიან შვილობილ გაზის ტრანსპორტირების კომპანიას, ჯერჯერობით, ის ფუნქციონირებას ძველ რეჟიმში განაგრძობს.

*ნიკა მარიამიძე*

## მინისტრი აშშ-ში გაემგზავრა

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი სამდღიანი ოფიციალური სამუშაო ვიზიტით აშშ-ში გაემგზავრა. დაგეგმილია შეხვედრები ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარესთან კოლინ პაუელთან და ამერიკის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მრჩეველთან უსაფრთხოების საკითხებში კონდოლიზა რაისთან, ასევე ამერიკის სენატისა და მთავრობის სხვა წარმომადგენლებთან. ვიზიტის დროს განხილული იქნება საქართველოსა და ამერიკის შემდგომი თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები და ამერიკის მხარის მიერ საქართველოსთვის დახმარების ალმოჩენის გეგმები. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იმედი აქვს, რომ აღნიშნული შეხვედრის შემდეგ ამერიკის მთავრობის დახმარებები საქართველოში მრავალჯერად და ფართო მასშტაბებს მიიღებს.

*ინტერ-პრესი*

## ნათელაშვილი მთავრობას "განკითხვის დღეს" მოუწყობს

გუშინ "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა რევოლუციურ ხელისუფლებას პირველი "განკითხვის დღე" მოუწყო და გასული კვირის განმავლობაში ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა "ორშაბათიდან - ორშაბათამდე" ფორმატით ჩატარებულ პრესკონფერენციაზე განიხილა. ნათელაშვილის განცხადებით, "დემოკრატიულ ფარდაში გახვეულმა თალიბანურმა ტირანიამ" იგი აიძულა, ბრიფინგების ცხელი ციკლი დაეწყო, რომელზეც მთავრობას "განკითხვის დღეს" მოუწყობს და "მის უკეთურ საქმიანობას" ამხელს. რაც შეეხება გასული კვირის მოვლენებს, "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრ ჟვანიას წინასაარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ მთავრობამ ძველი დავალიანებების გასტუმრებაზე უარი თქვა.

"ლეიბორისტთა" ლიდერი ირწმუნება, რომ მისი ორშაბათის ბრიფინგები არ დაემსგავსება ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგებს, რომელსაც, მისი თქმით, ხალხი "გლახის ნაამბობს" უწოდებდა.

*მედია-ნიუსი*

### ორი სიტყვით

**ცხინვალი.** სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებულ პარლამენტს ახალი თავმჯდომარე ეყოლება და იგი 23 მაისს ჩატარებულ არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური მოძრაობა "ერთობის" წარმომადგენელი იქნება. კონსულტაციები კონკრეტული კანდიდატურის შესახებ უახლოეს დღეებში დაიწყება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის მორიგი სხდომა თბილისში, სასტუმრო "სიმპათიაში" 2 ივნისს გაიმართება. წინასწარი ინფორმაციით, სხდომაზე დევნილთა უსაფრთხო დაბრუნების, კონფლიქტის ზონის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის საკითხებს განიხილავენ. საუბარი შეეხება, აგრეთვე, ქართველი და ოსი სამართალდამცავების ერთობლივი საკოორდინაციო ცენტრის ამოქმედებასაც. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მომავალი კვირიდან ფუნქციონირებას დაიწყებს ინფორმაციის ოპერატიული კოორდინაციის სამმართველო. ამოქმედდება ცხელი ხაზი, რომლის ნომერიც გამოცხადდება და რომელზეც ნებისმიერ ადამიანს შეეძლება დაკავშირება. ნომერი ყოველდღე იმუშავებს და საქართველოს ყველა მოქალაქეს, მსოფლიოს რომელ ნაწილშიც არ უნდა იმყოფებოდეს, შეეძლება, საგარეო საქმეთა სამინისტროს დაუკავშირდეს და თავისი პრობლემების შესახებ შეატყობინოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ბათუმი.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შს მინისტრი დავით ღლონტი აჭარაში მოქმედ 15 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეხვდა და ურთიერთთანამშრომლობაზე ესაუბრა. არასამთავრობოები დავით ღლონტისაგან მოითხოვდნენ სამართალდამცავი უწყებებიდან იმ პოლიციელთა გათავისუფლებას, რომლებიც აჭარის ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერნი და ინტერესების გამტარებელნი იყვნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს თბილისის საკრებულოს საგანგებო სხდომა გაიმართება, სადაც საკრებულოში მოქმედი კომისიების სტრუქტურული რეორგანიზაციის საკითხები გადაწყდება. რეორგანიზაციის ფარგლებში რამდენიმე მუდმივმოქმედი და დროებითი კომისიის შერწყმა-გაერთიანება იგეგმება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საკრებულოში გავრცელებული ინფორმაციით, საკრებულოს "ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციას ნანული ქაჩიბაია უხელმძღვანელებს. ყველაზე მრავალრიცხოვანი ფრაქციის თავმჯდომარედ ქაჩიბაიას დამტკიცებას არ გამორიცხავს საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი. თუმცა, როგორც თავად ქაჩიბაია აცხადებს, ჯერ მისთვის, ოფიციალურ დონეზე, არაფერია ცნობილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტი პრემიერ-მინისტრს და საქართველოს მთავრობას აღებულ ვალდებულებებს ახსენებს და საკანონმდებლო ორგანოში "შემოსავლების ლეგალიზაციის შესახებ" კანონპროექტის უმოკლეს ვადაში შეტანას ითხოვს. "მთავრობას შევახსენებთ, რომ მან ეს ვალდებულება მარტში აიღო, თუმცა ჯერჯერობით კანონპროექტი პარლამენტში არ შემოსულა", - აღნიშნა პარლამენტის ბიუროს სხდომაზე საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მაია ნადირაძემ. მთავრობის საპარლამენტო მდივნის განცხადებით კი, მთავრობაში კანონპროექტი უკვე მზადაა და უმოკლეს ვადაში შევა პარლამენტში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ლანჩხუთი.** მოსახლეობა შს მინისტრისა და გენერალური პროკურორის რაიონში ჩასვლას და მათგან რაიონის პროკურორის და პოლიციის უფროსის თანამდებობიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვს. მათ ამ მოთხოვნით აქცია გუშინაც გამართეს. მომიტინგეები რაიონის პოლიციასა და პროკურატურას ადანაშაულებენ ადგილობრივი კრიმინალების მფარველობაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით ლანჩხუთის რაიონის გამგებელმა ალეკო სტურუამ გუშინვე დახმარებისთვის მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს. გამგებლის განცხადებით, ის მთლიანად იზიარებს მოსახლეობის მოთხოვნებს და მიიჩნევს, რომ რაიონის პოლიციის უფროსი და პროკურორი დაკავებული თანამდებობებიდან უნდა გადადგნენ.

სტურუას თქმით, აღნიშნული უწყებების თანამშრომლები მჭიდრო კავშირში არიან იმ კრიმინალურ ჯგუფებთან, რომლებიც ორგანიზებას უწევენ რაიონში მსხვილფეხა პირუტყვის გატაცებას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ბათუმში მიტინგების დარბევაში ეჭვმიტანილი ამირან გოგიტიძე, მეტსახელად - "დუდაევი" დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, დაკავებისას ეჭვმიტანილს აღმოაჩნდა ხელყუმბარა კაპსულა-დეტონატორით და თანხა 1000 ლარამდე. ამასთან, როგორც ჟურნალისტებს თავად გოგიტიძემ განუცხადა, მას არანაირ დარბევებში მონაწილეობა არ მიუღია და მხოლოდ სიტყვით გამოდიოდა აჭარის ავტონომიის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის მხარდამჭერ მიტინგებზე. გოგიტიძე ამჟამად წინასწარი დაკავების იზოლატორშია გადაყვანილი. **პრაიმ-ნიუსი**

## დიდი სტუმრიანობა ქუთაისში



გუშინ ქუთაისში პარლამენტარების დიდი სტუმრიანობა იყო. რწმუნებულის მოწვევით ქალაქში ადგილობრივი დეპუტაცია და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ჩამოვიდა. უფრო მოგვიანებით კი ვარციხის მხარის ყველა ქალაქის და რაიონის დეპუტატებიც შეიკრიბნენ. იმერეთის პარლამენტში 38 დეპუტატი ჰყავს, მათი ვიზიტის მიზანი ქუთაისის და იმერეთის პრობლემების ადგილზე განხილვა და ერთობლივი სამომავლო გზების ძიება გახლდათ.

პარლამენტარების ვიზიტი უფრო პროდუქტიული რომ ყოფილიყო, ქუთაისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დაიგეგმა, სადაც ქალაქისათვის საჭირბოროტო ძირითადი საკითხები უნდა განხილულიყო. 12 საათზე დაგეგმილი სხდომის დაწყება ერთი საათით დაგვიანდა. მხარისა და ქალაქის ხელმძღვანელობა საკუთარ მაჟორიტარს ნინო ბურჯანაძეს ელოდებოდა. პარლამენტის თავმჯდომრეს უცდიდა მერიის წინ შეკრებილი 60-მდე ქუთაისელი, რომელთა დიდი ნაწილი სოციალური პრობლემების მოგვარებაში მაჟორიტარს მხარდაჭერას სთხოვდა. პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწეები მათგან წერილების მიღებას ვერ აუდიოდნენ. თუმცა, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც დათო მუმლაძის წინააღმდეგ პოლიტიკურ ლოზუნგებსაც გაჰყვიროდნენ. "ქალბატონო ნინო დაგვიცავით მუმლაძისგან", "გაზი და შუქი არა გვაქვს, დაგვეხმარეთ", "ქუთაისი მოკვდა, სირცხვილია"! დაახლოებით ასეთი შეძახილები ისმოდა გუშინ ქალაქის სამხარეო ადმინისტრაციის წინ. **"ჩამოვედით იმისათვის, რომ ქუთაისის საკრებულოს წევრებთან და იმერეთის მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად, ადგილზე გავეცნოთ არსებულ პრობლემებს. ამავე დროს სერიოზული ნაბიჯებია გადასადგმელი პრობლემების მოსაგვარებლად,"** - განაცხადა ჩამოსვლისას ნინო ბურჯანაძემ.

ქუთაისის საკრებულოს სხდომაზე კი ქალაქის 2004 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და ხარჯების მდგომარეობის შესახებ მოხსენებებით ქუთაისის ხელმძღვანელი პირები გამოდიოდნენ. ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი გიორგაძის განმარტებით, ქუთაისის წინა ხელმძღანელობისაგან მძიმე მემკვიდრეობა ერგოთ. გარდა მოუგვარებელი სოციალურ-კომუნალური საკითხებისა, ახალ ხელისუფლებას კერძო ბანკებიგან აღებული დაახლოებით 2 მილიონი ლარი დახვდა, რომლის გასტუმრებაც ქუთაისის ამჟამინდელ ხელისუფლებას მძიმე ტვირთად აწევს. გიორგაძემ იმ პერიოდზეც ისაუბრა, როდესაც ქუთაისის მერი თემურ შაშიაშვილი იყო. მის გამოსვლაში ერთი კურიოზული დეტალიც დაფიქსირდა: თუკი ყოფილ მერს ნუგზარ ფალიანს ბანკებიდან სესხები ინტენსიურად გამოჰქონდა, თემურ შაშიაშვილი პირიქით, ბიუჯეტიდან იძლეოდა სესხებს. **"1995-96 წლებში ქალაქის მაშინდელი ხელმძღვანელობის მხრიდან გაცემულია 794 000 ლარის ოდენობით კრედიტი, მაშინ როდესაც ქალაქის ბიუჯეტს თავად გააჩნდა დავალიანება. 2001 წელს კი სახალხო ბანკიდან გამოიტანეს 200 000 ლარი "ბაგრატის ფონდის" კულტურული ღონისძიებებისთვის. ჩვენთვის გასაგებია, რომ კულტურული ღონისძიება უნდა დაფინანსდეს, მაგრამ არა ბანკიდან აღებული ვალის ხარჯზე. თანაც მაშინ, როდესაც ჯანდაცვისა და სოციალური სფერო დაუფინანსებელი იყო. როდესაც ქალაქს ამხელა ვალი აქვს, რთულია, ეკონომიკურ განვითარებაში თანხა ჩადო... ჩემი მოსვლის შემდეგ მერიის შტატები 436 დან 250-მდე შემცირდა. ყველაზე მცირე ხალფასი მერიაში საარსებო მინიმუმს გაუტოლდება. ვთვლი, რომ ეს ნაბიჯები გადადგმულია ქალაქის ეფექტური მთავრობის შესაქმნელად,"** - განაცხადა ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა. ქუთაისის საოლქო საგადასახადო ისნპექციის უფროსის დავით ჯავახაძის ინფორმაციით, მიუხედავად ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდისა, ქუთაისი კვლავაც რჩება საქართველოში ერთ-ერთ ჩამორჩენილ ქალაქად. უფრო მეტიც, არსებული ვალების პირობებში ქუთაისი დეფოლტის წინაშეც დგას. შექმნილი ვითარებიდან გამოსასვლელად საგადასახადოს უფროსმა ტრანსფერის ხუთიდან თერთმეტ მილიონამდე გაზრდაში პარლამენტის თავმჯდომარისა და ქუთაისელი დეპუტაციის მხარდაჭერა მოითხოვა. პარლამენტის თავმჯდომარემ ქალაქის ხელმძღვანელობას დახმარება აღუთქვა, სანაცვლოდ კი პრიორიტეტული პრობლემების მოგვარების სქემის შემუშავება მოითხოვა. **"ჩემთვის ყველაზე მთავარია, რომ თითოეულმა დეპუტატმა გუბერნატორთან და ქალაქის მერთან ერთად პრიორიტეტული საკითხების სქემა შეადგინოს, რომლის შემდეგაც დავსხდებით მთავრობასთან ერთად და ამ პრობლემების მოგვარებას დავიწყებთ,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. პარლამენტის თავმჯდომარეს მუმლაძის გადადგომის მოთხოვნით გამართული საპროტესტო მიტინგების შესახებაც მოუწია კომენტარის გაკეთება. **"მე ვადევნებდი თვალყურს ამ მოვლენებს, ვსწავლობ რწმუნებულის წინააღმდეგ გამოთქმულ პრეტენზიებს, თუმცა ძალიან არგუმენტირებული პრეტენზიები ჩემამდე არ მოსულა. როგორც წესი, ორი მყარი არგუმენტი მაინც უნდა არსებობდეს, რომ რწმუნებული გადავაყენოთ. ჯერჯერობით მე ასეთი რამ არაფერი მომისმენია,"** - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ. ნინო ბურჯანაძემ ასევე აუწყა საზოგადოებას, რომ უახლეს ხანში ქუთაისში მაჟორიტარი დეპუტატის ოფისი გაიხსნება. მეორე საშუალო სკოლაში კი სრული კომპიუტერიზაცია განხორციელდება. ფუნქციონირებას დაიწყებს კომპიუტერული ტომოგრაფიის ცენტრიც. "ავტოქარხანასთან" მიმართებაში კი პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით მოლაპარაკებები მიმდინარეობს, "ფოლკსვაგენისა" და "ვოლვოს" ხელმძვანელობასთან. ამ საკითხზე ნინო ბურჯანაძე აღარ დაკონკრეტებულა. საკრებულოს სხდომის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარე ვარციხის სამთავრობო რეზიდენციაში გაემგზავრა, სადაც რწმუნებულის მიერ მოწვეული იმერეთის დეპუტაციის საქმიანი შეხვედრა შედგა. აღნიშნული შეხვედრა კონკრეტული პრობლემების წარმოჩინებით არ გამოირჩეოდა და დეპუტატები მხოლოდ სამომავლო გეგმების დასახვით შემოიფარგლნენ. საღამოს კი ნინო ბურჯანაძე პედაგოგებს შეხვდა. აღმოჩნდა, რომ დარბაზის გარკვეული ნაწილი, სწორედ იმ ხალხით იყო წარმოდგენილი, ვინც რამდენიმე დღის წინ მუმლაძის წინააღმდეგ მიტინგებს მართავდა. ორგანიზაცია "სამშობლო უმთავრესიას" ლიდერმა მერაბ გვაზავამ პარლამენტის თავმჯდომარესთან პირისპირ შეხვედრა მოითხოვა, რაზედაც უარი მიიღო. ნინო ბურჯანაძემ მას რწმუნებულის წინააღმდეგ დასაბუთებული ბრალდებების წერილობით გაგზავნა სთხოვა. პედაგოგთა უმეტესობას პარლამენტის თავმჯდომარის წინაშე პირად საკითხზე მოუწია გამოსვლა. მათგან ნაწილი ქუთაისში გარკვეული საგანმანათლებლო დაწესებულებების გაუქმებას, ნაწილი კი პენსიაში გასვლას აპროტესტებდა. საბოლოოდ პედაგოგებთან შეხვედრა მეტად ხმაურიანი გამოდგა. საღამოთი კი პარლამენტის თავმჯდომარე და მაჟორიტარები ქორეოგრაფიული ანსამბლის კონცერტს დაესწრნენ.

*ბექა სისაური, ქუთაისიდან*


საქციო საზოგადოება ნავთობის ეროვნული კომპანია

"საქნავთობი"

**აცხადებს ღია კონკურსს კომპანიის გენერალური დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად**

კონკურსში მონაწილეობისთვის კანდიდატს უნდა გააჩნდეს:
- უმაღლესი განათლება საინჟინრო, საფინანსო, ეკონომიკურ, ბიზნესის მართვის ან ბიზნესის სამართლის დარგში;
- გამოცდილება საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების მართვაში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება, ავტობიოგრაფიული მონაცემები, განათლების სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, მოტივაცია საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად (არაუმეტეს 2 გვერდისა).

საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა **2004 წლის 30 ივნისი, 16:00 სთ.**

მისამართი: თბილისი, მ. კოსტავას ქ. No 65, "საქნავთობი", მე-4 სართ. სამეთვალყურეო საბჭოს ოფისი. ტელ: 33-53-94; 33-34-90; ფაქსი: 33-51-43; e-mail: saknavtobi@gol.ge

კონკურსის დასკვნით ეტაპზე დაშვებულმა კანდიდატებმა ა.წ. 15 ივლისამდე დამატებით უნდა წარმოადგინონ 3 სარეკომენდაციო წერილი ვაკანტური თანამდებობისთვის მათი შესატყვისობის დასაბუთებით და გაიარონ გასაუბრება საკონკურსო კომისიაში.

*ს.ს. "საქნავთობის" სამეთვალყურეო საბჭო*


გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა ნიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# საქართველოში ულტიმატუმების აღარ ეშინიათ

პირველი გვერდიდან

ოსური მხარის უკმაყოფილება სწორედ "ერგნეთის" ბაზრობას უკავშირდება - უკვე ორი დღეა, ცხინვალი მოითხოვს, შეწყდეს საქართველოს მხრიდან კონტრაბანდული ტვირთების მოძრაობაზე განსაკუთრებული კონტროლის განხორციელება.

ცხინვალში დაბანაკებული რუსი გენერლები უკვე თორმეტი წელია, საქართველოს გაურკვეველ ტერიტორიად თვლიან და საქართველოს მისამართით ყოველთვის ორიგინალურ განცხადებებს აკეთებენ. შევარდნაძის ხელისუფლება ამ განცხადებებს ყოველგვარი რეაქციის გარეშე, ოლიმპიური სიმშვიდით ისმენდა. ნაბზოროვის გუშინდელ ინიციატივასთან დაკავშირებით სააკაშვილის ხელისუფლების რეაქცია სხვაგვარი იყო.

ცხინვალის მისადგომებთან ბლოკ-პოსტებზე გადასროლილი თავდაცვის სამინისტროსა და შინაგანი ჯარის ნაწილები, უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის ნაწილი, ოთხი საბრძოლო ვეტმფრენი და საქართველოს ხელისუფლების მკვეთრი პოზიცია - საკმარისი გახდა იმისთვის, რომ სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი ცხინვალიდან ჯავაში გაძლიერებული დაცვის თანხლებით გაქცეულიყო, ხოლო რუს სარდალ ნაბზოროვს ქართული ბლოკ-პოსტების გაუქმების იდეა სამუდამოდ დაევიწყებინა...

ნაბზოროვის განცხადებიდან ორიოდე საათში საქართველოს ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები - გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი, შს მინისტრი გიორგი ბარამიძე, უშიშროების საბჭოს მდივანი ვანო მერაბიშვილი, უშიშროების მინისტრი ზურაბ ადეიშვილი და მთავრობის სხვა წარმომადგენლები გორის რაიონის სოფელ ტყვიავში ჩადიან, სადაც დროებითი შტაბი იქმნება. ქართველ ძალოვნებთან მოსალაპარაკებლად ტყვიავში თავად ნაბროზოვი მიდის, თუმცა ისევ ცხინვალში ბრუნდება იმ მოტივით, რომ ჟურნალისტებთან შეხვედრა არ სურს.

ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ აქვს საკმარისი პოლიტიკური ნება და ძალა იმისთვის, რათა საკუთარი ქვეყნის ინტერესები დაიცვას.

**"დღეს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში საქართველოს შს სამინისტროს და სხვა სპეციალური დანიშნულების ძალების შეიარაღებული ფორმირებების შეყვანა გარკვეულ გარემოებათა გამო იყო გამოწვეული. კერძოდ, კონფლიქტის ზონაში არსებული რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლობას განზრახული ჰქონდა ქართული მხარის სამხედრო პოსტების გაუქმება,"** - აღნიშნა უშიშროების საბჭოს მდივანმა ტყვიავიდან დაბრუნების შემდეგ. მერაბიშვილის თქმით, უკვე მიღწეულია შეთანხმება, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლობა ხელს აიღებს ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანაზე და კონფლიქტის ზონაში საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობა კიდევ უფრო გაძლიერდება.

**"ჩვენი კვოტა კონფლიქტის ზონაში 500 შეიარაღებული სამხედრო პირის ყოფნას ითვალისწინებდა შესაბამისი ტექნიკით. თუმცა, აქამდე იქ საქართველოს მხოლოდ 100 შეიარაღებული პირი წარმოადგენდა. სამ დღეში ქართული მხარის კვოტა სრულად შეივსება და იქ კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი სამხედრო შენაერთი განლაგდება,"** - აცხადებს მერაბიშვილი კანცელარიაში გამართულ ბრიფინგზე.

**"შიდა ქართლში, ცხინვალის მისადგომებთან შინაგანი ჯარის და გენერალ გია გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმის წევრები რამდენიმე სოფელში განლაგებული არიან შსს-სა და ფინანსური პოლიციის საგუშაგოების დასაცავად,"** - განაცხადა შს მინისტრმა გიორგი ბარამიძემ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე.

**"როგორც ჩანს, რუსი სამხედროების შენაერთები სწორედ კონტრაბანდულ წყაროებს ეფუძნებოდა და ამიტომ სურთ ქართული ბლოკ-პოსტების გაუქმება. საქართველო ყველა ძალას გამოიყენებს იმისთვის, რომ არ დაუშვას კონტრაბანდის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების ჩაშლა და არ დაუშვას იმ საგუშაგოების აღება, რომელიც ამ მიზნით შეიქმნა. თუ კონტრაბანდისტები შიშველი ხელებით დაგვიპირისპირდებიან, ჩვენც ასე მოვიქცევით, თუ გვესვრიან, ჩვენც გამოვიყენებთ იარაღს,"** - აღნიშნა ბარამიძემ.

**"დამთავრდა ის დრო, როცა საქართველოს რუსული და ოსური მხარეები ულტიმატუმის ენით ესაუბრებოდნენ. საქართველოს შესწევს იმისი ძალა, რომ დაიცვას საკუთარი ტერიტორია და ქართული ბლოკ-პოსტები... სწორედ აქედან გამომდინარე მოხდა რეგიონში დამატებითი ძალების მობილიზება,"** - განაცხადა საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა გუშინ გორში გამართულ პრესკონფერენციაზე.

ქართველ სამხედროებთან ერთად ბლოკ-პოსტების დასაცავად გუშინ ადგილობრივი მოსახლეობაც გამოვიდა. საქართველოს დროშებით, თოფებით და ხანჯლებითაც კი შეიარაღებული მოსახლეობა გუშინ ტყვიავთან მთელი დღის განმავლობაში იდგა. **"ერგნეთი რომ არ იყოს, არაფერიც არ იქნება. ერგნეთია ყველაფერი, რუსებსაც ეგ აინტერესებს, ოსების მთავრობასაც და შევარდნაძესაც ეგ აინტერესებდა. ერგნეთი თუ დაიხურება, ცხინვალს დავიბრუნებთ,"** - ამბობს ტყვიაველი სერგო ხმიადაშვილი.

"ერგნეთის" ბაზრობაზე გუშინ ასეთი სურათი დაგვხვდა: მოვაჭრეები პანიკური სისწრაფით ეზიდებოდნენ სატვირთო მანქანებში "საქონელს": **"ჩქარა, ომი იწყება,"** - ისმოდა შეძახილები. **"ჩვენ და ოსები ერგნეთის ბაზრობამ გაგვაერთიანა. აქ ყველა ერთად ვიდექით, ვვაჭრობდით, ვმუშაობდით, ლუკმა პურს ვშოულობდით. ახლა ოსებს ეშინიათ და მიდიან, ცხვირს აღარ შემოყოფენ აქეთ. რა ვქნათ ჩვენ? რაც გვაქვს, ის საქონელი მაინც გაგვაყიდინოს ბატონმა მიშამ და მერე აღარ შემოვიტანდით,"** - ამბობს ლანჩხუთელი ზეინაბ კონტრიძე, რომელიც ცხრა წელია, "ერგნეთის" ბაზრობაზე მუშაობს, დახლებს შორის ცხელ ჩაის დაატარებს.

ნახევარ საათში ბაზრობა სულ დაცარიელდა. სატვირთო მანქანების ნაწილმა ცხინვალისკენ აიღო გეზი, ნაწილი კი - იქვე დარჩა. ქართველები გაძლიერებული ბლოკ-საგუშაგოების შიშით ერგნეთიდან არ გადიან. **"დაველოდებით, არ ვიცით, რა ვქნათ. ხვალ სანდრა ჩამოვა და იმას დაველაპარაკებით,"** - ამბობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან "კონტრაბანდულ ოაზისში" ლუკმა პურის საშოვნელად ჩამოსული ქალები. საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი დღეს მართლაც ჩავა თამარაშენსა და სხვა ქართულ სოფლებში.



*ნახევარ საათში ერგნეთის ბაზრობა სულ დაცარიელდა. სატვირთო მანქანების ნაწილმა ცხინვალისკენ აიღო გეზი, ნაწილი კი - იქვე დარჩა.*



*დამთავრდა ის დრო, როცა საქართველოს რუსული და ოსური მხარეები ულტიმატუმის ენით ესაუბრებოდნენ. საქართველოს შესწევს იმისი ძალა, რომ დაიცვას საკუთარი ტერიტორია და ქართული ბლოკ-პოსტები...*

# "ნაციონალებისა" და "რესპუბლიკელების" გზები გაიყო

პირველი გვერდიდან

დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს გუშინდელმა გადაწყვეტილებამ საკმაოდ ბევრი კითხვა დაბადა. მით უფრო, რომ, როგორც იურისტები აცხადებენ, იგი უკანონოა და მას მხოლოდ პოლიტიკური სარჩული უდევს საფუძვლად.

საქმე ის არის, რომ გუშინ, სრულიად მოულოდნელად, დროებითმა საპრეზიდენტო საბჭომ "აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" კანონში შესწორება მიიღო. ამ გადაწყვეტილებამ კი საქართველოს პარლამენტის წევრებს აჭარის უმაღლეს საბჭოში კენჭისყრა აუკრძალა. როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ამ ინიციატივას აქტიურად უჭერდა მხარს "ჩვენი აჭარის" ერთ-ერთი აქტივისტი კობა ხაბაზი. მეტიც - მან გუშინ დეპუტატის უფლებამოსილება დემონსტრაციულად მოიხსნა. ხაბაზის განცხადებით, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, იგი რეგიონში დარჩება და იქ არსებული პრობლემების მოგვარებას შეუდგება. კობა ხაბაზი მის თანაპარტიელსა და თანამებრძოლ თამაზ დიასამიძეს ურჩევს, მას მიბაძოს.

ამასობაში, თამაზ დიასამიძე აცხადებს, რომ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონში შესწორება **"ნაცმოძრაობის" აქტივისტთა აშკარა ზეწოლისა და მუქარის შედეგად იქნა მიღებული"**. როგორც გაირკვა, ორი დღის წინ, დროებითი საბჭოს წევრებმა უარი განაცხადეს ამ ცვლილების მიღებაზე, გუშინ კი, სასწრაფო წესით, პრეზიდენტის რწმუნებულმა ლევან ვარშალომიძემ კვლავ სხდომა დანიშნა და, ყოველგვარი განხილვის გარეშე, ამ ცვლილებას კენჭი ეყარა.

დიასამიძის შეფასებით, მისთვის და ასლან აბაშიძის ყველაზე სტაჟიანი ოპონენტებისთვის გაუგებარი რჩება, ვისი დავალებით შეასრულა აშკარად პოლიტიკური დაკვეთა საპრეზიდენტო საბჭომ. როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ასეთი დირექტივა მართლაც მოდიოდა თბილისიდან, მაგრამ კონკრეტულად ვინ იყო ამ საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი, უცნობია. თუმცა, დავით ბერძენიშვილი, კობა ხაბაზთან ერთად, გიორგი არველაძის გვარსაც ასახელებს და აცხადებს, **რომ გიორგი არველაძე, რომელიც "ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანია, საარჩევნო სიის შედგენაში შეცდომებს უშვებს"**.

აქვე დავძენთ, რომ აჭარის დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს გადაწყვეტილება აშკარად ეწინააღმდეგება საარჩევნო კანონმდებლობას, რადგან საქართველოს პარლამენტის წევრს უფლება აქვს, კენჭი სხვა არჩევით ორგანოში იყაროს. არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, მხოლოდ მისი გადასაწყვეტი იქნება, დარჩება იგი პარლამენტის წევრად თუ დეპუტატობას ახალ სავარძელს ამჯობინებს.

მოკლედ, "ნაციონალური მოძრაობა" აიძულებს "რესპუბლიკურ პარტიას", აჭარაში პოზიციები დათმოს. თუმცა, როგორც თამაზ დიასამიძე ვარაუდობს, ამის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტმა არაფერი იცის.

"რესპუბლიკური პარტიის" ლიდერის, დავით ბერძენიშვილის განცხადებითაც, დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს ეს გადაწყვეტილება მისი და თამაზ დიასამიძის წინააღმდეგ არის მიმართული. "ეს დახლი და ვაჭრობა" არ არის და აქ უნდა იყოს მხოლოდ კონსტიტუცია," - ასეთი კატეგორიულია დავით ბერძენიშვილი.

დეპუტატების თქმით, **"საბჭომ ასეთი გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ რესპუბლიკელებმა აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობა გადაწყვიტეს"**, ბერძენიშვილი კი ბათუმის მაჟორიტარ დეპუტატად გეგმავდა კენჭისყრას. ორივე პარლამენტარი აცხადებს, რომ ეს მათ წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა.

ამავე დროს, როგორც პოლიტიკურ კულუარებში აცხადებენ, აჭარაში "ნაციონალები" ასპროცენტიან გამარჯვებას გეგმავენ და მათთვის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, "რესპუბლიკელებიც" და "გაერთიანებული დემოკრატებიც" სრულიად "ზედმეტი ტვირთია".

იმის მიუხედავად, რომ განაწყენებული დეპუტატები დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს გადაწყვეტილების კონკრეტულ დამკვეთს არ ასახელებენ, ცხადია, რომ "რესპუბლიკელებსა" და "ნაციონალურ მოძრაობას" შორის თბილი ურთიერთობების ეპოქა დასრულდა.

ამავე დროს, ედვარდ სურმანიძის მოსალოდნელი გადაწყვეტილება ბათუმის მერის თანამდებობიდან წასვლის თაობაზე იმაზეც მიანიშნებს, რომ აჭარაში სუსტდება პრემიერ-მინისტრის თანაგუნდელების პოზიციები. თანაც, ედვარდ სურმანიძესა და ლევან ვარშალომიძეს შორის ურთიერთობები არც არასდროს ყოფილა თბილი (შეგახსენებთ, რომ რამდენიმე კვირის წინ აჭარაში პრეზიდენტის რწმუნებულმა ლევან ვარშალომიძემ თანამდებობიდან გაათავისუფლა ყველა ის პირი, რომელიც ერთი დღით ადრე, ბათუმის მერმა საკუთარი შეხედულებისამებრ დანიშნა). სხვათა შორის, გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ ედვარდ სურმანიძეს პრეზიდენტის და მთავრობისგან ყველანაირი მხარდაჭერა აქვს და იგი არჩევანში თავისუფალია.

ბათუმში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, საკმაოდ საინტერესოა დროებითი საბჭოს აწ უკვე ყოფილი წევრის ელგუჯა მაკარაძის კომენტარი. მისი თქმით, **"დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს მიერ მიღებული ცვლილებით გზა ეხსნებათ იმ ადამიანებს, რომლებიც აჭარის უმაღლეს საბჭოში ღირსეულად ვერ მოიქცევიან"**. თუმცა, მას არ დაუკონკრეტებია, "უღირსებში" ვის გულისხმობდა.

გამორიცხული არ არის, აჭარაში განვითარებული მოვლენების გარკვეული ახსნა "ახალი მემარჯვენეების" ლიდერის დავით გამყრელიძის სიტყვებში ვეძიოთ, რომლის თქმითაც, "ხელისუფლებას, უკვე დიდი ხანია, აჭარის უმაღლეს საბჭოში თანამდებობები დანაწილებული აქვს და არჩევნები მხოლოდ ამ საკადრო გადაწყვეტილებების დაკანონებისთვის არის საჭირო".

შესაძლოა, დავით გამყრელიძის კომენტარი საკმაოდ მკვეთრია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ პრობლემები, ერთი მხრივ, "ნაციონალებსა" და "რესპუბლიკელებს" და, მეორე მხრივ, "ნაციონალებსა" და "დემოკრატებს" შორის სახეზეა.

სხვათა შორის, გუშინ დავით გამყრელიძემ სპეციალური ბრიფინგი გამართა და განაცხადა, რომ ის არჩევნები, რომლის გამოც აჭარაში ასეთი სერიოზული დაპირისპირებაა, უკანონოდ ტარდება. **"არჩევნები უკანონოა, ვინაიდან პარლამენტს ჯერჯერობით არ მიუღია კანონი, რომელიც აჭარის სტატუსის სამართლებრივ მხარეს განსაზღვრავდა. ეს კანონი პარლამენტმა ყველაზე ადრე, შესაძლოა, 22 ივნისს მიიღოს, ამიტომ 20 ივნისს დანიშნული არჩევნები უკანონო გამოდის,"** - აცხადებს "ახლების" ლიდერი და დასძენს, რომ **"ამით ხელისუფლება აჭარის მოსახლეობას ატყუებს და შეურაცხყოფს, ვინაიდან ხელისუფლებას არა არჩევნების, არამედ საკუთარი სურვილების დაკანონება სურს"**. ამავე დროს, "ახლები" კვლავ პლებისციტის გამართვის მომხრეები არიან და აცხადებენ, რომ ავტონომიის სტატუსის გადასინჯვა აუცილებელია.

როგორც ცნობილია, 20 ივნისს აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობას გეგმავს "ახალი მემარჯვენეების" პოლიტიკური პარტნიორი - პოლიტიკური მოძრაობა "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს". როგორც ამ ფაქტის კომენტირებისას გამყრელიძემ განაცხადა, **"ეს მათი დამოუკიდებელი გადაწყვეტილებაა და ჩვენ მათ ამ გადაწყვეტილებას პატივს ვცემთ"**.

საინტერესო აღმოჩნდა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერთა კომენტარები. მაია ნადირაძე "ნაციონალებსა" და "რესპუბლიკელებს" შორის ღია დაპირისპირებას უარყოფს და აცხადებს, რომ ეს პარტიაში არსებული აზრთა სხვადასხვაობაა, რაც საღი აზრის არსებობის მანიშნებელია. **"მიუხედავად იმისა, რომ "ნაციონალები" და "რესპუბლიკელები" აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში დამოუკიდებლად იღებენ მონაწილეობას, საპარლამენტო უმრავლესობა არ დაიშლება. თქვენგან განსხვავებით, ჩვენ აზრთა სხვადასხვაობას პარტიაში განხეთქილებას არ ვარქმევთ,"** - ასე მიმართა მან ჟურნალისტებს.

პარლამენტის ვიცე-სპიკერის მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით კი, დადგენილება, რომელიც აჭარის საპრეზიდენტო საბჭომ მიიღო, ფრაქციის სხდომაზე განსახილველი საკითხი არ არის. მაჭავარიანის თქმით, "ვისაც სურს, აჭარის საპრეზიდენტო საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება გააპროტესტოს, სასამართლოს უნდა მიმართოს".

# საქართველოს პრეზიდენტის განცხადება

ლელა მჭედლიძე

მიხეილ სააკაშვილმა უკვე გასცა ბრძანება მე-6 განყოფილების იმ თანამშრომლის დაპატიმრების თაობაზე, რომელმაც, ქვეყნის მეთაურის ინფორმაციით, წითელ ხიდზე განხორციელებული ოპერაციის დროს თავისიანებს უღალატა და კონტრაბანდისტები გააფრთხილა.

**"საქართველო სახელმწიფოა და მას თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესები აქვს. თავისი საზღვრები და ეკონომიკური სისტემა, რომელსაც ბოლომდე დავიცავთ,"** - ასე შეაფასა გუშინ შიდა ქართლში ჩატარებული ოპერაცია მიხეილ სააკაშვილმა. **"ცხინვალი და მისი მიმდებარე ტერიტორია დიდი ხანის განმავლობაში საქართველოში კონტრაბანდის წყაროდ იყო ქცეული... ირაკლი ოქრუაშვილმა გუბერნატორად ყოფნის დროს ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ კონტრაბანდის მთავარი ხაზი მაინც დარჩა. პოლიციაც მშვენივრად სარგებლობდა შექმნილი ვითარებით,"** - ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტმა. ამ წარმატებული ოპერაციის შემდეგ კი პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ ახალმა ხელისუფლებამ, სულ მცირე, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ასე ადვილი დასაჩაგრი არ არის "და ვისაც რა უნდა, იმას ვეღარ გააკეთებს". ეს პირველ რიგში იმ რუს მშვიდობისმყოფელებს ეხებათ, ვინც თავიდან საქართველოს ხელისუფლებასთან ულტიმატუმის ენით გადაწყვიტა საუბარი და შიდა ქართლში ქართული პოლიციის საგუშაგოების გაუქმება მოითხოვა. თუმცა, პრეზიდენტი არ თვლის, რომ გუშინდელ ოპერაციას რუსეთთან რამენაირად ურთიერთობის გართულება შეიძლება მოჰყვეს.

სააკაშვილმა რუსი სამშვიდოებოების გუშინდელი ქმედებები ერთმნიშვნელოვნად **"ადგილობრივი სამხედროების თავგასულ თვითშემოქმედებად"** შეაფასა. რუსეთთან ნორმალური ურთიერთობებისთვის კი, ქვეყნის მეთაურის განმარტებით, სხვა გარემოებებიც არსებობს. პირველ რიგში პრეზიდენტ პუტინთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა. გარდა ამისა, მრავალ ასპექტში, მაგალითად ტერორიზმთან ბრძოლისა და ეკონომიკურ საკითხებთან მიმართებაში, რუსეთი და საქართველო წარმატებით თანამშრომლობენ და ა.შ.

კონტრაბანდასთან ბრძოლის ოპერაცია შიდა ქართლიდან წარმატებით დაიწყო. შემდგომ ეტაპზე ქვეყნის მეთაურს, როგორც კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის, ისე შიდა ქართლის რეაბილიტაციის თვალსაზრისით რამდენიმე კონკრეტული ნაბიჯის გადადაგმა აქვს გადაწყვეტილი. უწინარეს ყოვლისა, **"12 წლის წინ დანგრეული სარკინიგზო მაგისტრალისა და მატარებლის მიმოსვლის ერთ კვირაში აღდგენა, რაც ცხინვალს დანარჩენ საქართველოსთან დააკავშირებს"**; გარდა ამისა, შიდა ქართლის ტერიტორიაზე მაცხოვრებელთათვის "ქართული პენსიების" დარიგება, (მიუხედავად იმისა, თუ რა ეროვნების არიან ისინი და იღებენ თუ არა რუსეთიდან პენსიას), და ასევე გარკვეული სოციალური საკითხების გადაჭრა: უფასო სასუქისა თუ სამედიცინო დახმარების სახით, ტელევიზიის პირველ არხზე ოსურ ენაზე საინფორმაციო გამოშვების შემოღებით და ა.შ.

პრეზიდენტი ადასტურებს, რომ შიდა ქართლის ტერიტორიაზე განთავსებული ქართული სამშვიდობო კონტინგენტი შესაბამისი კვოტის მიხედვით, 90-დან 500-მდე გაიზრდება. ამასთან, კარგადაც იქნება შეიარაღებული, მაგრამ **"არა ვინმეზე თავს დასასხმელად, არამედ იმისათვის, რომ საქართველო უკონტროლო ტერიტორიად არ აღიქმებოდეს"...** ამავე დროს პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ **"საქართველოს ხელისუფლება ოსური, შიდა ქართლის მოსახლეობის ინტერესების ყველაზე დიდი დამცველი იქნება."** სააკაშვილი, დარწმუნებულია, რომ ახლა ყველაზე კარგი დროა იმისათვის, რათა შიდა ქართლის მოსახლეობამ თუ ხელისუფლებამ მისთვის მინიჭებული უფლებები და საშუალებები მაქსიმალურად გამოიყენოს.

მართალია, ქვეყნის მეთაურის გუშინდელი პრესკონფერენციის თემა შიდა ქართლში ჩატარებული ოპერაცია იყო, მაგრამ მან გვერდი არც სხვა საკითხებს აუარა.

არაერთხელ გაუსვა ხაზი საგზაო პოლიციის თანამშრომელთა მუშაობის გამო თავის უკმაყოფილებას: თავდაპირველად თითქოს გამოსწორებული საგზაო პოლიციელები ისევ ძველ საქმეს მიუბრუნდნენო. პრეზიდენტი განრისხებულია, რადგან ახლა მაღალ ეშელონებში კორუფცია მომსპარია და გარდა ამისა, პოლოციელებს უკვე შედარებით ნორმალური ხელფასიც აქვთ დანიშნული. პრეზიდენტი საგზაო პოლიციელებს გამოსასწორებლად 15 ივლისამდე აძლევს ვადას. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირობას იძლევა, რომ სამასხურიდან უკლებლივ ყველა პოლიციელი იქნება დათხოვნილი. პოლიცელების შემდეგ პრეზიდენტი უკვე საბაჟოს თანამშრომელბისთვის აპირებს მოიცალოს. მათაც სამსახურიდან დათხოვნის საშიშროება ემუქრებათ, თუ თავისი მოვალეობა პირნათლად არ შეასრულეს. სააკაშვილი ამაყობს საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ (ტექნიკის თვალსაზირისით) ბოლო დროს მიღწეული შედეგებით, რომელიც 26 მაისის აღლუმზეც დაფიქსირდა, მაგრამ აქვე ხაზს უსვამს, რომ მომავალ აღლუმზე ჩვენი შეიარაღება მინიმუმ უნდა გაორმაგდეს. ამისათვის ქვეყნის პრეზიდენტს სპეციალური საერთაშორისო ფონდის ჩამოყალიბებაც კი აქვს ჩაფიქრებული.

სააკაშვილი დიდ პრობლემას ვერ ხედავს აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებული პერიპეტიების გამო. "ვისაც უნდა დაეტოვებინა ორგანიზაციის რიგები, მან დატოვა კიდეც," - აცხადებს ქვეყნის მეთაური. იმის განსამარტავად კი, თუ რატომ უნდა დატოვონ აჭარის უზენაესი საბჭოს წევრობის მსურველებმა პარლამენტის დეპუტატის მანდატი, მას თავისი მაგალითი მოჰყავს. საკრებულოში მოხვედრის სანაცვლოდ პარლამენტის წევრის მანდატი სრულიად ადვილად დავთმე და, გარდა ამისა, **"ბათუმის კანალიზაციის პრობლემები თბილისიდან ნამდვილად არ ჩანსო"**.

## ათ დღეში საქართველო დენის ექსპორტს შეძლებს

### რუსეთიდან თურქეთში დენის ტრანზიტზე საუბარი კი, ჯერჯერობით, ნაადრევია

მაია ურუშაძე

საქართველოში ენერგოდეფიციტია, რომელიც კიდევ ათ დღეს გასტანს. ამის თაობაზე გუშინ ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა. საქმე ისაა, რომ ქვეყნის ძირითადი ელექტრომომმარაგებელი ჰიდროელექტროსადგურის - ენგურჰესის ერთ აგრეგატზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, მეორე აგრეგატი კი მწყობრიდან არის გამოსული და მის შეკეთებას მინიმუმ ათი დღე დასჭირდება.

შედეგად, თბილისი შეზღუდულია, თუმცა, გილაურის განმარტებით, მიმდინარეობს მოლაპარაკება "ჩერნომორენერგოსთან" (აფხაზეთის ენერგოსისტემა), რომ აფხაზურმა მხარემ ენგურჰესიდან დენის მოხმარება ოდნავ შეამციროს. ეს ქართულ მხარეს საშუალებას მისცემს, სრულფასოვნად მოამარაგოს თბილისი, ქუთაისი, რუსთავი და ელექტროენერგია კარგ გადამხდელ რეგიონებსაც უწყვეტად მიაწოდოს.

გილაურის პროგნოზით, ყველაზე პესიმისტურ შემთხვევაშიც კი, ივნისის მეორე ნახევრიდან საქართველო ელექტროენერგიის ექსპორტს შეძლებს.

მისი თქმით, 10 ივნისს ამუშავდება ენგურჰესის ერთი მწყობრიდან გამოსული აგრეგატი, 15-16 ივნისიდან კი შესაძლებელი გახდება ელექტროენერგიის ექსპორტი თურქეთში ან აზერბაიჯანში. წინასწარი მონაცემებით, თუ ჰესის ოთხი აგრეგატი იმუშავებს, საქართველოს თვეში 120 მლნ კილოვატსაათი ელექტროენერგიის ექსპორტის საშუალება ექნება. როგორც მინისტრმა "24 საათთან" საუბრისას დააზუსტა, თურქეთის მხარემ საქართველოდან დენის შესყიდვის სურვილი უკვე ღიად გამოხატა.

რაც შეეხება რუსეთიდან თურქეთში დენის ტრანზიტს, ეს საკითხი, ჯერჯერობით, ფერხდება. გილაური აკონკრეტებს, რომ ამ თემაზე საუბარი ნაადრევია, რადგან რუსეთ-საქართველოს მაკავშირებელი 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი "კავკასიონი" ჯერ აღდგენილი არ არის.

თუმცა, ამ პროექტის ხორცშესასხმელად მთავრობაში დიდი ფუსფუსია. საქართველოს მაღალი ძაბვის ხაზების ოპერატორ კომპანია "საქრუსენერგოს" ხელმძღვანელობაში საკადრო ცვლილება განხორციელდა და კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტომ ცნობილი სახე - საქართველოს ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი მამუკა ნიკოლაიშვილი დანიშნა.

საქართველო-რუსეთის ერთობლივი საწარმო "საქრუსენერგო" ორი ქვეყნის თანაბარი წილობრივი მონაწილეობითაა შექმნილი, ოღონდ რუსეთს მისი საწესდებო კაპიტალი დღემდე არ შეუვსია. ექვსკაციანი სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც კომპანიას მართავს, პარიტეტულია და მასში სამი - ქართული, სამიც რუსული მხარის წარმომადგენელი შედის.

### ორი სიტყვით

**თბილისი.** ივნისის მეორე ნახევარში ფოთსა და რუსეთის პორტ "კავკაზს" შორის ახალი საბორნე გადასასვლელი გაიხსნება. "ის საგრძნობლად გაამარტივებს ორი ქვეყნის კომპანიებს შორის ტვირთების ტრანსპორტირების საკითხს," - განაცხადა ფოთის პორტის ხელმძღვანელმა, აჭარის დროებითი საბჭოს წევრმა ჯემალ ინაიშვილმა. მისი თქმით, პროექტი რუსულ საზღვაო კომპანია "ალ შიპ"-თან ერთად ხორციელდება. არაა გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში ფოთისა და ბათუმის ნავსადგურის ერთიანი ადმინისტრაცია შეიქმნას. ამ დღეებში იგეგმება ბათუმის ნავსადგურის სამართლებრივი სტატუსის შეცვლა და ის საჯარო სამართლის იურიდიული პირი გახდება. "ჯერჯერობით, რუსეთის მხრიდან ფოთის პორტში საინვესტიციო ინტერესი არ არსებობს; მთავარია, რომ შეხების წერტილები მოიძებნოს," - განაცხადა ინაიშვილმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "გაერთიანებული ქართული ბანკი" და "საქართველოს ბანკი" საქართველოს ეროვნული ბანკისგან რეგულირების სავალდებულო რეზერვის 13 პროცენტიანი გადასახადის შემცირებას მოითხოვს. "საქართველოს ბანკის" მმართველი ვლადიმერ პატეიშვილი საპროცენტო განაკვეთის დაწევას საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ საფუძვლად მიიჩნევს, რადგან განაკვეთის შემცირების შემთხვევაში კომერციულ ბანკებს მეწარმეებისთვის დაბალპროცენტიანი სესხის მიცემის საშუალება ეძლევათ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატის გოჩა ფიფიას განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებამ შესაძლოა, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების სანაცვლოდ, რუს ბიზნესმენებს ქვეყნის სტრატეგიული ობიექტები შესთავაზოს. პირადად მას კი, მსგავსი გარიგებების სანაცვლოდ დაბრუნებული არც აფხაზეთი და არც სამაჩაბლო არ სურს. პარლამენტარი მოითხოვს, შეიქმნას ორგანიზაცია, რომელიც ქართული ბიზნესის დაცვაზე იზრუნებს, რადგან უცხოური ინვესტიციებით ქართული ბიზნესი იჩრდილება. **მედია-ნიუსი**

# ნავთობბიზნესი და ფინანსური ნაკადები

პირველი გვერდიდან

ნარკოტიკებით და იარაღით არალეგალური ვაჭრობა, ავტომანქანებით და ნავთობპროდუქტებით ლეგალურ ვაჭრობასთან ერთად, უდიდეს ფინანსურ ნაკადებს წარმოშობს. ვინ გააკონტროლებს ამ ფინანსურ ნაკადებს? რა ძალებს მოემსახურება ეს ფინანსური ნაკადები - კონსტრუქციულს თუ დესტრუქციულს, ინტეგრაციულს თუ დეზინტეგრაციულს რეგიონში, რომლის ძირითადი ქვეყნები კბილებამდე არიან შეიარაღებულნი და ზოგი მათგანი ბირთვულ იარაღსაც ფლობს ან ახლოს არის მის შექმნასთან?

ამ კითხვებზე შესაძლო პასუხების შინაარსზე არის დამოკიდებული არა მარტო ამ რეგიონის, არამედ მთელი განვითარებული მსოფლიოს სტაბილურობა და უსაფრთხოება.



*ნავთობის ბიზნესში სპარსეთის ყურის ქვეყნების წილის გაზრდასთან ერთად გაიზრდება ტერორიზმისა და დესტაბილიზაციის საფრთხეები.*

### ნავთობბიზნესი და საერთაშორისო ფინანსური ნაკადები

ამჟამად ნავთობი და მასთან დაკავშირებული ბიზნესი (მოპოვებიდან სადისტრიბუციო ქსელამდე, სხვადასხვა სახის გადასახადების ჩათვლით) ფინანსებში გამოხატული 2 ტრილიონ დოლარს შეადგენს. ამ თანხიდან დაახლოებით 700 მილიარდი დოლარი წარმოების ხარჯებია - მოპოვებიდან გადამუშავებისა და დისტრიბუციის ჩათვლით. დანარჩენი 1 ტრილიონ 300 მილიარდი - სუფთა მოგება, რომელსაც ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნები იყოფენ. სხვა საკითხია ნავთობის ბიზნესთან დაკავშირებული არალეგალური შემოსავლები, ქრთამებისა და საჩუქრების სახით, ნავთობბიზნესი ხომ დღემდე ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებ გამჭვირვალე ბიზნესად რჩება მსოფლიოში.

როგორ იყოფა ეს უზარმაზარი თანხა ენერგეტიკული ბაზრის მონაწილეებს შორის? როგორია ამ შემოსავლების გადანაწილების პერსპექტივა?

### ექსპორტიორი ქვეყნების წილი

ექსპორტიორი ქვეყნების წილი საბოლოო მოგებაში დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია მათი დანახარჯები მოპოვებაში. მოპოვების სექტორში დანახარჯები ბარელზე 1-15 დოლარამდე ვარირებს. მაგალითად, საუდის არაბეთში, კუვეიტში, გაერთიანებულ საემიროებში და ერაყში მოპოვების რეალური დანახარჯები ძალზე დაბალია და 1-3 დოლარს შეადგენს. ამ ქვეყნებს აქვთ საზღვაო ტერმინალები და ღრმა პორტები, რაც ამცირებს მათი რესურსის შორ მანძილებზე გადაზიდვის დანახარჯებს.

მეორე რიგის ექსპორტიორი ქვეყნებია რუსეთი და კასპიისპირეთი, სადაც ბარელი ნავთობის მოპოვება გაცილებით ძვირი ჯდება. რუსეთის და კასპიისპირეთის ქვეყნების რესურსები განთავსებულია საერთაშორისო საზღვაო მაგისტრალებიდან მოშორებით, რაც აძვირებს მათი ტრანსპორტირების დანახარჯებს. აქედან გამომდინარე ამ ქვეყნების წილი საბოლოო მოგებაში სპარსეთის ყურის ექსპორტიორი ქვეყნების მოგების წილზე გაცილებით ნაკლებია და მომავალშიც ასე იქნება.

მოგების წილი დამოკიდებულია არეთვე ექსპორტის მოცულობაზე. დღეს OPEC-ის წევრი ქვეყნები უზრუნველყოფენ საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნის დაახლოებით 35 პროცენტს (2003 წელს მსოფლიო მოხმარება იყო 75 მილიონი ბარელი დღეში, საიდანაც OPEC-ის წილია 25 მილიონი ბარელი დღეში). აქედან თავად OPEC-ის წევრი სპარსეთის ყურის ქვეყნების წილი 70 პროცენტი იყო.

OPEC-ის ანალიტიკური რევიუს თანახმად, 2002 წელს სპარსეთის ყურის ქვეყნების ექსპორტმა 170 მილიარდი დოლარი შეადგინა, საიდანაც 137 მილიარდი ნავთობის და ნავთობპროდუქტების ბიზნესზე მოდიოდა. ეს თანაფარდობა იმაზე მიუთითებს, რომ ამ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკა მონოკულტურული ხასიათისაა და ძირითადად ენერგორესურსების ექსპორტზეა ორიენტირებული.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში მცირე მოსახლეობის მქონე ექსპორტიორების (კუვეიტი, კატარი, გაერთიანებული საემიროები და საუდის არაბეთი) წილი ნავთობის ბიზნესში და, შესაბამისად, მოგებაში გაცილებით მეტი იყო, ვიდრე რეგიონის გიგანტების - ირანისა და ერაყის, რომლებიც საერთაშორისო სანქციების ქვეშ იმყოფებოდნენ.

### იმპორტიორი ქვეყნების შემოსავლები

იმპორტიორი ქვეყნები ნავთობის იმპორტიდან შემოსავლებს იღებენ სხვადასხვა საიმპორტო მოსაკრებლების სახით. ამ მოსაკრებლების მოცულობა განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში. ყველაზე მაღალი მოსაკრებლები ნავთობის იმპორტზე დაწესებულია ევროკავშირის ქვეყნებში (საფრანგეთი, იტალია, გერმანია), დიდ ბრიტანეთსა და იაპონიაში. ამ ქვეყნებში საიმპორტო გადასახადი ნედლი ნავთობის ფასს თითქმის უტოლდება და ზოგჯერ აღემატება კიდეც. ყველაზე დაბალი საიმპორტო ტარიფი ნავთობზე აშშ-ია. სპარსეთის ყურის ქვეყნების დღევანდელი ექსპორტის უდიდესი ნაწილი სწორედ ევროკავშირსა და იაპონიაზე მოდის და არა აშშ-ზე.

განვითარებული ქვეყნები მაღალი საიმპორტო ტარიფებით მიღებული შემოსავლებით აფინანსებენ სხვადასხვა გარემოსდაცვით ღონისძიებებს, სამეცნიერო კვლევებს, არსებული ენერგეტიკული წყაროების უფრო ეფექტური გამოყენების, ახალი ტექნოლოგიების შექმნის და ინფრასტრუქტურის განახლების პროექტებს.

OPEC-ის ვებ-საიტზე განთავსებულია ანალიტიკური მასალა, რომელიც ასახავს მოგების წილის განაწილების სქემას ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს შორის 1996-2000 წლებში. ამ მასალის მიხედვით, დიდი შვიდეულის ქვეყნებმა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტიდან გაცილებით მეტი მოგება მიიღეს, ვიდრე ექსპორტიორებმა. წლიური მოგება გადანაწილდა პროპორციით - 270 მილიარდი - 170 მილიარდი დიდი შვიდეულის სასარგებლოდ.

მოგების განაწილების ასეთი თანაფარდობა გასაგებია, ვინაიდან იგი ასახავს საერთაშორისო ენერგეტიკული ბაზრის განაწილების თანაფარდობას 65 პროცენტი 35 პროცენტზე - ნავთობის იმპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის არაწევრ ქვეყნებს (Non-OPEC) და ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს (OPEC) შორის არაწევრი ქვეყნების სასარგებლოდ. ანუ, საერთაშორისო ენერგეტიკული ბაზრის მომარაგების მიხედვით, ნავთობის ექსპორტიორთა ორგანიზაციის არაწევრი ქვეყნების წილი (65 პროცენტი) OPEC-ის წილზე (35 პროცენტი) გაცილებით მეტია.

### ტენდენციები საერთაშორისო ენერგეტიკულ ბაზარზე

1999-2000 წლებში დაიწყო ნავთობზე ფასების სტაბილიზაცია, რასაც შემდგომ წლებში ფასების ზრდა მოჰყვა.

სავარაუდოა, რომ ენერგორესურსებზე მაღალი ფასები შენარჩუნდება. საზოგადოდ, ექსპორტიორებს ხელს არ უნდა აძლევდეთ ნავთობზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდა, ვინაიდან ეს მოხმარების შემცირებას და შესაბამისად - მოგებაში ექსპორტიორების წილის შემცირებას იწვევს ხოლმე. ამჟამად განსაკუთრებული ვითარებაა, ამჟამინდელი ფასების აწევა არანაირად არ უნდა იყოს დაკავშირებული ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის დარღვევასთან. უფრო სავარაუდოა, რომ დოლარის კურსის დაცემამ სხვა ვალუტებთან მიმართებაში ამ ვალუტაზე მიბმული ნავთობის ბიზნესი შემოსავლების ინდექსაციის აუცილებლობის წინაშე დააყენა (როგორც ექსპორტიორები, ისე იმპორტიორები).

იმპორტიორები, რომლებიც ნავთობზე და ნავთობპროდუქტებზე არსებული მაღალი საიმპორტო ტარიფებით დიდ მოგებას იღებენ, ისევე არიან დაინტერესებული მოგებაში საკუთარი წილის შენარჩუნებაით, როგორც ექსპორტიორები.

სავარაუდოა, რომ იმპორტიორი ქვეყნები არც მომავალში წავლენ ნავთობის და ნავთობპროდუქტების იმპორტიდან მოგების საკუთარი წილის შემცირებაზე. მათი ამგვარი პოზიცია ეფუძნება სრულიად კონკრეტულ რეალობას. კერძოდ, 80-იან წლებში ნავთობზე დაბალი ფასების დროს იმპორტიორი ქვეყნების მოგება ისევე შემცირდა, როგორც OPEC-ის წევრი ქვეყნების მოგება. იმპორტიორ ქვეყნებს არ აღმოაჩნდათ საკმარისი ფინანსური რესურსი ენერგეტიკული სექტორების განახლებაში ინვესტირებისათვის.

დღეს მთელი საერთაშორისო ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა (მოპოვებიდან დისტრიბუციამდე, ელექტროენერგიის გენერაციის ჩათვლით) სავალალო მდგომარეობაშია და 16 ტრილიონი დოლარის ინვესტირებას მოითხოვს. იმპორტიორ ქვეყნებში საიმპორტო ტარიფების და მოსაკრებლების შემცირების შემთხვევაში შემცირდებოდა იმ საფინანსო რესურსების ბაზა, რომლიდანაც ტრადიციულად ფინანსდება ხოლმე სხვადასხვა გარემოსდაცვითი ღონისძიებები, სამეცნიერო კვლევები, ამორტიზირებული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განახლების პროექტები.

განვითარებულ ქვეყნებთან ერთად მათი ტრანსნაციონალური ნავთობკომპანიებიც დაინტერესებულნი არიან ნედლ ნავთობზე მაღალი ფასების შენარჩუნებით. 1973-74 წლების ნავთობის კრიზისისა და ახლო აღმოსავლეთის ენერგეტიკული სექტორების სრული ნაციონალიზაციის შემდეგ, ტრანსნაციონალურ კომპანიებს ხელი აღარ მიუწვდებათ საუდის არაბეთის, კუვეიტის, გაერთიანებული საემიროების, ირანისა და ერაყის უმდიდრეს რესურსებზე, სადაც მოპოვება ბარელზე 1-3 დოლარამდე ჯდება. საერთაშორისო საზღვაო მაგისტრალებთან სიახლოვე კი ხელსაყრელს ხდის მათ გადაზიდვებს შორეულ მანძილზე.

განვითარებული ქვეყნების ტრანსნაციონალური ნავთობკომპანიები შესული არიან და მოპოვებას აწარმოებენ იმ საბადოებზე, სადაც რესურსული ბაზა ხანგრძლივი ექსპლუატაციის შედეგად შემცირებულია (მექსიკის ყურე, ჩრდილოეთის ზღვა, ნიგერია) და მოპოვება ბარელზე 7-15 დოლარი ან მეტი ჯდება, ან დაშორებულია საერთაშორისო საზღვაო გზებიდან, რაც აძვირებს რესურსის გადაზიდვას (კასპიისპირეთი). ახალი აღმოჩენილი საბადოებიც ან დიდ სიღრმეებზეა განთავსებული, ან არქტიკულ ზოლშია, ან დაშორებულია საზღვაო სატრანზიტო მაგისტრალებიდან, რაც აძვირებს როგორც მათ მოპოვებას, ისე ტრანსპორტირებას.

ამიტომ, სანამ დოლარის კურსი არ დარეგულირდება, ან ძველ ნიშნულს არ დაუბრუნდება, ნავთობზე და ნავთობპროდუქტებზე ფასების ვარდნა 32-35 დოლარის ქვემოთ მოსალოდნელი არ უნდა იყოს.

### ტენდენციები დროის ხანგრძლივ პერსპექტივაში, ანუ 2025 წლამდე

2025 წლამდე პერიოდში ენერგორესურსებზე მოთხოვნის სერიოზული ზრდაა მოსალოდნელი როგორც მაღალგანვითარებულ, ისე განვითარებულ სამყაროში. მაგალითად, თუ 2001 წელს აშშ დღეში 19,6 მილიონ ბარელ ნავთობს მოიხმარდა, 2025 წლისათვის მისი მოხმარება 29,2 მილიონი ბარელი იქნება, ანუ 11 მილიონი ბარელით გაიზრდება. მოთხოვნის კიდევ უფრო მეტი ზრდა არის მოსალოდნელი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ჩინეთისა და ინდოეთის ჩათვლით. ამ რეგიონში ნავთობზე მოთხოვნა 15 მილიონი ბარელით გაიზრდება და 2001 წელს დღეში 5,4 მილიონი ბარელიდან 20 მილიონ ბარელს მიაღწევს. ამ რეგიონში ნავთობზე მოთხოვნის ზრდა შეიძლება უფრო მეტიც იყოს. ნავთობზე მოთხოვნის უმნიშვნელო ზრდა არის მოსალოდნელი ევროკავშირის ქვეყნებში.

რაც შეეხება გაზს, თუ გავითვალისწინებთ კიოტოს ოქმს მავნე აირების გამოყოფის შეზღუდვასთან და სათბურის ეფექტთან დაკავშირებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ გაზზე მოთხოვნა უნდა გაიზარდოს და შეიძლება, უფრო მეტადაც, ვიდრე ნავთობზე, განსაკუთრებით ევროკავშირსა და აშშ-ში.

რომელმა რესურსულმა ბაზამ უნდა უზრუნველყოს მოთხოვნის ასეთი ზრდის დაკმაყოფილება საერთაშორსო ბაზარზე?

ნავთობისა და გაზის დადგენილი რეზერვების თანაფარდობა OPEC-ს და დანარჩენ მსოფლიოს შორის ასე გამოიყურება: 75 პროცენტი - 25 პროცენტი. OPEC-ის წევრი ქვეყნების დადგენილი რეზერვების 75 პროცენტიდან 70 პროცენტი სპარსეთის ყურეშია კონცენტრირებული. აქედან გამომდინარე, მართებულია ვარაუდი, რომ ნავთობზე და გაზზე გაზრდილი მოთხოვნის მეტი წილის დაკმაყოფილება მოხდება სპარსეთის ყურის ქვეყნების რესურსების ხარჯზე. ამ ვარაუდს განამტკიცებს ის ფაქტიც, რომ ამ რეგიონს იდეალური გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს ორივე მზარდ ბაზართან, როგორც აშშ-სთან და ევროკავშირთან, ისე ჩინეთთან და ინდოეთთან მიმართებაში.

**თუ ეს ვარაუდი მართებულია, 2005-2025 წლამდე ინტერვალში ნავთობზე და გაზზე თუნდაც არსებული ფასების შენარჩუნების პირობებში, სპარსეთის ყურის ქვეყნები პოტენციურად უდიდესი შემოსავლების პატრონები გახდებიან. მათი ბაზრის წილი დღევანდელი 35 პროცენტიდან შეიძლება 60-70 პროცენტამდე გაიზარდოს, შესაბამისად შეიცვლება მოგების წილების თანაფარდობა მათ სასარგებლოდ. ანუ, თუ დღეს 1 ტრილიონ 300 მილიარდი დოლარიდან სუფთა მოგების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს იღებენ, ათი და მეტი წლის შემდეგ ნავთობის ბიზნესის საერთო ღირებულების ზრდასთან ერთად გაიზრდება მათი წილიც სუფთა მოგებაში და ეს თანხა შეიძლება ტრილიონებშიც იყოს გამოსახული.**

**ის პოლიტიკური ჯგუფები, ვინც ამ ფინანსურ ნაკადებს გააკონტროლებენ, თუ მოინდომებენ, შეძლებენ კიდეც, აქცენტები შეცვალონ საერთაშორისო პოლიტიკაში. აქედან გამომდინარე, ჭარბი კაპიტალების პრობლემა შესაძლოა, კვლავ დღის წესრიგში დადგეს და უფრო მძიმე ფორმით და შედეგებით.**

**ის პოლიტიკური ჯგუფები, ვინც სპარსეთის ყურის ფინანსურ ნაკადებს გააკონტროლებენ, თუ მოინდომებენ, შეძლებენ კიდეც აქცენტები შეცვალონ საერთაშორისო პოლიტიკაში. ჭარბი კაპიტალების პრობლემა შესაძლოა კვლავ დღის წესრიგში დადგეს - უფრო მძიმე ფორმით და შედეგებით.**

### ჭარბი ნავთობდოლარების პრობლემა - ისტორიული გამოცდილება

ჭარბი ნავთობდოლარების პრობლემა ახალი ფენომენი არ არის. იგი წარმოიშვა 1973 წლის კრიზისისა და OPEC-ის წევრი ქვეყნების ენერგეტიკული სექტორების ნაციონალიზაციისა და ნავთობზე ფასების მრავალჯერადი მატების შედეგად.

მართლაც - 1973-83 წლები OPEC-ის წევრი სპარსეთის ყურის ქვეყნების ოქროს ხანად ითვლება. იმ პერიოდში ამ ქვეყნებმა, ერთი წყაროს ცნობით, 600 მილიარდი დოლარის მოგება მიიღეს. მაშინდელი დოლარის კურსით ეს უზარმაზარი კაპიტალი იყო. მიუხედავად ამისა, სპარსეთის ყურის ექსპორტიორებმა ვერ მოახერხეს თავისი ეკონომიკის დივერსიფიცირება. დღემდე ნედლი ნავთობის ექსპორტი მათი საგარეო ექსპორტის ერთადერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. იმ პერიოდში მიღებული ნავთობდოლარების ინვესტირება სამი მიმართულებით მოხდა:

- დასავლეთის ეკონომიკაში, ამ ქვეყნების ეკონომიკაზე გავლენის გაძლიერების მიზნით; მიუხედავად პანარაბული რიტორიკისა, რეგიონის ქვეყნებმა კაპიტალის ძირითადი ნაწილი რეგიონის ენერგეტიკული რესურსებით ნაკლებ მდიდარი ან ჭარბი მოსახლეობის მქონე მოძმე ქვეყნებში არ ჩადეს.
- თავდაცვის უნარიანობის ამაღლებასა და რეგიონში დომინანტი მდგომარეობის მოსაპოვებლად ღია ბრძოლაში. ამ კონტექსტში იკითხება ირან-ერაყის ომი 1980-1988 წლებში, საბჭოთა კავშირის სამხედრო კამპანია ავღანეთში 1979-1988 წლებში, ერაყის მიერ კუვეიტის ოკუპაცია 1991 წელს და კოალიციის პირველი სამხედრო კამპანია ერაყში.
- ფარულ ბრძოლაში პოლიტიკური გავლენის გაზდის მიზნით ისლამურ სამყაროში, რომელიც დღესაც გრძელდება. ჭარბი ნავთობდოლარების წარმოქმნის პერიოდს ემთხვევა ისლამისტური ტერორისტული მოძრაობის გაჩენა ალჟირიდან ავღანეთამდე. ბევრი ექსპერტი სამართლიანად ვარაუდობს, რომ ამ მოძრაობას ნარკო და ნავთობ-დოლარები ასაზრდოებენ.

ამ მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი - "ალ-ქაიდა" - ცდილობს, დანარჩენი ორგანიზაციების ერთი ცენტრის ქვეშ გაერთიანებას და ტერორისტული აქტების გზით საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოპოვებას.

ფუნდამენტალიზმის აგრესიული ექსპანსია და ტერორიზმი საფრთხეს უქმნის მაჰმადიანური ქვეყნების და მაჰმადიანური უმცირესობების მქონე ქვეყნების შიდაპოლიტიკურ სტაბილურობას როგორც შუა აღმოსავლეთში, ასევე რუსეთში, თურქეთში, კასპიისა და შავი ზღვების აუზებში და მთლიანად მსოფლიოში.

**ამგვარად, 1973-74 წლების კრიზისისა და ნაციონალიზაციის შემდეგ სპარსეთის ყურის ქვეყნების ენერგეტიკულ სექტორებს ერთეული სახელმწიფო კომპანიები მართავენ, რომლებიც მმართველი კლანების სრული კონტროლის ქვეშ იმყოფებიან. ეს კლანები, თავის მხრივ, ნავთობის ბიზნესიდან მიღებულ შემოსავლებს იყენებენ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად როგორც მათი ქვეყნების შიგნით, ისე მათ გარეთ, რეგიონულ და საერთაშორისო ასპარეზზე. ამ კლანების პოლიტიკური ინტერესები ყოველთვის არ ემთხვევა და ხშირად წინააღმდეგობაში მოდის დემოკრატიული განვითარებისა და რეგიონული სტაბილურობის საერთაშორისო იმპერატივებთან.**

**თუ რეგიონში ძირეული გადაქმნები არ მოხდა, დემოკრატიზაციისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის მიმართულებით, ნავთობის ბიზნესში სპარსეთის ყურის ქვეყნების წილის გაზრდასთან ერთად გაიზრდება ტერორიზმისა და დესტაბილიზაციის საფრთხეები.**

**გლობალურ საერთაშორისო გარემოში ეს საფრთხეები გლობალურ ხასიათს ატარებს და მათი თავიდან აცილება პოზიტიურ ძალთა გაერთიანებას მოითხოვს. ამ კონტექსტში უნდა იყოს განხილული საერთაშორისო ანტიტერორისტული კამპანია და მასში საქართველოს მონაწილეობაც.**

**ამ საფრთხეების თავიდან აცილება პოზიტიურ ძალთა გაერთიანებას მოითხოვს. ამ კონტექსტში უნდა იყოს განხილული საერთაშორისო ანტიტერორისტული კამპანია და მასში საქართველოს მონაწილეობა.**

# ერაყი - კოალიციის განხეთქილების დასაწყისი?

ლაშა გიორგიძე

*ახლოვდება დრო, როდესაც ერაყის მმართველობა ადგილობრივ მთავრობას უნდა გადაეცეს. უამრავ წინააღმდეგობასთან ერთად, რაც თან ახლდა ჯერ ომის დიპლომატიურ მომზადებას და საერთაშორისო საზოგადოების დარწმუნებას მის აუცილებლობაში, შემდეგ კი დაპირისპირებას გაერო-სა და ნატო-ში, ახლა დაერთო წინააღმდეგობა კოალიციის ისეთ წამყვან წევრებს შორის, როგორიც აშშ და დიდი ბრიტანეთია. ამავდროულად, ერაყის ომი აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში იმ განმსაზღვრელ საკითხს წარმოადგენს, რომლის წყალობითაც ჯორჯ ბუშს თეთრი სახლის დატოვების პერსპექტივა აქვს.*



*ბუშს და ბლერს ერაყში უკვე საკუთარი ინტერესები გაუჩნდათ. იმავდროულად ერაყის ომი აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში იმ განმსაზღვრელ საკითხს წარმოადგენს, რომლის წყალობითაც ჯორჯ ბუშს თეთრი სახლის დატოვების პერსპექტივა აქვს.*

ოფიციალური შეთანხმების თანახმად, 2004 წლის 30 ივნისს ძალაუფლება კოალიციის დროებითი ხელისუფლებიდან გადაეცემა ერაყის დროებით მთავრობას. შესაბამისად, დღეს არსებული მმართველობის ორგანოები შეწყვეტენ არსებობას და მთავრობის ხელმძღვანელი, აშშ-ს მიერ დანიშნული დროებითი მმართველი პოლ ბრემერი სამშობლოში გაემგზავრება. შეიძლება ითქვას, რომ 30 ივნისი ოკუპაციის დასასრული იქნება. ამის ოფიციალურ დოკუმენტში დაფიქსირებასაც ითხოვს დიდი ბრიტანეთი. ზუსტად არის განსაზღვრული ერაყის სახელმწიფოსა და მთავრობის ფორმირებისათვის გადასადგმელი აუცილებელი ნაბიჯები. 2005 წლის იანვარში ერაყის ეროვნული ასამბლეის არჩევნები გაიმართება, ხოლო იმავე წლის შემოდგომაზე ჩატარდება რეფერენდუმი, სადაც კენჭს უყრიან ახალი კონსტიტუციის მიღებას. 2005 წლის დეკემბერში დაგეგმილია ერაყის ახალი მთავრობის არჩევნები, სადაც გამარჯვებული 2006 წლის იანვრიდან შეუდგება უფლებამოსილების განხორციელებას. შეთანხმების თანახმად, ქვეყანას ეყოლება პრეზიდენტი და ორი ვიცე-პრეზიდენტი, ასევე 26 მინისტრისგან დაკომპლექტებული მთავრობა და პრემიერ-მინისტრი, რომელსაც საკმაოდ გაზრდილი უფლებები ექნება.

ჯორჯ ბუშმა რამდენიმე დღის წინ თავის მიმართვაში განაცხადა, რომ ამერიკელი სამხედროები ერაყის ოკუპაციისთვის კი არა, ამ ქვეყნის გასათავისუფლებლად იმყოფებიან რეგიონში, თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რამდენად შეიძლება კოალიციის ძალები მხოლოდ ერაყის სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის ზრუნავდეს. იმის თქმაც გაგვიჭირდება, რომ 2004 წლის 30 ივნისს დამთავრდება ერაყის ოკუპაცია (ან თუნდაც ერაყის გათავისუფლება) და ხელისუფლება მთლიანად გადაეცემა ერაყის დროებით მთავრობას. ამ უკანასკნელს არ ექნება უფლება, ცვლილება შეიტანოს რომელიმე ძირითად კანონში, არ ექნება სრული უფლება, რომ გადაწყვიტოს კოალიციის ჯარების ბედი - გავლენ თუ არა ისინი ერაყის ტერიტორიიდან. ერაყის დროებით მთავრობას მიეცემა შესაძლებლობა, მხოლოდ ფორმალურად აკონტროლოს ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი და უძვირფასესი რესურსი - ნავთობი და მისგან მიღებული შემოსავლები. ერაყში შემოსულ დახმარებას კი სრულად აკონტროლებს აშშ-ს საელჩო. ზემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე მაგალითიდანაც კარგად ჩანს, თუ რამდენად შეძლებს ერაყის დროებითი მთავრობა, ჩაერიოს ქვეყნის შემდგომ განვითარებაში. მთავარი საერთაშორისო სუბიექტების ასეთი მოქმედება ახალი სახით ქვეყნის ოკუპაციას უფრო ნიშნავს, რაც არათუ ასუსტებს, არამედ ზრდის კიდეც აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის გავლენას ერაყში. რაც შეეხება ერაყის უსაფრთხოების სისტემების ჩამოყალიბებას, მართალია, მთავრობას ექნება იმის ძალაუფლება, რომ ძირითადი გადაწყვეტილებები მიიღოს, თუმცა ერაყის ეროვნული უშიშროების საბჭოში აშშ-ს გენერლებიც იქნებიან, რომლებიც, ალბათ, მეორეხარისხოვან ფუნქციას არ შეასრულებენ გადაწყვეტილებების მიღების დროს.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის სიტყვებით, ერაყის უშიშროების საბჭოს უნდა ჰქონდეს ვეტოს უფლება, რათა ამერიკელი სამხედროების მიერ არ განხორციელდეს ისეთი შეტევა, რაც ფალუჯაში მოხდა. ერაყის დროებით მთავრობას ყველასაგან დამოუკიდებლად ეძლევა უფლება, რომ აკონტროლოს თვით ერაყის შეიარაღებული ძალები და გადაწყვიტოს მისი კონკრეტულ ტერიტორიაზე განლაგება.

დღესდღეობით დავის საგანს წარმოადგენს კოალიციის ჯარების, განსაკუთრებით - აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის სამხედრო შენაერთების მომავალი ბედი. რამდენიმე დღეში დაიწყება კენჭისყრა ახალი რეზოლუციის პროექტზე, რომელიც აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა შეიტანეს გაერო-ს უშიშროების საბჭოში. აქაც დაყენებულია კოალიციის სამხედროების საკითხი. ამ პროექტის განხილვამ კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ დაპირისპირება არსებობს არა მხოლოდ მუსლიმური სამყაროს ერთ ნაწილსა და აშშ-ს შორის, არამედ თვით გაერო-ს უშიშროების საბჭოში, სადაც თითოეულ წევრს აქვს გადაწყვეტილებაზე ვეტოს დადების უფლება. პირველი განცხადება საფრანგეთის მხრიდან გაისმა. იგი გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია და იმ "სამეულში" შედის (რუსეთთან და გერმანიასთან ერთად), რომელიც ეწინააღმდეგებოდა ომის დაწყებას ერაყში. აღდგება თუ არა ძველი სამეული, ამას რამდენიმე დღეში ვნახავთ, თუმცა ერთი ცხადია: ამ ომის მიმდინარეობის მთელ პროცესში არც ერთი მათგანის პოზიცია არ შეცვლილა - მათ არც სამხედროები გაუგზავნიათ ერაყში და თითოეული მათგანი ცდილობდა, რომ ერაყში შექმნილი ნებისმიერი წინააღმდეგობა თავისი საგარეოპოლიტიკური პოზიციის გასამართლებლად გამოეყენებინა.

ახლა კი, როდესაც გამარჯვებული გამოვლენილია და საქმე ამ გამარჯვების სანაცვლოდ "დამსახურებული სარგებელის" მიღებას ეხება, გავლენის სფეროებსაც კოალიციის წამყვანი ძალები გადაინაწილებენ, შესაბამისად - აშშ და დიდი ბრიტანეთი. ფაქტია, რომ მათი შედგენილი რეზოლუციის პროექტიც ამ მიზანს ემსახურება. გაერო-ს უშიშროების საბჭო კი ამ ეტაპზე ის ასპარეზია, სადაც საფრანგეთმაც და რუსეთმაც თავიანთი კეთილშობილური ზრახვები უნდა დაადასტურონ, რომ მთავარია არა კოალიციის, არამედ ერაყელი ხალხის ინტერესები და საბჭოს წევრი ქვეყნები "უფლებას სარგებელზე მაღლა აყენებენ".

ასეთ ფონზე, რომელიც ამცირებს რეზოლუციის მიღების შანსებს გაერო-ს უშიშროების საბჭოში, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ისეთი ძალების ერთად ყოფნა, როგორიცაა აშშ და დიდი ბრიტანეთი. მათ შორის არსებული "მცირე დაპირისპირება" ერაყის დროებითი მთავრობის მიერ კოალიციის ჯარების მოქმედებებზე ვეტოს გამოყენების უფლებას ეხება, რასაც აქტიურად უჭერს მხარს ტონი ბლერი. რაც შეეხება კოლინ პაუელს, მისთვის უფრო მნიშვნელოვანია ტრადიციული ამერიკული მიდგომა, რომ "აშშ-ს ჯარები სხვის გადაწყვეტილებებს არ ასრულებენ"; მით უმეტეს იმ მთავრობის გადაწყვეტილებებს, რომელიც სწორედ ამ ჯარების აქტიური მონაწილეობით მოვიდა ხელისუფლებაში. კოლინ პაუელს თავისი განცხადება ხისტი რომ არ გამოსვლოდა, აღნიშნა, რომ ჯარების მოქმედებების განსაზღვრისას მიზანშეწონილი იქნებოდა ერაყის დროებითი მთავრობის "თანხმობის არსებობა" და მასთან "კოორდინირებული" მუშაობა, სადაც ორივე მათგანის აზრი იქნება გათვალისწინებული.

რეზოლუციაში, რომლის განხილვაც დახურულ კარს მიღმა უკვე დაწყებულია, დასახელებული არ არის ჯარების გაყვანის ზუსტი თარიღი; ეს კი დაპირისპირების კიდევ ერთ საფუძველს იძლევა. მაგალითად, საფრანგეთი ღიად მოითხოვს, რომ დაფიქსირდეს ზუსტი თარიღები, რომელთა მიხედვითაც, კოალიციის ჯარები ერაყის ტერიტორიას დატოვებენ. შეიძლება ითქვას, რომ ევროპის ბევრი ქვეყანა იზიარებს ამ აზრს.

ასეთი საერთაშორისო დაპირისპირების ფონზე აშშ-მ კიდევ ერთი გადაწყვეტილება მიიღო და ერაყის დროებით პრემიერ-მინისტრად იად ალავი დაასახელა. ნიშანდობლივია, რომ ამ პიროვნების დანიშვნას ცივად შეხვდა გაერო-ს ოფიციალური წარმომადგენელი ერაყში ლახდარ ბრაჰიმი, რომლის პრესმდივანმაც განცხადება გააკეთა, რომ "გაერო პატივს სცემს მიღებულ გადაწყვეტილებას და მზადყოფნას გამოთქვამს, იმუშაოს ამ პიროვნებასთან, რათა ერთად შეარჩიონ მთავრობის სხვა პოსტებზე დასანიშნი პიროვნებები." რაც შეეხება თეთრი სახლის განცხადებას, იად ალავი დაახასიათეს, როგორც "ლიდერი, რომელსაც დიდი მხარდაჭერა აქვს ერაყელ ხალხში."

ბატონი ალავი ერაყელი შიიტია და ამით კმაყოფილია ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა. სპეციალობით ექიმს ბრიტანეთში აქვს მიღებული განათლება; სადამ ჰუსეინის პარტიის - "ბაასის" ყოფილი წევრი 70-იან წლებში გამოექცა ჰუსეინის დიქტატურას და საზღვარგარეთ "ერაყის ეროვნული თანხმობის პარტია" დააარსა, რომელსაც დიქტატორის რეჟიმს გამოქცეული პირები აფარებდნენ თავს. როგორც ცნობილია, პარტია აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის აქტიური მხარდაჭერითაც სარგებლობდა. ამიტომაც არის, რომ ერაყის ზოგიერთი მოქალაქე მას აშშ-ს აგენტს უწოდებს. შეიძლება ითქვას, რომ იად ალავის დროებით პრემიერ-მინისტრად არჩევა ერაყის არსებული მმართველი საბჭოს შიიტი წევრების დიდი დამსახურებაა. სწორედ მათ უარყვეს ჰუსეინ შაჰრისტანის კანდიდატურა ამ პოსტზე, რადგან სურდათ, ასეთ გავლენიან ადგილზე წარმომადგენელი თავიანთი თემიდან ჰყოლოდათ.

აშშ-ს დღევანდელი მთავრობა და, უპირველეს ყოვლისა, პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ყველაფერს აკეთებენ, რათა საერთაშორისო საზოგადოების თვალში რეალური განმათავისუფლებლის როლში გამოვიდნენ, თუმცა ძნელი სათქმელია, რამდენად შესაძლებელია ამის მიღწევა აბუ ღრაიბის ციხეში მომხდარი ამბების ან, თუნდაც, შიიტთა და სუნიტთა წმინდა ქალაქების დანგრევის შემდეგ უსაფუძვლო ხოცვა-ჟლეტითა და, რაც მთავარია, ომის მთავარი მიზეზის - მასობრივი განადგურების იარაღის არარსებობით. წინასაარჩევნოდ ასეთი ფაქტები, რასაკვირველია, უარყოფითად იმოქმედებს ბუშის რეპუტაციაზე, რაც უკვე თვალშისაცემია: გამოკითხვების თანახმად, მოსახლეობის 61 პროცენტი არ ამართლებს ბუშის პოლიტიკას. აშშ-ს მთავრობები იცვლებიან და საინტერესოა, რამდენად უცვლელი დარჩება მისი საგარეო პოლიტიკა, თუკი ხელისუფლებაში ახალი მთავრობა მოვა.

# იასირ არაფატი ისრაელთან მოლაპარაკებების გაგრძელებას ითხოვს



*იასირ არაფატი არც ისე მოხუცია: "განა შარონიც ჩემი ასაკის არ არის? ან პერესი, ხომ უფრო მოხუცია?!"*

გუშინ ქნესეთში ისრაელის პრემიერ-მინისტრის, არიელ შარონის მიერ ინიცირებული "დაშორიშორების გეგმის" განხილვა 8 ივნისისთვის გადაიდო. აღნიშნულ გეგმას, რომელიც ღაზას სექტორის მთლიანად და დასავლეთ სანაპიროს ნაწილის ებრაელთა მიერ დატოვებას გულისხმობს, მოსახლეობის უმრავლესობა უჭერს მხარს, მაშინ, როცა მმართველი პარტია "ლიკუდის" წარმომადგენელთა მხრიდან მძაფრი წინააღმდეგობა ხვდება. პარტიის უარყოფითი დამოკიდებულების დაფიქსირების შემდეგ, შარონმა შეცვალა გეგმის დეტალები და იგი ოთხ ეტაპად დაჰყო. თუმცა, ამერიკის პრეზიდენტის მიერ მოწონებულ გეგმას ისრაელის მთავრობაში მხარდაჭერა, ჯერჯერობით, გარანტირებული არ აქვს. დღეს მთავრობის 23 წევრიდან მისი განხორციელების მომხრე მხოლოდ თერთმეტია.

იმ დროს, როცა ისრაელის მმართველ წრეებში "დაშორიშორების გეგმის" გარშემო დავა გრძელდება, პალესტინის ავტონომიის ლიდერი იასირ არაფატი ისრაელთან სამშვიდობო მოლაპარაკების განახლებისათვის მზადყოფნას კიდევ ერთხელ აფიქსირებს. არაფატმა ორშაბათს ისრაელის მე-10 ტელეარხისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ნებისმიერ დროს, როცა კი პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი მოისურვებს, მზადაა შეხვდეს მას. **"მე ხელს ვუწვდი შარონს, ისრაელის ხალხს, ქნესეთსა და მთავრობას. მზად ვარ, შარონს შევხვდე, რატომაც არა. მშვიდობის სურვილმა დანარჩენი ყველაფერი უნდა გადაწონოს,"** - ამბობს პალესტინელთა ლიდერი.

ბოლო დროს არაფატის მისამართით ისრაელის მხრიდან გახშირებული ბრალდებების ფონზე, პალესტინელთა ლიდერის გუშინდელი გამოსვლა თავის მართლებას უფრო ჰგავდა. შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინ თავად არიელ შარონიც დაემუქრა არაფატს და განაცხადა, რომ მასაც კი არ აქვს ხელშეუხებლობის გარანტია. არაფატი საწინააღმდეგოს აცხადებს და ცდილობს, ებრაელები და დანარჩენი მსოფლიოც თავის კეთილ ზრახვებში დაარწმუნოს. მისი თქმით, პალესტინური სპეცსამსახურების მუშაობის დამსახურებაა, რომ ტერაქტების რიცხვი შემცირდა. არაფატმა ასევე განაცხადა, რომ მისმა მთავრობამ ბოლო ექვსი კვირის განმავლობაში ებრაელების წინააღმდეგ დაგეგმილი 34 ტერაქტი აიცილა თავიდან, ამასთანავე მან ხაზი გაუსვა, რომ საქმე ეხება არა პალესტინურ მონაცემებს, არამედ სხვა "ინგლისურენოვან" წყაროებს.

ავტონომიის მეთაურს აკვირვებს შარონის სიჯიუტე - უკანასკნელ დროს შარონს მასთან შეხვედრა კატეგორიულად არ სურს. იგი იხსენებს ადრინდელ შეხვედრებს და ამბობს, **"ჩვენ ხომ ვხვდებოდით ადრე! ის და ნეთანიაჰუ ჩემთან შეთანხმებებს ხომ აწერდნენ ხელს? მას თუ ჩემი ბოიკოტირება ურჩევნია, დაე, აჰმედ კურეის (პალესტინის პრემიერ-მინისტრი) შეხვდეს,"** - აცხადებს არაფატი.

იასირ არაფატმა ინტერვიუში ღაზას სექტორიდან ისრაელის გამოსვლის შესახებაც გამოთქვა თავისი დამოკიდებულება და აღნიშნა, რომ ღაზას სექტორიდან ისრაელის ჯარების გასვლის შემდეგ, პალესტინის ხელისუფლება მზად არის, იქ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა აიღოს იმ პირობით, რომ ეს ევაკუაცია "რეალური და სრული" იქნება.

ებრაელმა ჟურნალისტმა არაფატს პენსიაზე გასვლის შესახებაც დაუსვა შეკითხვა, რასაც პალესტინის უკვე მხცოვანი ლიდერის აღშფოთებული პასუხი მოჰყვა - **"განა შარონიც ჩემი ასაკის არ არის? ან პერესი, ხომ უფრო მოხუცია?!"**

პალესტინის ავტონომიის მეთაური იასირ არაფატი, რომელსაც ისრაელი და აშშ ტერორისტების მხარდაჭერაში ადანაშაულებენ, თითქმის ორი წელია, მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე ქალაქ რამალაში, საკუთარ რეზიდენციაშია ბლოკირებული. არაფატის თქმით, ძალიან ძნელია იზოლაციაში ცხოვრება. **"ეს რთულია. როდესაც სტუმრების შესახვედრად გარეთ გავდივარ, მკვეთრი სინათლის გადაჩვევის გამო, თვალებიდან ცრემლდენა მეწყება. ექიმის რჩევით, დღეში ნახევარი საათი მაინც უნდა დავყო გარეთ,"** - ამბობს არაფატი.

# სომეხი ექსპერტები ნატო-ში გაწევრიანებას უჭერენ მხარს

სომხეთის ეროვნული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვა ცხადყოფს, რომ სომეხ ექსპერტთა მნიშვნელოვანი ნაწილი სომხეთის ნატო-ში გაწევრიანებას უჭერს მხარს. იგივე გამოკითხვა ცხადყოფს, რომ ისინი ძალზე ნეგატიურად აფასებენ რუსეთის როლს მათი ქვეყნის ცხოვრებაში. 50 სომეხ ექსპერტს შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგები 27 მაისს გახდა ცნობილი. ამის შესახებ იუწყება "რადიო თავისუფლება". აღსანიშნავია, რომ ცენტრის დირექტორმა, სომხეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა რაფი ოვანისიანმა თავისი რესპონდენტების გვარები არ დაასახელა. მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ მათი 70 პროცენტი სამთავრობო სექტორში არ მუშაობს.

გამოკითხვის თანახმად, ექსპერტთა, დაახლოებით, ორი მესამედი მიიჩნევს, რომ სომხეთი ნატო-ს მომავალი ათი წლის განმავლობაში უნდა შეუერთდეს, კიდევ უფრო მეტი დარწმუნებულია, რომ გიუმრიში არსებული რუსეთის სამხედრო ბაზა სომხეთის უსაფრთხოების მთავარი გარანტორი არ არის. ამას გარდა, შეკითხვაზე, რომელი სახელმწიფო ან სახელმწიფოთა გაერთიანება "ზღუდავს სომხეთის დამოუკიდებლობას"? - გამოკითხულთა 56 პროცენტმა რუსეთი დაასახელა. მხოლოდ 4 პროცენტმა მიუთითა თურქეთზე, იმ ქვეყანაზე, რომლის ფაქტორმა დიდწილად განაპირობა სომხეთ-რუსეთის კავშირის არსებობა.

სომხეთის მთავრობამ არაერთხელ განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას არ შეეცდება. რუსეთთან მჭიდრო კავშირის თაობაზე სომხეთის პოლიტიკურ ელიტაში კონსენსუსი არსებობს. მხოლოდ რამდენიმე მცირე პარტია, რომელთა უმრავლესობა ყოფილ პრეზიდენტ ლევონ ტერ-პეტროსიანს უჭერს მხარს, სომხეთის საგარეო პოლიტიკის დასავლეთისკენ შემობრუნებას ლობირებს. ერთ-ერთი მათგანია ლიბერალური პროგრესის პარტია, რომელიც სამი თვის წინ დააარსა პრეზიდენტ კოჩარიანის ყოფილმა მხარდამჭერმა დეპუტატმა ჰოვანეს ჰოვანისიანმა. მან სომხეთის ამჟამინდელი საგარეო კურსის წინააღმდეგ კამპანია 27 მაისს განაახლა. მისი თქმით, "ქვეყანა საერთაშორისო იზოლაციაში მოექცა". "ჩვენ იმ ზღვარს მივაღწიეთ, რომ უკვე რუსეთის რეგიონად გვთვლიან," - აღნიშნა ჰოვანისიანმა.

საბჭოთა კავშირის დროს ცნობილმა სომეხმა დისიდენტმა პარიურ ჰაირიკიანმა ანალოგიური განცხადებები გააკეთა მისი პარტიის - ეროვნული თვითგამორკვევის კავშირის პრესკონფერენციაზე. იგი პრეზიდენტ კოჩარიანის თანაშემწედ მუშაობდა 1999-2001 წლებში. მან ხელისუფლება განსაკუთრებით გააკრიტიკა "ქონება ვალის სანაცვლოდ" პროგრამის განხორციელებისთვის, რომლის ფარგლებში ვალების დასაფარავად სომხეთმა რუსეთს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ენერგეტიკული ობიექტი და დიდი ქარხნები გადააბარა. "მხოლოდ საზღვარგარეთის აგენტს ან უმწიფარ პოლიტიკოსს შეუძლია ენერგეტიკული ობიექტები გადასცეს იმ სახელმწიფოს, რომელიც ქრისტიანული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ერთგული არ არის," - აღნიშნა ჰაირიკიანმა.

სომხეთის ეროვნული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის გამოკვლევა აგრეთვე აჩვენებს, რომ ექსპერტები მხარს უჭერენ სომხეთის პან-ევროპულ ორგანიზაციებში ინტეგრაციას. გამოკითხულთა 72 პროცენტმა განაცხადა, რომ ისინი დადებითად აფასებენ ევროსაბჭოსა და ევროკავშირის როლს სომხეთის სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში. 82 პროცენტმა კი განაცხადა, რომ არადამაკმაყოფილებლად მიაჩნიათ სომხეთის მიერ ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების ტემპი.

"ევროსაბჭოში გაწევრიანებიდან სამნახევარი წელიწადის გასვლის შემდეგ ჩვენ პოლიტიკური პატიმრები გვყავს," - განაცხადა პრეზენტაციის დროს არამ ჰარუთიუნიანმა, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა და გამოკითხვის ერთ-ერთმა თანაავტორმა. "ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელობის ქმედებას განვითარებისაკენ არ მივყავართ".

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის იანვრის მოხსენებაში სომხეთის შესახებ ნათქვამია, რომ "რეფორმების თვალსაზრისით პროგრესი არ შეინიშნება". იქვე დაგმობილია 2003 წლის გაყალბებული არჩევნები, პლურალისტური მედიის არარსებობა და რელიგიური ჯგუფების შევიწროება.

თუმცა, ამავე ორგანიზაციის წარმომადგენელმა პიეტრო აგომ თებერვალში ვიზიტისას სომხეთის მთავრობის საქმიანობას უფრო დადებითი შეფასება მისცა.

## ნაღვლიანი



უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

### ვეცემი მზეზე

კარგა ხანია, არ დავცემივარ "მზეს". ზუსტად იმდენი, რამდენი ხანიც "აღორძინების", შალიკოს და მამალაძის რეკლამირება შეწყვიტეს.

არ დავცემივარ, მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, ჩვეულებაო, ჰოდა, დროდადრო თვითონ, საკუთარი ნებით ეცემიან მზეზე.

ეტყობა, მაინც ქებამ აწყინათ, ან, არადა, უკვე დაუკრეფავში გადავიდნენ.

ახლა, "მზესთან" დაკავშირებით კი იწერება ეს წერილი, მაგრამ, მულო, ესე იგი, "მზევ", შენ გეუბნები, და, რძალო, ესე იგი, "იმედო", შენც გაიგონეო.

სანამ ეს ორი ტელეარხი - ერთი იტალიური ფეხბურთით რომ კაიფობს, მეორე კი - ინგლისურით, - სანამ ეს ორი ტელეარხი ფეხბურთითა და პოლიტიკით ცხოვრობს, "მზისა" და "იმედის" ცხოვრებას, ავად თუ კარგად, ნორმალური ცხოვრება ჰქვია; სანამ "იმედი" საბჭოთა სტილში შეზელილ ტელენარკვევებზე გადავიდოდა, "მზის" სამეული - იმნაიშვილ-ჟიჟილაშვილ-შარაშია კი ვერანდაზე გადმომდგარ პოლიტიკოსებს უტევდა, ეს ყველაფერი, ასე თუ ისე, ასატანი იყო, მაგრამ საკმარისი იყო, პოლიტიკური ბურთაობის თემატიკაში კულტურა, ჩვენს კერძო შემთხვევაში კი განათლება გარეულიყო, კი არ დაეცნენ, პირდაპირ ზღართანი მოადინეს.

მე მაინც იმ დღეზე მინდა შევჩერდე, როცა "მზეზე" განათლების მინისტრი მიიწვიეს, იმ საღამოზე, როცა ამ ტელეარხის მზერა კულტურასაც მისწვდა, უფრო ზუსტად კი, როცა "მზერაში" "მზისეულმა" კულტურამ გამოჟონა. უნდა შევჩერდე თუნდაც იმიტომ, რომ ეს მოვლენა, ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩა, მაგრამ გული იმან დამწყვიტა, რომ სულ ორიოდე სიტყვა მაინც ვერავინ გამოიმეტა. ნაღდად შემშურდა დავით ზურაბიშვილის, ასე მოსწრებულად და, რაც მთავარია, ზუსტად რომ უთხრა, არ ვიცი, რა მიზეზით გაანჩხლებულ ამ სამეულს - თავი გლდანის ეპარქიაში მგონიაო.

იმ დღეებში ქალაქში ხმა გავარდა, "იბერიამ" დაყვინთაო. ცხადია, არ ვამტკიცებ, მაგრამ, შესაძლოა, ესეც გახდა "მზერისა" თუ "მზის" ასეთი უცნაური მეტამორფოზის მიზეზი. "იბერიამ" კი დაყვინთა, მაგრამ ლუბას საქმეებს რომ სიკვდილი არ ეწერა, ამას მაშინვე მიხვდნენ "მზეზე". ვინ ვინ და, ისევ ჩვენ თუ ვიკისრებთო. იკისრეს კიდეც. მაგრამ კისერი ისეთი მაგარი ვერ აღმოაჩნდათ და დაძალათ ტვირთმა. სამნი კი არიან, მაგრამ რა ეგონათ, ლუბა რომ მარტო ეზიდებოდა მთელი ქართული დემოკრატიული ოპოზიციის თუ ოპოზიციური დემოკრატიის ტვირთს, არ იცოდნენ?

სულ მაფრთხილებდა ხოლმე ბებიაჩემი, იმაზე მეტი არ აიკიდო, რამდენიც შეგიძლიაო. ჭკვიანი ქალი იყო ჩემი ბებო. ამ სამეულს, ეტყობა, ეგეთი არ გამოუჩნდა და აჰა, შედეგიც!

როგორც ჩანს, სადღაც მოჰკრეს ყური, პრესა და ტელევიზია ხალხის მხარეს უნდა იდგესო. ნამდვილად ასეა, მაგრამ ხალხის, და არა რომელიმე ჯგუფის, თუნდაც, ამ ჯგუფს "მართლმადიდებელ მშობელთა" ან, ვთქვათ, "ბევრლარიანთა კავშირი" ერქვას.

იმ საღამოს ყველაზე სასაცილო მაინც ის იყო, რომ ბიჭებს - ამ სამეულს, რა, - თვალსაჩინოებისთვის იქვე, მაგიდაზე, ვითომ სხვათა შორის, მიმოეფანტათ "ვეფხისტყაოსანი" და კიდევ რამდენიმე წიგნი, რომელთა დასახელება ვერ გავარჩიე, მაგრამ გუმანით მივხვდი, რომ შიგ აუცილებლად უნდა ყოფილიყო ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები და, შესაძლოა, გურამიშვილი... გამიკვირდა კიდეც, ვაჟა და ილია როგორ არ ახსენეს-მეთქი.

ეს ექსპოზიცია აშკარად მიანიშნებდა იმაზე, რომ იმნაიშვილ-ჟიჟილაშვილ-შარაშია მედგრად იდგნენ ქართული მწიგნობრობის, ზოგადად, კერძოდ კი, ამ წიგნებისა და მათი ავტორების სადარაჯოზე.

გამარჯვებებმა ეიფორია იცის. ეიფორიას შეიძლება დააბრალოს კაცმა თუნდაც ის, რომ რაღაც X ცოდნა, რაც ამ სამეულს აქვს, სულაც არ არის სკოლაში მიღებული განათლების შედეგი; დაავიწყდათ, რომ არსებობს წიგნი და დამოუკიდებლად მისი კითხვის შესაძლებლობა; დაავიწყდათ, რომ არსებობს ოჯახი, რომელიც აუცილებლად იძლევა ისეთ განათლებას, ძალიან ბევრ სკოლას რომ არ დაესიზმრება; დაავიწყდათ, რომ თუ კაცს რამის სწავლა უნდა, სულაც არ არის საჭირო, ეს სასწავლი საგანი რომელიღაც პროგრამაში იყოს ან მაინცდამაინც პუშკინისინსტიტუტდამთავრებულმა ყოფილმა სამოსანმა გასწავლოს.

ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, რომ ის, რაც იმ საღამოს ერთ-ერთს, კერძოდ კი გოდერძი შარაშიას წამოსცდა (არ ვიცი, შეიძლება სიამაყითაც თქვა - ახალი ქართველი ჟურნალისტისგან, განსაკუთრებით ტელეჟურნალისტისგან, ესეც მოსალოდნელია), მათემატიკის სწავლა მიჭირდაო, ხსენებული სამეულის საერთო სენი უნდა იყოს.

დავით ზურაბიშვილი ტაქტიანი კაცია და იქვე დააყოლა, შეიძლება პროგრამის ბრალი იყო, შეიძლება მასწავლებელი არ გივარგოდაო. ძალიან მინდოდა ეთქვა, მაგრამ არა უშავს, მე ვიტყვი ახლა: ჩემო გოდერძი, მათემატიკის ვერსწავლასთან დაკავშირებით არაფერ შუაში არ არის არც პროგრამა და არც მასწავლებელი. ეგ პროცესი მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებლობასთან არის დაკავშირებული. მათემატიკის მასწავლებელი, როგორც მახსოვს, არც ყოველდღე აიძულებს ბავშვებს ახალი მასალის ათვისებას და არც მთელ გაკვეთილს ანდომებს ამ პროცესს. კვირაში ორჯერ-სამჯერ და, დიდი-დიდი, 10-15 წუთი. ასეთ დატვირთვას რომ მოზარდის ტვინი ვერ გაუძლებს, ან საოცარ სიზარმაცესთან გვაქვს საქმე, ან შეზღუდული შესაძლებლობების ტვინთან.

ეს ერთი და მეორეც. მათემატიკას მარტო იმიტომ კი არ ასწავლიან სკოლაში, რომ თვლა და გამრავლების ტაბულა ისწავლო. მათემატიკა ფიქრის ჰორიზონტს, ლოგიკური აზროვნების უნარს და, საერთოდ, ტვინის შესაძლებლობებს აფართოებს. ყველა დროის ყველა დიდი ფილოსოფოსი, თქვენ რომ ფილოლოგიური სფეროს რაინდებად მიგაჩნიათ, ბრწყინვალე მათემატიკოსი იყო. ყველა დროის ყველა დიდი რომანი, მათ შორის "ვეფხისტყაოსანიც", მანდ რომ გიდევთ და ბაირაღივით ისე აფრიალებთ, თითქოს თქვენი დაწერილი იყოს, საოცარ ლოგიკას ემორჩილება, თვით რიტმის ზომა-წონა და მონაცვლეობაც კი წინასწარ არის გაანგარიშებული მაგ წიგნში, ლამის თვალებში რომ სჩრით განათლების მინისტრს. რაღაც არ მჯერა, ჩემო გოდერძი, რომ ეგ წიგნი ჯერ ბოლომდე გქონდეს წაკითხული და, მით უფრო, მათემატიკისა არ იყოს, სათანადოდ ათვისებული.

ამ ხალხს ცხრაჯერ აუხსნეს, უთხრეს, რომ არავინ არსაიდან არაფრის ამოღებას არ აპირებს. არა, გინდა თუ არა, რატომ იღებთ ჰაგიოგრაფიასა და "ვეფხისტყაოსანსო"!

მე დეპუტატობას არ ვაპირებ, ამდენად, სულაც არ მაინტერესებს, რამდენ ხმას მომიტანს არ დამაკარგვინებს ესა თუ ის ფრაზა. ამიტომაც ყოველთვის პირდაპირ ლაპარაკს ვამჯობინებ ხოლმე.

რატომ გიკვირთ, - ამას თქვენც გეუბნებით, "მზიურებო", - რომ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები ბავშვების უმრავლესობას ეჯავრება? განა თქვენ კი გიყვართ ის, რასაც ვერ იგებთ? მაგალითად, ბატონ გოდერძის მივმართავ: თქვენ გიყვართ მათემატიკა? მაგრამ თვითონ ის ფაქტი, რომ გიყვართ ან არ გიყვართ, მათემატიკის სიავკარგეზე ხომ არავითარ შემთხვევაში არ ვრცელდება. თქვენ არც სომხები გიყვართ მაინცდამაინც (ცხადია, ქართველებთან შედარებით), მაგრამ იცით, რომ ბევრ სომეხს თქვენზე უფრო უყვარს და პატივსაც სცემს შუშანიკს? ან იქნებ არ იცით, რომ ამ ნაწარმოებს ზუსტად ისევე ასწავლიან სომხეთში, როგორც საქართველოში, რომ "შუშანიკი" იქაც ეროვნულ ლიტერატურულ ძეგლად ითვლება და პრეტენზიებიც აქვთ ჩვენს მიმართ?

დაკვირვებიხართ, ქალბატონო და ბატონო "მზიურებო", რომ ის, რაც ძნელად გასაგებია და ძალით ისწავლება, ყველა ბავშვში, სიძულვილს თუ არა, გულგრილობას მაინც აუცილებლად იწვევს?

და საერთოდ, რატომ გაქვთ ამ უნიჭო ხალხს ეგეთი ჩვევა, ძველი, აწ უკვე გარდასული ადამიანების ნალვაწი აიკრათ ფარად. საკუთარი უსუსურობისა და უუნარობის დასაფარავად? თქვენ ის ხართ, რაც ხართ და ვერანაირი ბრწყინვალე ლიტერატურა ვერ დამალავს თქვენს, როგორ ვთქვა, კულტურის სფეროებში ერთობ ზერელე განსწავლულობას.

თქვენ და იმ ხალხმა, ვისზეც თქვენ მუშაობთ, არ იცის ცოცხალი სიტყვის ფასი, ამიტომაც არის, ისარნაკრავივით რომ შეკრთებიან ხოლმე მკვახე სიტყვის გაგონებაზე, ზუსტად ისე, ოცდაათს გადაცილებული ქალწული რომ აიმრიზება სრულიად უწყინარ ქათინაურზე.

იყო დრო, თქვენი არხის ლოგოზე ვღადაობდი. საბას ლექსიკონიდან სავსებით უვნებელი სახელიც კი გამოგიძებნეთ - მიკი. ერთ მეტად საინტერესო ასოს (ადამიანის ასოს ვგულისხმობ) წააგავდა. თქვენმა ხელმძღვანელობამ, რა თქმა უნდა, არ შეიმჩნია, მაგრამ კარგა ხნის შემდეგ კორექტივები მაინც შეიტანა და ახლა მსგავსება ისეთი აუტანელი აღარ არის. თუმცა, რეციდივები, ცხადია, დარჩა, ისევე როგორც თქვენს გადაცემებში, რომლებიც პოლიტიკას არ ეხება.

ეტყობა, მართალი იყო ბებიაჩემი, მიუჩვეველს ნუ შეაჩვევ და შეჩვეულს ნუ გადააჩვევო.

ბიჭებო, დაანებეთ თავი კულტურას, კერძოდ კი განათლებას, იქ გაცილებით მეტი ლოგიკაა, ვიდრე თქვენ გეჩვენებათ.

# მძიმე მემკვიდრეობა

პირველი გვერდიდან

შუალებები და მათი მეტი წილი ზამთარს ჩამტვრეული შუშებითა და დაზიანებული სახურავით ხვდება. ხშირად 20-30 ბავშვს ერთ ოთახში სძინავს და, როგორც წესი, სურდოთი და გრიპით იტანჯებიან. ბავშვთა კოლონიებში ვითარებას ისიც ამძიმებს, რომ ბავშვების უმრავლესობა იქ კანფეტის, ელემენტარული საკვების მოპარვის გამო ხვდება.

ქურდობა და პროსტიტუცია ბოლო წლების საქართველოში საგრძნობლად გაახალგაზრდავდა. მხოლოდ თბილისში ამ წლებში ორივე სქესის 12-16 წლის 112 სხეულით მოვაჭრე დაფიქსირდა. მათი უმეტესობა გოგონაა. ამ ბავშვების 42 პროცენტი მხოლოდ პროსტიტუციით არის დაკავებული. 20 წლის სუტენორები მათ, ძირითადად, რკინიგზის სადგურებში უყრიან თავს, სადაც ეს უკანასკნელნი ღამეებს სარდაფებსა და ცარიელ ვაგონებში ათევენ. ამ გოგონების ნახევარი დამოუკიდებლად არჩენს ოჯახს. მეძავი გოგონების 32 პროცენტი მეძავობას მათხოვრობასა და ქურდობასაც უთავსებს და მათი უმეტესობაც ოჯახის ერთადერთი მარჩენალია.

შედარებით მცირეწლოვანი გოგონები მშობლებთან ერთად მათხოვრობენ და პროსტიტუციით არიან დაკავებულები; სხვები ყიდიან გაზეთებსა და ნაყინს; მუშაობენ კაფეებში; ასუფთავებენ სადარბაზოებს თუ ეზოებს. 13 წელი მათი საშუალო ასაკია. ამ გოგონების მესამედიც ოჯახის ერთადერთი მარჩენალია. ასე დასაქმებულების 20 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია, 12 პროცენტს კი წერა-კითხვა უჭირს. ყველაზე საგულისხმო ის არის, რომ მშობლების ნახევარს არც აინტერესებს, რა საქმიანობას ეწევა მათი შვილი, ან რა გზით შოულობს ფულს. რაც შეეხება მშობელთა მეორე ნახევარს, ისინი მიიჩნევენ, რომ შვილები მათგან ცემის მეტს არაფერს იმსახურებენ. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს სრულწლოვანება ტრაგედიად ექცევათ - მათ არც სახლი აქვთ და არც პროფესია. სახელმწიფო მათ, ფაქტობრივად, სანაგვეზე ისვრის.

ბავშვთა ინსტიტუციონალური დაწესებულებების ბინადართა 60 პროცენტი სოციალური ობოლია - ამა თუ იმ დაწესებულებაში იმიტომ მოხვდნენ, რომ ოჯახებს მათი რჩენის საშუალება არა აქვთ. ეს ის არგუმენტია, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს - კარგ მდგომარეობაში არც საკუთარ ოჯახებში მცხოვრები ბავშვები იმყოფებიან. მინიმალური ხელფასი საქართველოში 20 ლარია, საშუალო - 79, საარსებო მინიმუმი - 115, რაც იმას ნიშნავს, რომ ოჯახების უმრავლესობას საქართველოში გამოსაკვები ფულიც არ აქვს. ნოყიერი საკვების ნაკლებობამ უკვე დაატყო ხელი ჩვენს ბავშვებს. ნორმაზე ორი ერთეულით ნაკლებს იწონის ბავშვების 3 პროცენტი, ქართველი ბავშვების 12 პროცენტი კი, თავის ასაკთან შედარებით, დაბალია.

ეკონომიური თუ ჯანდაცვითი პრობლემების დამსახურებაა, რომ ჩვილი ბავშვების 40 პროცენტს საქართველოში აღენიშნება სისხლნაკლებობა; ოჯახებში აღზრდილ 5 წლამდე ასაკის ბავშვების - 52 და ბაგა-ბაღებში აღრდილი ბავშვების 64 პროცენტს - სხვადასხვა სახის ანემია; იოდის დეფიციტით ჩვენი პატარების ნახევარზე მეტია დაავადებული; მნიშვნელოვნად გაიზარდა მკვდრადშობადობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვებს პრობლემები დედის მუცელშივე აწუხებთ. ერთ წლამდე ასაკის ბავშვებში სიკვდილიანობის მიზეზად, უხარისხო სამედიცინო დახმარების გარდა, ცხოვრების ცუდი პირობები, სიღარიბე და მშობელთა ცუდი ჯანმრთელობა მიიჩნევა.

ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ სათანადო განათლების მიღება ქართველი ბავშვების უდიდესი ნაწილისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ფაქტობრივად, მოტივაციის გარეშე დარჩენილ, დაბალხელფასიან მასწავლებლებს საქმის სრულფასოვნად კეთების სურვილი არ აქვთ; არც იმ ბავშვებს კლავთ ცოდნის მიღების სურვილი, რომელთა დიდ უმრავლესობას უჭირს სახელმძღვანელოების, რვეულების, საწერ-კალმის შეძენა, სწავლის ქირის გადახდა და გაკვეთილებზე ჯდომა ნახევრად მშივრებს უხდებათ. განსაკუთრებით ზამთარში, როცა ხშირად საკლასო ოთახებშიც ისე ცივა, როგორც ეზოში. ცალკე თემაა დევნილთა ბავშვები, რომელთა 13 პროცენტი, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის უქონლობის გამო, სკოლაში საერთოდ ვერ დადის.

ეს ის მემკვიდრეობაა, რომელიც საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ძველისგან მიიღო და რომლის გამოსწორებას, ვეჭვობთ, მომავალ 1 ივნისამდე ვერ მოახერხებს.



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*ბავშვთა ინსტიტუციონალური დაწესებულებების ბინადართა 60 პროცენტი სოციალური ობოლია - იქ ისინი იმიტომ მოხვდნენ, რომ ოჯახებს მათი რჩენის საშუალება არა აქვთ. ეს ის არგუმენტია, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს - კარგ მდგომარეობაში არც საკუთარ ოჯახებში მცხოვრები ბავშვები იმყოფებიან.*

# ბავშვის თუ მშობლის ინტერესი

ნონა ყანჩაველი

*მშობლების ცხოვრებაში შვილებს რომ განსაკუთრებული ადგილი უნდა ჰქონდეთ, უდავოა. მათზე ზრუნვა, მათი აღზრდა, განათლება და ცხოვრების "ანა-ბანას" სწავლება, მორალსა და ტრადიციებს რომ თავი დავანებოთ, მშობლებისათვის კანონით გათვალისწინებული მოვალეობაცაა. "საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" ძალით, მშობლებმა უნდა იზრუნონ თავიანთი შვილების ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ და სოციალურ განვითარებაზე. ერთი შეხედვითაც აშკარაა, რომ, ამ მხრივ, ჩვენთან დედები უფრო აქტიურობენ.*

ხშირად ზოგიერთი მათგანი მთლად ივიწყებს პირადულს და შვილის ცხოვრებით ცხოვრობს; ხშირად შვილის გასაკეთებელ საქმესაც თავად აკეთებს. ალბათ, ამის გამოა, ჩვენში მშობლების უმეტესობა სრულწლოვან შვილსაც კი ბავშვად რომ აღიქვამს. ამგვარი მშობელი, ალბათ, არც ფიქრობს, რომ ამით შვილის უფლებებს არღვევს. მართალია, საქართველოს კანონმდებლობა მშობლებს შვილებზე ზრუნვას ავალდებულებს, მაგრამ არა - წრეგადასულს. ძალიან ხშირად დედა (იშვიათად მამაც) თავად იღებს გადაწყვეტილებას, რომელი უცხო ენა ასწავლოს შვილს; მუსიკაზე ატაროს თუ ცეკვაზე; ჩვეულებრივი სკოლის განათლება მისცეს, თუ - გაძლიერებულის (ასე ვთქვათ, მოდის მიხედვით); და არის ერთი აურზაური. თავად ყმაწვილი კი ყველაფერ ამას შორიდან ადევნებს თვალს და მათ არჩევანს ნებანება მიჰყვება. არცთუ იშვიათად, მშობლები შვილებს, თითქოს გადარბენაზე არიანო, ერთმანეთსაც აჯიბრებენ და, ამის გამო, ერთი ბავშვი ერთდროულად ცეკვის, სიმღერის, დაკვრის, ქარგვის, უცხო ენისა და, რა ვიცი, კიდევ რამდენ წრეზე დადის.

თითქმის, არავინ თვლის საჭიროდ, სამი-ექვსი წლის პატარას დაეკითხოს, რა უნდა მას, და ამის მიხედვით გააკეთოს არჩევანი. პირიქით, ამგვარი რამ სასაცილოდაც კი მიაჩნიათ, - ასეთმა პატარამ რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოსო. რაც უნდა გასაკვირი იყოს, აღმოჩნდა საოცარი რამ: ჩვენ მიერ გამოკითხულ ბავშვთა უმრავლესობამ აღიარა, რომ სასკოლო ასაკშიც კი არ იღებს მონაწილეობას იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომელიც, უშუალოდ, მას და მის ინტერესებს ეხება. თერთმეტი წლის მაიამ გვითხრა, რომ მას სძულს ის დღეები, როცა მუსიკის გაკვეთილები აქვს. თითქმის, ძალდატანებით ჯდება ფორტეპიანოსთან და სწავლობს მხოლოდ იმას, რაც დავალებული აქვს მასწავლებლისაგან. ხოლო "ზედმეტად დაკვრის" სურვილი არასდროს გასჩენია: **"დაკვრის დროს ვერასდროს ვერ ვამთხვევ თვლას, ვერც სტოკატოს გაკეთებას ვასწრებ,** - შემოგვჩივლა მან, - **მოკლედ, მასწავლებელსაც ვღლი და ჩემ თავსაც. ხშირად მიფიქრია, პიანინო რომ არ გამოეგონებინათ, რა კარგი იქნებოდა-მეთქი - მეც ხომ აღარ ვივლიდი. თუმცა, ისიც ვიცი, რომ მაშინ ბევრი ლამაზი მელოდია აღარ იქნებოდა, რისი მოსმენაც ასე მიყვარს."**

დედამისმა - ქალბატონმა ლიამ ეს ასე ახსნა: **"მე ჩემი შვილისთვის მხოლოდ კარგი მინდა. ის ახლა ვერ ხვდება და ვერ გადაწყვეტს, რა სჭირდება. როცა გაიზრდება, ყველაფერს სხვანაირად შეხედავს. მისთვის ახლა კარგი და სასურველი მხოლოდ ეზოს ბავშვებთან ერთად თამაშია. ამით კი წინ ვერ წავა."**

ისე, როგორც აღმოჩნდა, ქალბატონ ლიას მუსიკაზე არ უვლია და ეს მისი ბავშვობის განუხორციელებელ ოცნებად დარჩენილა. ახლა სურს, რაც თავად დააკლდა, შვილს მაინც აუსრულოს; მაგრამ, მუსიკაზე მიყვანამდე მაიასთვის არც კი უკითხავს, სურდა თუ არა მას ფორტეპიანოს შესწავლა. **"თუ სპეციალისტი არ გამოვა,** - აგვიხსნა დედამ, - **დაკვრა ხომ მაინც ეცოდინება. სადმე დაბადების დღეზე ან მსგავს წვეულებაზე რომ მოხვდეს, ბუსავით არ იჯდება და თავის ცოდნას გამოიყენებს. მაშინ ნამდვილად გამიხსენებს და მადლობელიც დამრჩება."**

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მშობლები შვილების მომავალ პროფესიასაც ხშირად თავად ირჩევენ და თადარიგსაც დროულად იჭერენ - წლობით დაჰყავთ ბავშვები შესაბამის რეპეტიტორებთან სამეცადინოდ.

ქალბატონმა ნელიმ, ინგლისური ენის მასწავლებელმა, ერთი ამბავი გაიხსენა: **"სამი წლის განმავლობაში დაჰყავდათ თამუნა ჩემთან სამეცადინოდ; უფროსებს უნდოდათ, რომ უცხო ენათა ინსტიტუტში ჩაებარებინა. არადა, ბავშვს საერთოდ არ აინტერესებდა სწავლა, მით უმეტეს - ინგლისურის. ავუხსნიდი, გაიგებდა, მაგრამ რა? მეორედ მოსვლისას აღარაფერი ახსოვდა. როცა ვეკითხებოდი, რატომ ჯახირობდა, მეუბნებოდა, - ჩემებს ასე უნდათო. ცუდი ბავშვი კი ნამდვილად არ იყო. სამწუხაროდ, მაგავსი შემთხვევა ბევრია."**

ერთი მხრივ, ალბათ, კარგიცაა მშობლების ასეთი მონდომება, მაგრამ თუ ბავშვს არც ტალანტი აქვს და არც მისწრაფება?..

ერთ-ერთმა დედამ, საბავშვო ბაღის აღმზრდელ-მასწავლებელმა, ქალბატონმა ირმამ გვითხრა, რომ არჩევანს ყოველთვის შვილს ანდობს: **"ცუდია, ის აკეთებინო ბავშვს, რაც არ ეპიტნავება. საბოლოოდ მაინც არაფერი გამოვა. მუსიკალური შვიდწლედი დავამთავრე. მუსიკალურ სასწავლებელში სულ ტირილით ვიარე და ერთი სული მქონდა, როდის დავასრულებდი. ახლა არც კი ვიცი, სად მაქვს მოწმობა. დაკვრით, რა მოგახსენოთ, ფორტეპიანო დასანახავადაც კი მეჯავრება, მაგრამ ხომ ვერ გადავაგდებ - იქნებ, ჩემ შვილს დასჭირდეს."**

ამ მეტად რთულ ურთიერთობებში "ოქროს შუალედის" მოძებნა არც ისე რთულია: მშობლების უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შვილების ინტერესების საწინააღმდეგოდ. მათ აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ შვილის სურვილიც. თუ ბავშვს საკითხის არსი არ ესმის, უნდა აუხსნან და შემდეგ მასთან ერთად გამოიტანონ გადაწყვეტილება. ევროპის ქვეყნებში ასეთი პრაქტიკა მიღებულია.

# მათხოვრობა ოჯახური ბიზნესია

**საგანგაშო დისკუსია ბავშვთა დღესთან დაკავშირებით**

ნინო ცინცაძე

გუშინ ჟურნალისტთა სახლში, სამოქალაქო განათლების ფონდის ინიციატივით, ბავშვის დღესთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებიც იყვნენ დაპატიჟებულები. თუმცა, დისკუსიისათვის მხოლოდ საკრებულოს სოც-უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა, ბატონმა სოსო შატბერაშვილმა მოიცალა. იძულებით გადასახლებულ პირთა ბავშვები, მაწანწალა ბავშვები, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები, ასოცილური ბავშვები, ბავშვები უმწეო ოჯახებიდან, უნარშეზღუდული ბავშვები, ბავშვები ბავშვთა სახლებიდან - ყველა მათგანი ჩვენი საზოგადოების წევრია და, ძირითადად, ყველა თბილისში იყრის თავს. თბილისში კი არსებობს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ასეთ ბავშვებთან მუშაობენ და მათ სარებილიტაციო პროგრამებს ადგენენ, მაგრამ, სამწუხაროდ, რეაბილიტაციის პროცესი ბოლომდე ვერ სრულდება, რადგან შემდეგ ასეთ ბავშვს, თუნდაც პროფესიამიღებულს, სამსახურს არავინ აძლევს. როგორც გუშინდელ შეხვედრაზე ითქვა, ქუჩის ბავშვების ორი კატეგორია არსებობს - ისინი, ვინც ოჯახის სასარგებლოდ "მუშაობს" და ვინც - საკუთარი თავისთვის. ეს უკანასკნელნი ოჯახური ძალადობის მსხვერპლები არიან, ამიტომ იქედან საბოლოოდ არიან გამოქცეულები და ოჯახთან კავშირი არ აქვთ. მეორე ნაწილი კი შემოსავალს ოჯახის წევრებს ან ნათესავებს აბარებს. შემოსავალი, როგორც ვთქვით, "სამუშაოდან" მოდის; "სამუშაო" კი მეძავეობა, მათხოვრობა ან წვრილმანი ქურდობაა.

როგორც ბავშვთა უფლებათა დაცვის ცენტრის წარმომადგენელმა ბელა სარიამ თქვა, თუ არ იარსებებს ერთიანი სადედაქალაქო პროგრამა, სადაც არასამთავრობო და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები კოორდინირებულად იმუშავებენ, სანამ ყველას თავისი უბანი არ ექნება მოხაზული და თავის პასუხისმგებლობას არ გაინაწილებს, არაფერი გამოვა. დღეს ისიც კი არ არის ზუსტად ცნობილი, რამდენი ასეთი ბავშვია დედაქალაქში და ვის რა სახის დახმარება სჭირდება. არადა, ჯერჯერობით მოუგვარებელია უამრავი საკითხი - დაწყებული იქიდან, რომ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის სოციალური სარგებლობისა და შეღავათების 56- ბავშვიან სიაში 26 მკვდარი სული იყო და მათ ფულს ვიღაც ჩინოვნიკი იდებდა ჯიბეში, დამთავრებული იმით, რომ დიღომში ღიად არსებობს ტოქსიკომან ბავშვთა ოცდაათკაციანი ჯგუფი, რომელთა შველაც უკვე ძალიან ძნელია. თუ ერთად და კოორდინირებულად არ ვიმოქმედებთ, თუ სახელმწიფო სერიოზულად არ გამოხატავს ამ პრობლემის მოგვარების ნებას, მომავალი თაობის საკმაოდ დიდი ნაწილი დაკარგული გვეყოლება - ასეთი იყო შეხვედრაზე მისული ადამიანების ძირითადი სათქმელი.

# სროლა თბილისის ცენტრში

თბილისის ქუჩებში შეიარაღებული თავდასხმები კარგა ხანია, აღარ მომხდარა. გუშინ კი მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩაზე (ყოფილი ელბაქიძის აღმართი) სროლა გაისმა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ისროდნენ ყაჩაღები, რომლებიც კომპანია "ჯეოსელის" კუთვნილ ავტომანქანას - "ფოლკცვაგენს" დაესხნენ თავს. თვითმხილველთა ცნობით, რუხი ფერის ავტომანქანა "ბმვ" გზაზე გადაუდგა ჯავახიშვილის ქუჩაზე მოძრავ "ფოლკცვაგენს". მძღოლი იძულებული გახდა, მანქანა გაეჩერებინა. მაშინ თავდამსხმელებმა გაჩერებული მანქანის მიმართულებით ცეცხლი გახსნეს. თავდასხმის შედეგად დაიჭრა "ჯეოსელის" სამი თანამშრომელი, მათ შორის ერთი ქალი - კომპანიის მოლარე, რომელსაც ერთ-ერთმა თავდამსხმელმა თავში ავტომატის კონდახი ჩაარტყა. დანარჩენებს ჭრილობები ცეცხლსასროლი იარაღით აქვთ მიყენებული. თვით თავდამსხმელებმა კი, რომლებიც, თვითმხილველთა თქმით, რუხი ფერის ავტომანქანა "ბმვ"-ში ისხდნენ, მოახერხეს თანხის - 40 ათასი ლარისა და დიდი ოდენობით ასტრა-ბარათების გატაცება. ყაჩაღები მიიმალნენ. როგორც დაჭრილები, ასევე თვითმხილველები ამბობენ, რომ თავდამსხმელები ოთხნი იყვნენ.


იური ლობოდინის ფოტო

*გუშინ, დღისით, ქალაქის ცენტრში მომხდარმა ყაჩაღურმა თავდასხმამ კომპანია "ჯეოსელი" 40 ათასი ლარით აზარალა.*

დაჭრილები შემთხვევის ადგილის მახლობლად მდებარე თსუ-ს კლინიკაში (ყოფილი მიხეილის საავადმყოფო) გადაიყვანეს. მათ სანახავად ჯანდაცვის მინისტრი და ძალოვან უწყებათა პირველი პირებიც მივიდნენ.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე; გამოძიებას მთაწმინდა-კრწანისის რაიონის საგამოძიებო სამსახური აწარმოებს. სამართალდამცველები გუშინ საკუთარ ვერსიებს არ ამხელდნენ და იმასაც ამბობენ, რომ ამ ეტაპზე მათ არც კონკრეტული ეჭვმიტანილები ჰყავთ. თუმცა, ცხადია, მსგავსი თავდასხმები, ძირითადად, ეგრეთ წოდებული "ჩამშვების" დახმარებით ხორციელდება, რომელსაც ამა თუ იმ კომპანიის თანხების ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია თავად ამ კომპანიიდანვე გამოაქვს. მიაგნებენ თუ არა ამ კონკრეტულ შემთხვევაში სამართალდამცველები უშუალოდ ყაჩაღებსა და მათთვის საქმის მიმცემს, ჯერჯერობით, უცნობია.

*24 საათი*

# კანონის ცოდნა შენი და სხვისი უფლებების დაცვას ნიშნავს

თამარ კაციტაძე

რამდენიმე დღის წინ იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრის მიერ ბაკურიანში ორგანიზებული სემინარის მიზანი მასმედიის წარმომადგენლების სისხლის სამართალისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში მომზადება გახლდათ.

**"საქართველოში არამყარი საკანონმდებლო მდგომარეობაა. ეს კი არა მარტო საზოგადოებისა და ჟურნალისტების, არამედ თვით პროფესიონალი იურისტების პრობლემაც არის; ამიტომ მასმედიის იმ წარმომადგენლებისთვის, რომლებიც სამართლებრივი მიმართულებით მუშაობენ, სასარგებლო იქნება კომპეტენტური იურისტების გამოცდილების გაზიარება, თუმცა ეს არ არის ცალმხრივი პროცესი,"** - განაცხადა ჩვენთან საუბარში იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრის უფროსმა სულხან გამყრელიძემ.

სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ბოლო პერიოდში შეტანილ ცვლილებებსა და მომავალში მოსალოდნელ კორექტივებზე ისაუბრეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ ნინო გვენეტაძემ და გენერალური პროკურატურის კრიმინალისტიკური სამსახურის უფროსმა ირაკლი კობალაძემ.

**"კანონის ცოდნა ჟურნალისტებს საშუალებას აძლევს, დაიცვან არა მარტო სხვისი უფლებები, არამედ ზედმეტი გართულებებისგან იხსნან საკუთარი საქმიანობაც,"** - ითქვა სემინარზე, რომლის დასრულების შემდეგ თავად სწავლების მნიშვნელობა ნინო გვენეტაძემ ასე შეაფასა:

**"ამ სემინარზე ვიმუშავეთ იმ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომელიც უახლესია და რომლის პროპაგანდა საზოგადოებასა და ჟურნალისტთა კორპუსსაც აუცილებლად სჭირდება. ამასთან, სასამართლო და ჟურნალისტთა კორპუსს შორის არის მთელი რიგი ეთიკური პრობლემები, რომელიც ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ემოციურ მუხტს უკავშირდება. ვფიქრობ, კონსულტაციები და რჩევა-დარიგებები ერთმანეთისთვის სასარგებლოა",** - ასეთია უზენაესი სასამართლოს სპიკერი-მოსამართლის პოზიცია.

სემინარი, რომელიც გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებისა (GTZ) და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) დაფინანსებით და ასევე იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის ძალისხმევით ტარდება, სამ კვირაში კვლავ გაგრძელდება.

# ბიუჯეტი და მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა

თამარ კაციტაძე

*ვის ვის და, დღევანდელი ხელისუფლების ლიდერებს, რომლებმაც რეფორმატორების სახელი, სწორედ სასამართლოში დაწყებული "რევოლუციით" დაიმკვიდრეს, ყველაზე კარგად მოეხსენებათ, რას ნიშნავს სახელმწიფოსთვის სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა და ამ პირობის შესანარჩუნებლად რა დატვირთვა ენიჭება მის ფინანსურ უზრუნველყოფას. თუმცა, ცოტა ხნის წინ პარლამენტის მიერ დამტკიცებული საერთო სასამართლოების ბიუჯეტით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ვთქვათ - საქართველოში ხელისუფლებას სასამართლოები პრიორიტეტულად აღარ მიაჩნია.*

**"ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ვამბობდი, რომ მწირი ბიუჯეტის გამო უახლოეს მომავალში სასამართლოებში მუშაობის ოპტიმალური პირობები ვერ შეიქმნებოდა. მოსამართლეების ხელფასები დაპირებულ ნიშნულს ვერ მიაღწევდა, შესაბამისად, გლობალურად, ვერც კორუფცია და სხვა პრობლემა აღმოიფხვრებოდა. მაშინაც ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ სასამართლო რეფორმა მხოლოდ მაშინ შეიძლება განხორციელებულად მივიჩნიოთ, როცა თბილ დარბაზში მჯდომი მოსამართლე მხოლოდ განსახილველ საკითხზე იფიქრებს და არა საკუთარ მშიერ ოჯახზე.**

**სამწუხაროდ, ეს დრო ჯერ არ დამდგარა და ძნელი სავარუდოა, როდის დადგება. დრო კი არ ითმენს. თუ მოსამართლეთა მატერიალური, სოციალური უზრუნველყოფის პრობლემა დროზე არ გადაიჭრა, სასამართლო რეფორმისთვის გაწეული ყველა ძალისხმევა წყალში ჩაიყრება. ეს კი, არა მარტო სასამართლო რეფორმის კრახს, არამედ მთლიანად ქვეყნის სახელმწიფოებრიობას შეუქმნის საფრთხეს, რამეთუ სასამართლო რეფორმა არის ქვეყანაში მიმდინარე პროცესების განუყოფელი ნაწილი და მისი წარმატება თუ წარუმატებლობა არ უნდა შეფასდეს, როგორც მხოლოდ სასამართლო რეფორმების წარმატება ან წარუმატებლობა,"** - ამბობდა ჯერ კიდევ 2000 წელს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე მერაბ ახობაძე, რომელმაც ყველაზე კარგად იცის და ესმის, რა პრობლემების წინაშე დგას დღევანდელი სასამართლო ხელისუფლება და რა ბედი შეიძლება ეწიოს მას მწირი დაფინანსების შემთხვევაში.

## საერთო სასამართლოების საარსებო მინიმუმი

ახალი წლის დასაწყისში ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში საბიუჯეტო ციებ-ცხელება იწყება. სხვადასხვა სავალდებულო მუხლებთან ერთად, ხელმძღვანელობა ცდილობს ახალი ბიუჯეტით მიიღოს ის თანხა, რომელიც სისტემაში არსებულ პრობლემებს მეტ-ნაკლებად მაინც მოაგვარებს. ასეთი ბიუჯეტის პროექტი საერთო სასამართლოების დეპარტამენტშიც არსებობს.


ლევან [illegible] ფოტო


გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*მსოფლიო ბანკის დაფინანსებით რეკონსტრუირებული სასამართლოების გვერდით მწირი ბიუჯეტის ამარა დარჩენილი სასამართლოების შენობები სავალალოდ გამოიყურება.*

"სასურველი" ბიუჯეტის პროექტის თანახმად საქართველოს სასამართლოებს (უზენაესი სასამართლოს გარდა, მას ცალკე ბიუჯეტი აქვს) 20 014 135 ლარი სჭირდება, აქედან მხოლოდ კაპიტალური ხარჯებისთვის გათვალისწინებულია 7 197 330 ლარი, ხოლო დანარჩენი ხარჯებისთვის სულ 4 845 653 ლარი. თუმცა, მიუხედავად მნიშვნელოვნად გაზრდილი ბიუჯეტისა, ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, მისი ხელისუფლებისთვის გაცნობაც კი არავის უფიქრია.

სამაგიეროდ, იუსტიციის საბჭომ ფინანსთა სამინისტროს, გასული სამი წლის ბიუჯეტის მსგავსად, ანუ ორგანული კანონის შესაბამისად, საერთო სასამართლოების ბიუჯეტის პროექტი 9 960 000 ლარის ოდენობით წარუდგინა. თუმცა, როგორც ჩანს, ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სასამართლოებისთვის დასახელებული თანხაც ეზევრა და საბოლოოდ ქართულ მართლმსაჯულებას საკუთარი საშუალო არითმეტიკულით და, რაც მთავარია, ორგანული კანონის იგნორირებით 8 360 000-იანი ბიუჯეტი დაუწესა, რაც პარლამენტმა უპირობოდ დაამტკიცა კიდეც.

**"ფინანსთა სამინისტრომ მიმდინარე წლის ბიუჯეტი გასული წლის ხარჯების ოდენობით განსაზღვრა. ანუ, საერთო სასამართლოების ბიუჯეტი განისაზღვრა არა იმ თანხით, რაც ბიუჯეტით იყო განსაზღრული, არამედ იმით, რისი გამოყოფაც, ფაქტობრივად, შეძლო სახელმწიფომ. ასეთი მიდგომა, სხვას რომ თავი დავანებოთ, ბიუჯეტის შესახებ კანონის იგნორირებას ნიშნავს. სხვათა შორის, სეკვესტრის პერიოდში სასამართლოს ბიუჯეტთან შეხებას, წინა ხელისუფლებაც (როცა ნოღაიდელიც იყო ფინანსთა მინისტრი) არ კადრულობდა,"** - განაცხადა ჩვენთან საუბარში საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარემ მერაბ ახობაძემ.

## როცა სასამართლოები თავზე გვენგრევა

სასამართლოების რეფორმის ერთ-ერთი შედეგია "მსოფლიო ბანკის" დახმარებით აშენებული სასამართლო შენობები. ეს თვალსაჩინო მაგალითა იმისა, თუ როგორი უნდა იყოს თემიდას სამფლობელო. მაგრამ, სამწუხაროდ, უცხოელთა კეთილშობილური მისია ამოიწურა და საქართველოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მხოლოდ 12 სასამართლო დარჩა (საქართველოში სულ 64 სასამართლოა), რომელიც შენარჩუნებას და მოვლას საჭიროებს, ეს კი თავაისთავად ცხადია, შესაბამის თანხებს საჭიროებს, მაგრამ...

საკანონმდებლო ორგანოს მიერ მოწონებული ბიუჯეტის თანახმად ქართულ სასამართლოებს მიმდინარე წელს კაპიტალური ხარჯებისათვის მხოლოდ 159 600 ლარი ეკუთვნით. ეს იმ დროს, როდესაც "საჩვენებელი" სასამართლოების გვერდით საქალაქო თუ რაიონული სასამართლოების უმეტესი ნაწილი, თავზე გვენგრევა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

დიდუბე-ჩუღურეთის, ვაკე-საბურთალოს და სხვა სასამართლოებში შექმნილი მდგომარეობის აღწერას, სულ მცირე, კაფკას ფანტაზია სჭირდება, რომ არაფერი ვთქვათ, ვანის რაიონის სასამართლო შენობაზე, რომელიც წლების განმავლობაში ღვინის ქარხნის თითქმის დანგრეულ ადმინისტრაციულ შენობაშია განთავსებული. არადა, იმისათვის, რომ შენობა მართლმსაჯულების საკუთრებაში გადავიდეს და მომავალში მის შერემონტებაზეც იფიქროს ვინმემ, ქარხნის მეპატრონეს საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა გამოსასყიდი თანხა - 7 ათასი ლარი უნდა გადაუხდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლეებს გადაწყვეტილების გამოტანა ღია ცის ქვეშ მოუწევთ. ანალოგიური პრობლემებია სხვა სასამართლოებშიც - ზოგს თავზე აწვიმს, ზოგს იატაკი ენგრევა, ზოგს ბზარები უჩნდება და ა.შ. ოზურგეთში კი შარშან დაწყებული სასამართლოს მშენებლობა საერთოდ შეჩერდა.

ფინანასთა სამინისტრო გულუხვი არც მართლმსაჯულების დავალიანების და სხვა ხარჯების გათვალისწინებისას ყოფილა. ამიტომ, ცოტა ხანში, არც ის გაუკვირდება ვინმეს, სასამართლოებში დენს თუ გათიშავენ, მოსამართლეები ქაღალდის მათხოვრობას თუ დაიწყებენ და ვინ მოთვლის პრობლემებს. ასე თანდათანობით იწყება სასამართლოების დამოუკიდებლობის დაკარგვა და კორუფციის მორევში ჩათრევა.

## მოსამართლეთა კონფერენციის შეფასება

დავიწყოთ იქიდან, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში საერთო სასამართლოებისთვის განკუთვნილი მიმდინარე ხარჯების შემცირება წინა წლის საბიუჯეტო სახსრების ოდენობასთან შედარებით, შეიძლება მხოლოდ მოსამართლეთა კონფერენციის თანხმობით. თუმცა, ასეთი თანხმობა ფინანსთა სამინისტროს საერთო სასამართლოების ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მოსამართლეთა კონფერენციისგან არ მიუღია. მეტიც, ჩვენი ინფორმაციით, კონფერენციაზე გამოთქმულ შენიშვნებზე ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა არგუმენტირებული პასუხი ვერ გასცა. შენიშვნების ნუსხა კი არც ისე მცირეა.

ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ პროექტში საქართველოს სასამართლოები დაჯგუფებულია შემდეგი პრინციპით: თბილისის და ქუთაისის საოლქო სასამართლოები და აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოები ერთად და ყველა დანარჩენი სასამართლო ერთად. მოსამართლეების კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის შეფასებით, ქართული მართლმსაჯულებისადმი ასეთი მიდგომა არა მარტო კანონსაწინააღმდეგო, არამედ რაიონული და საქალაქო სასამართლოებისთვის დისკრიმინაციაცაა. ამასთან, ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის საერთო სასამართლოების მიერ თავის დროზე დადებული გრძელვადიანი გარიგებები, რის გამოც შეიძლება ბევრი სასამართლო თავშესაფრის გარეშე აღმოჩნდეს. აღარაფერს ვამბობთ, კაპიტალური ხარჯების გარეშე დარჩენილ 64 სასამართლოზე.

ადმინისტრაციული კომიტეტის შეფასებით, არაკორექტულია საერთო სასამართლოების ბიუჯეტში მსოფლიო ბანკის პროექტის ჩასმაც, რომელიც მხოლოდ სამოდელო სასამართლოებისთვის არის გამიზნული.

**"ასევე, ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული ბიუჯეტის მიღების შემთხვევაში, "საერთო სასამართლოების შესახებ" კანონის მოთხოვნის შესაბამისად, ფინანსთა სამინისტრო იძულებული გახდება, საერთო სასამართლოების 2005 წლის ბიუჯეტი განსაზღვროს წინა, 2004 წლის ბიუჯეტის მიხედვით, რაც ქვეყნის ხაზინას მძიმე ტვირთად დააწვება, ან იაროს კანონდარღვევის გზით, რაც, აგრეთვე, არასასურველია,"** - აღნიშნულია მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის შეფასებაში, სადაც იმედი გამოითქვა, რომ მათ შენიშვნებს ფინანსთა სამინისტრო გაითვალისწინებდა, მაგრამ...

## იმედი

მიუხედავად საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხრიდან ფინანასთა სამინისტროში გაგზავნილი საპროტესტო წერილებისა და პარლამენტის შესაბამის კომისიებში გამოთქმული საყვედურისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკანონმდებლო ორგანომ სასამართლო ხელისუფლების კანონიერი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და ფინანსთა სამინისტროს მიერ მართლმსაჯულების მიმართ გამოტანილი "განაჩენი" ძალაში დატოვა. თუმცა, მოგვიანებით, სასამართლოების ბედით თავად პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია დაინტერესდა, რომელმაც ივნისში სასამართლოების ბიუჯეტის გადახედვა მოითხოვა. პრემიერ-მინისტრის განცხადების შემდეგ, მართალია, ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასილ გიგოლაშვილმა ჩვენთან საუბარში არ აღიარა, რომ ბიუჯეტის განსაზღვრისას საერთო სასამართლოების ინტერესი შეილახა და, მით უმეტეს, ორგანული კანონი დაირღვა, მაგრამ დაადასტურა, რომ საერთო სასამართლოების ბიუჯეტი გადახედვას აუცილებლად საჭიროებს, რის შემდეგაც მართლმსაჯულებისთვის დამატებითი თანხები გამოიძებნება.

ერთი სიტყვით, იმედი გაჩნდა. საერთო სასამართლოების ბიუჯეტის გადახედვამდე კი ცოტა დრო რჩება. რა რაოდენობით გაიზრდება მართლმსაჯულების ბიუჯეტი, წინასწარ ძნელი სათქმელია. აქედან გამომდინარე, ძნელი განსასაზღვრია, რამდენად წაადგება იგი დანგრევის პირას მისულ სასამართლოებს. მაგრამ უცვლელი რჩება კითხვა - ხომ არ შეიცვალა რეფორმატორებად წოდებული, დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლების დამოკიდებულება ქართული მართლმასჯულებისადმი?

# ბავშვთა დღეა

## ბავშვებზე ძალადობის, უხეში მოპყრობისა და გულგრილობის დაძლევა

მარიამ ცხოიძე

ხშირია მოზარდებზე პოლიციის ზეწოლა. მე ერთი ფაქტის მომსწრე გავხდი. ბაღში ვიყავი, სადაც ჩემი ასაკის ბიჭები კამათობდნენ. მათგან ერთს ვიცნობდი, უბრალოდ ჩემი ნაცნობი იყო და მეტი არავინ. ამ დროს პოლიციაც გამოჩნდა და დავინახე საშინელი რამ: გაშველების მაგივრად პოლიციამ მოზარდების ცემა დაიწყო. სასტიკად ურტყამდნენ ხელკეტებს. შემდეგ დავინახე, რომ ჩემს ნაცნობს პოლიციელმა ჯიბიდან მობილური ამოუღო და გულის ჯიბეში ჩაიდო. მერე კვლავ ძალით ჩაუყო ჯიბეში ხელი და რაღაც პატარა კოლოფი ამოუღო. თავში წამოარტყა, პანღურიც ამოსცხო და მანქანაში ჩააგდო. დაქოქეს მანქანა და სწრაფად წავიდნენ.

ამბის შემდეგი ნაწილი გადმოცემით ვიცი. ჩემი ნაცნობი პოლიციაში წაუყვანიათ და ნარკოტიკი აღმოუჩენიათ ჯიბეში. იგი ამბობდა, რომ ჩაუდეს, მას არ ჰქონია. ამის გამო ის სასტიკად სცემეს. შემდეგ გამოიძახეს მშობელი და ქრთამი მოითხოვეს. რა თქმა უნდა, მშობელმა ქრთამი გადაიხადა, რადგან შვილს ცემით ხომ არ მოაკვლევინებდა, მაგრამ განთავისუფლების შემდეგ მშობლებმა შვილისგან პასუხი მოითხოვეს. ბიჭს ახლა მშობლებისთვის უნდა აეხსნა და საკუთარი უდანაშაულობა უნდა დაემტკიცებინა.

ასეთი ამბის შემდეგ ბიჭის ფსიქიკა ირღვევა, მას ალბათ შურისძიების წყურვილიც უჩნდება და "ქუჩის ბიჭადაც" ჩამოყალიბდება –აქედან იწყება მკვლელობა, ქურდობა და სხვა კრიმინალური დანაშაული.

## საქართველოს კონსტიტუცია

**12.1. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით;**

**13.1.საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა;**

**14. ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.**

**15. 1.სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.**

**16.ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.**

**17. 1 ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.**

**18. 1.ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია.**

**19.1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.**

**19.2.დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.**

## ყველა ბავშვისთვის თანაბარი ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა

ელენე ჩადუნელი

უსწავლელობის მიზეზი გადატვირთული პროგრამებიც არის.

იმის გამო, რომ გეოგრაფიის გაკვეთილები მოცულობით დიდია, მასწავლებელი კონსპექტებს გვაწერინებს. როცა ბავშვი გადაშლის წიგნს და ნახავს რამდენიმე ფურცლიან გაკვეთილს, რა თქმა უნდა გული გაუსკდება და სწავლა დაეზარება, ნუთუ არ შეიძლება ეს გაკვეთილი ერთნახევარ გვერდზე იყოს დაწერილი?

ყოველ დღე 6-7 გაკვეთილი გვაქვს. ერთ გაკვეთილს, კარგად რომ ისწავლო ნახევარი საათი მაინც უნდა და თუ რამდენიმე ფურცელია, თანაც საზეპირო, საათებიც სჭირდება. ამდენი დრო ყველას არ ემეტება და გართობას ვერ დავემშვიდობებით. ესეც მნიშვნელოვანი მიზეზია, რომ ბავშვი ვერ სწავლობს და ქუჩაში გადის. ამისთვის კი საჭიროა, რომ განათლების სამინისტრომ გაამარტივოს პროგრამები და დახვეწოს სახელმძღვანელოები.

სალომე გორგოძე

ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ კლასში ორმოცამდე ბავშვი ზის იმიტომ, რომ მასწავლებლებს იმ მინიმალურ ხელფასსაც ვერ უხდიან და უნდა შეამცირონ. ამით კი ბავშვების განათლება ზარალდება, რადგან ბავშვი ფიქრობს: "ორმოციდან რაღა მე გამიძახებსო?"

განათლების სამინისტრომ სასწრაფოდ რაღაც ზომები უნდა მიიღოს.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

სოფო დაუშვილი

ხშირად მესმის, საქართველოში მშვიდობააო, მიუხედავად იმისა, რომ ომი მინახავს, ამის ნაკლებად მჯერა. რატომ? ერთ ამბავს გიამბობთ და თქვენ თვითონ განსაჯეთ.

ერთხელ სკოლიდან ვბრუნდებოდი. გზად ფუნთუშა ვიყიდე. ავტოსადგურთან თეთრი, გამხდარი ძაღლი მომიახლოვდა, ჩაიცუცქა, ხელში შემომაცქერდა და ნერწყვი გადაყლაპა. მშიერი ჩანდა, ძალიან შემეცოდა, ფუნთუშას ლუკმა მოვატეხე და თათებთან დავუგდე. ხარბად დასწვდა, მაგრამ არ შეუჭამია. კიდევ ერთი ლუკმაც გადავუგდე. ძაღლმა პირველი ლუკმა პირში გააჩერა, ახალს კბილები ფრთხილად ჩაავლო და სწრაფად გამცილდა. ავედევნე. ძაღლს მიტოვებულ ავტოფარეხთან ორი ლეკვი შეეგება. დედამ ფუნთუშას ლუკმები ლეკვებს დაუგდო.

მეორე დილით თოფების საშინელმა ჭექამ გამომაღვიძა, თელავში ცოფს ამ გზით ებრძვიან და მაწანწალა, უპატრონო ძაღლებს უმოწყალოდ ხოცავენ. სკოლაში მიმავალმა ავტოფარეხისაკენ გავიარე. თეთრი ძაღლი მოეკლათ. ლეკვები მის გვერდით იყვნენ. ლეკვები ხელში ავიყვანე და გულში ჩავიკარი. მათ შველა სჭირდებოდათ, მაგრამ არ ვიცოდი სად წამეყვანა. სახლში ვერ წავიყვანდი, საერთო ბინაში ვცხოვრობ და მეზობლები იჩხუბებდნენ. ჩემს კლასში ლტოლვილი ბიჭი სწავლობს, ლეკვების დანახვაზე აღტაცებით შესძახა: - ერთ ლეკვს მე გავზრდი და სოხუმში ერთად დავბრუნდებით, მერე თქვენ ჩვენს სანახავად ჩამოხვალთო. მეორე ლეკვი კი ჩემს ბიძაშვილს მატანში გავატანე.

ხატია ჩოგოვაძე

მეორე კლასიდან თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში ვსწავლობ. ესაა ჩემთვის ყველაზე ხელშეუხებელი განცდა. სკოლა, რომელიც 1992 წლის ომის შედეგად ნანგრევად იქცა, მალევე აღადგინეს. თუმცა ყოველთვის მგონია, რომ მის კედლებს სადღაც მაინც სტკივა, სადღაც მაინც ეტყობა ნატყვიარი! ეს განცდა მხოლოდ სკოლის შიგნით მეუფლება, კლასიდან კლასში გადავდივარ და სკოლის გარეთ, რუსთაველის პროსპექტზე ხშირად სრული ქაოსი იყო : ხან - მიტინგი, ხან - აქცია, ხანაც - პოლიციის მრავალრიცხოვანი რაზმი. იქვე ცხოვრება თავისით მიდიოდა, ადამიანები დაბაკუნობდნენ ქუჩაში, თითქოს ყველა შეეჩვია ასეთ სურათს. ადამიანები ცალ-ცალკე იდგნენ! "ვარდების რევოლუცია" !

ისეთ ქვეყანაზე ვოცნებობ, ილია ჭავჭავაძეს რომ წარმოედგინა. ენერგიადაცლილ ქვეყანაში ილია არ იბადება! "ცარიელი მშვიდობაც" არაფრის მაქნისია. ყველა ახალგაზრდამ თავისი თავი უნდა იპოვოს.

... თუ მშვიდობას სხვას სთხოვ, არასოდეს გექნება მშვიდობა. თუ დამოუკიდებლობას სხვას სთხოვ, ვერასოდეს დამოუკიდებელი ვერ გახდები!




## ოჯახში აღზრდის და ღირსეული სოციალური პირობების არსებობის უფლება

ანა ტაბატაძე

მე მწყინს და მაწუხებს ის ფაქტი, რომ ქვეყანაში ძალიან ბევრი უკანონო ბავშვია და ძალიან ბევრი მათხოვარი. ძალიან ხშირია ის ფაქტი, როდესაც ოთხი-ხუთი წლის ბავშვები იძულებულნი არიან, მათხოვრობით შეინახონ ოჯახი, ისინი დაჰყვებიან მეტროპოლიტენის მატარებლებს, დადიან ვაგონიდან ვაგონში და ხალხს გულისმომკვლელი ხმით სთხოვენ დახმარებას. ეს სულისშემძვრელი ფაქტი, სამწუხაროდ, რეალობაა. ზოგჯერ, როდესაც მიწისქვეშა ტრანსპორტით გადავწყვეტ მგზავრობას, მაშინვე მახსენდება, რომ ყოველი ჩემი მეტროში ჩასვლა, ჩემი გულისტკივილია, რადგან იქ ვხედავ უამრავ ჩემს თანატოლს, რომელიც იძულებულია, მათხოვრობით შეინახოს თავი. ამიტომაც, ჩემს გადაწყვეტილებას მყისვე ვცვლი და ვამჯობინებ "მიწისზედა" ტრანსპორტს.

მე მინდა თხოვნით მივმართო იმ ორგანოებს, რომლებსაც ევალებათ უპატრონო ბავშვების მოვლა-პატრონობა - მიხედონ მათ. მე მადლობელი ვიქნებოდი, თუ ეს ორგანიზაციები ჩემს თხოვნას დააკმაყოფილებენ.

## ღირსეული სოციალური პირობების არსებობის უფლება

ნინო მაისურაძე

დღეს საქართველოში ძირითადი პრობლემა დანაშაულელებრივი სამყარო, ქუჩაა.

ის დანაშაულებები, რომლებიც უპატრონო მოხეტიალე ბავშვებს შორის იჩენს თავს, საფრთხეს უქმნის არა მარტო ამ ბავშვებს, არამედ ჩვენც-მოსახლეობას.

თავად ამ ბავშვებისთვის სასტიკ სამყაროს ცხოვრებისეული დაღი დაუსვამს.

ეს ადამიანები მოკლებულნი არიან ყოველგვარ უფლებებს და ცხოვრების საშუალებებს.

სწორედ ამიტომ უმეტესობა ამ ბავშვებისა გამოქცეულა სახლიდან და "ქუჩისთვის" შეუფარებია თავი.

ამის მიზეზი შეიძლება იყოს თუნდაც მშობლების მიერ ფიზიკური შეურაცხყოფა, ან ემოციური ზეწოლა.

ბავშვების მეორე ნაწილი მშობლებმა მიატოვეს და უპატრონო ბავშვთა სახლებს მიაბარეს.

ალბათ იკითხავთ, თუ ბავშვები მშობლებმა ბავშვთა სახლებს მიაბარეს, მაშინ რატომ აღმოჩნდნენ ქუჩაში.

ამის მიზეზი ბავშვთა სახლებში შექმნილი მდგომარეობაა.

თავად ბავშვებმა უპატრონოთა სახლებში შექმნეს კანონი, ჯუნგლების კანონი "გადარჩება მხოლოდ ძლიერი". აქ არ არის ბრძოლა ძალაუფლებისათვის ან ფულისათვის, მაგრამ იბრძვიან ზედმეტი ლუკმისა და სათამაშოსთვის.

უმეტესობა ბავშვებისა გარბის ბავშვთა სახლებიდან. ზოგს ამაში უფროსი დაძმა ეხმარება.

აი, ამ გზითაც ხვდებიან ბავშვები ქუჩაში. იქ კი ... ისინი იწყებენ ქურდობას, მათხოვრობას. უმეტესობა გოგონებისა ხელს მიჰყოფს პროსტიტუციას და ასე, თითოეული მათგანი ხდება დანაშაულებრივი სამყაროს სრულფასოვანი წევრი.

ამით მათი წამება არ მთავრდება.

ამას ემატება კორუმპირებული პოლიციელები, რომლებიც ძალდატანებით ართმევენ ბავშვებს ნაშოვნ ფულს, სცემენ და ასე გრძელდება მანამ, სანამ ბავშვი რეგულარულად არ დაიწყებს ფულის ჩაბარებას პოლიციელისთვის, ასე ვთქვათ, "ხარკის სახით".

ამ საქმეს აუცილებლად უნდა მიხედოს მთავრობამ და თუ არა, მაშინ თავად მოსახლეობამ.

უნდა შეიქმნას სპეციალური დაწესებულებები, სადაც ეს ბავშვები შეძლებენ თავისი ცხოვრების შეცვლას.

მთავარი როლი ამ საქმეში უნდა შეასრულოს მასმედიამ. უნდა გამოქვეყნდეს რაც შეიძლება მეტი სტატია, ამ მეტად აქტუალური თემის შესახებ, რათა როგორმე შევძლოთ ამ პრობლემის გადაწყვეტა.

## სიცოცხლის უფლება და ჯანმრთელობის დაცვა.

ნინო ცისკარაული

უბანში, სადაც ვცხოვრობ, საღამოს ქუჩები ჩაბნელებულია, ბნელში ადამიანს შიში გეუფლება და გრძნობ, რომ დაუცველი ხარ. ჩემი აზრით ამ საქმეს მიხედვა უნდა.

დათბა. ნათლად გამოჩნდა ჭუჭყიანი და დანაგვიანებული სკვერები, ქუჩები, მოედნები, რომლის დასუფთავებასაც არავინ ფიქრობს, ნეტა ვის ეხება ეს საქმე?

მე მიყვარს მგზავრობა, მაგრამ ის არ მომწონს, რომ ქუჩაში ამდენი გაჭირვებული ადამიანია გამოსული და მათხოვრობს. მით უმეტეს, ჩვენი ასაკის ბავშვები, დგანან და მათხოვრობენ, რომ პური იშოვონ, თავიანთი ოჯახი არჩინონ.

მინდა ისეთ ქვეყანაში ვიცხოვრო, სადაც კანონი იარსებებს, დამნაშავე ყოველთვის დაისჯება და პასუხი მოეთხოვება დანაშაულზე.

ესმა გვასალია

ჩემს ცნობიერებაში ომი დიდი ტკივილი და ტრაგედიაა, რადგანაც მე მშობლიური ქალაქი სოხუმი დავკარგე. როდესაც ომი დაიწყო, ბევრ რამეში გარკვეული არ ვიყავი, არ ვიცოდი, თუ რას ნიშნავდა ის უბედურება, რომელიც თავს დაგვატყდა. დედას ხშირად ვეკითხებოდი, თუ რატომ უნდოდათ ჩვენი მოსპობა, რა დავაშავეთ? პასუხი ასეთი იყო: ჩვენ ვიყავით ქართველები და ამიტომ უნდოდათ გაძევება მშობლიური მიწა-წყლიდან. მტრებმა მიზანს მიაღწიეს - მე ჩემს მშობლებთან ერთად სოხუმი 28 სექტემბერს დავტოვე. გამოვედით ბოლო გემით, რომელიც გულრიფშის რაიონში სოფელ მაჭარასთან იდგა. ჩემი თვალით ვნახე, 27 სექტემბერს აფხაზები როგორ ზეიმობდნენ სოხუმის აღებას.

ომმა არავინ და არაფერი არ დაინდო.

ჩემი დიდი ოცნებაა - არასოდეს განმეორდეს ომი.



### ბათუმი მის გარეშე



როგორც ეტყობა, ასლან აბაშიძე ჭამა-სმის და ქეიფის ქართულ თუ ევროპულ ტრადიციას არ ცნობდა. თავად ისედაც გემრიელად ჭამდა და ხალხი რას იზამდა, ამას რა მნიშვნელობა აქვს.

B3

### "სიონი" UEFA-ს თასიდან გამოვარდა

საკუთარი "გულშემატკივრების" გამო, რომლებმაც "ოქროს მატჩის" დროს ეროვნული სტადიონი ოქტაგონად აქციეს და მინდორზე გულიანად იჭირითეს, "სიონი" უპრეცედენტოდ დაისჯება. წლეულს "სიონი" მონაწილეობას აღარ მიიღებს უეფას თასის გათამაშებაში.

B4

### ქართული ფოლკლორის სადარაჯოზე



დღეიდან, მთელი კვირის განმავლობაში თბილისში ქართული ფოლკლორის ზეიმი ეწყობა. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა "ფოლკ ფესტივალის" "სათაურით" მოიხსენიება

B7

# ბავშვის უპირველეს უფლებას - იყოს მხიარული - "თორმეტამდე" უზრუნველყოფს







დღეს ყველა ბავშვი ზოოპარკში უნდა წავიდეს. გაზეთი "თორმეტამდე" დღეს ერთი წლის ხდება. იქ პირველ საათზე საჰაერო ბუშტი აფრინდება და პარიზის დისნეი ლენდისკენ გაფრინდება. ვინ გახდება ეკიპაჟის წევრი, დღეს გადაწყდება. დანარჩენები მიიღებენ საჩუქრებს, ითამაშებენ, მიირთმევენ ტკბილეულობას და დამოუკიდებლად დახარჯავენ მთელი წლის განმავლობაში შეგროვებულ "ჯუჯალარებს". გაზეთი "თორმეტამდე" თავის დაბადების დღეზე ეპატიჟება ყველას.

## პარიზი! "დისნეი-ლენდი!"

მეშვიდე თვეა, გაზეთი "12-მდე" 12 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის არაჩვეულებრივ პრიზებს ათამაშებს. მთავარი პრიზი - ორი საგზური პარიზის "დისნეი-ლენდში", დღეს - 1 ივნისს თამაშდება. საფრანგეთში ერთკვირიანი დასვენების შანსი 20 პატარას - რვა გოგონასა და 12 ბიჭს აქვს. ეს ის პატარები არიან, რომელთაც ამ შვიდი თვის განმავლობაში უამრავ სასურველ პრიზთან ერთად დასკვნით გათამაშებაში მონაწილეობის უფლებაც მოიგეს.

პრიზები დღესაც გათამაშდება, მათ შორის - "შერატონ მეტეხი პალასის" აუზით სარგებლობის ერთთვიანი აბონემენტი. "შერატონ მეტეხი პალასის" გარდა, გათამაშების სპონსორები არიან: "კოდაკ-ექსპრესი" - ფოტოსამყარო, ბავშვთა ქალაქი "რია-რია", ტურისტული სააგენტო "ამერიკან ექსპრესი", სკნაგრი ჯგუფი, "თოლია", "ყაზბეგი". "თოლია" და "ყაზბეგი" კონკურსს ნაყინით, ლიმონათებითა და ცივი ჩაითაც დაატკბობენ.

დღევანდელი კონკურსის ყველაზე პატარა მონაწილე სამი წლისაა, ყველაზე უფროსი - 12-ის. ვერ გეტყვით, ყველაზე პატარებისთვის - როგორ, მაგრამ მოზრდილები რომ სიამოვნებით გაისეირნებდნენ "დისნეი-ლენდში" და ნაირ-ნაირი ატრაქციონებით გულს იჯერებდნენ, ფაქტია. დღეს ისინი საკუთარი ხელით გადაწყვეტენ ამ საკითხს - თავად დაატრიალებენ ბედის ბორბალს და აიღებენ კონვერტს, რომელშიც - ან სანატრელი საგზური, ან ძვირფასი საჩუქარი იქნება.

ამ გათამაშებამ ზოგ ბავშვს პირველად გააცნო თბილისი. სამი წლის გიორგი მუკბანიანი სწორედ "12-მდე"-ს გამო ჩამოიყვანეს მშობლებმა დედაქალაქში ქუთაისიდან და "მაკდონალდსიც" აჩვენეს. "ჰეფი მილი" ის პრიზი იყო, რომელიც პატარამ პარიზში გამგზავრების შანსთან ერთად მოიგო. **"ძალიან ემოციურად მიიღო ყველაფერი,** - ამბობს გიორგის დედა ხათუნა, - **სიმართლე გითხრათ, ამ გამარჯვებას არც ველოდით".**

10 წლის ელენე ბერიაშვილი დღევანდელ გათამაშებას სერიოზულად ეკიდება. **"ეს პირველი კონკურსია, რომელში მონაწილეობა მივიღე და გავიმარჯვე,** - ამბობს იგი, - **გამიხარდება, თუ "დისნეი-ლენდში" წავალ, მაგრამ არც გული დამწყდება, თუ ამ საგზურს ვერ მოვიგებ. ეს ყველაფერი მაინც სასიამოვნო მოგონებად დამრჩება. ყველაფერი ძალიან მომეწონა".**

დღევანდელი გათამაშებით "12-მდე"-ს საკონკურსო სეზონი არ იხურება - მსგავს გათამაშებებში მონაწილეობის საშუალება ბავშვებს მომავალშიც ექნებათ. ამის პირობას მათ გაზეთ "12-მდე"-ს მთელი კოლექტივი აძლევს.





თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February
გამოწერით.
on subscription basis
e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25



B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ტექნოლოგიები B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა



## კონცერტები

**ეთნოგრაფიული მუზეუმი**
**ფოლკლორის ფესტივალი Art-გენი**
15:00 სთ. - მოძრაობის თეატრი
17:00 სთ. - ფოლკლორი: კახეთი, გურია
21:00 სთ. - Soft Eject
**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
პატარა ვირტუოზები
დას: 13:00 სთ.

## თეატრები

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
ფესტივალ "საჩუქრის" გახსნა:
მიხეილ თუმანიშვილის წიგნის პრეზენტაცია
მიხეილ თუმანიშვილის სახელობის პრიზების გადაცემა. ლაურეატები: მედეა კუჭუხიძე, გურამ სალარაძე, რამაზ ჩხიკვაძე
დას: 18:00 სთ.
ჟან ბატისტ მოლიერი
"ტარტიუფი"
რეჟ. დავით საყვარელიძე
დას: 20:00 სთ.
**თეატრალური სარდაფი**
გაგა ნახუცრიშვილი, ზურაბ ქიქოძე
"მუუ..."
რეჟ. ზურაბ ქიქოძე
**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
უილიამ შექსპირი
"ვენეციელი ვაჭარი"
რეჟ. ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"ტროა"
დას: 10:00; 13:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ.

## გამოფენები

**საქართველოს ხელოვნების მუზეუმი**
"XX საუკუნის ქართული ხელოვნება"
**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
აჭარელ, აფხაზ და ქუთაისელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა
**თბილისის ისტორიის მუზეუმი**
დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა
**"ჰობი"**
გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა
**სურათების ეროვნული გალერეა**
სახვითი ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**ხუთშაბათს, 3 ივნისს,** 17:00 საათზე ზაალ სამადაშვილის ციკლი "ახალი განზომილება" - გიგი სულაკაური თემა: "მოგონებების მოლეკულები"

*მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50*

**6 ივნისს**

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი" წარმოადგენს მუსიკალურ წარმოდგენას ალექსანდრე პუშკინის ზღაპრების მოტივებზე - "Превращения в Лукоморье"
დამდგმელი რეჟისორები: ინგა გარუჩავა და პეტრე ხოტიანოვსკი
კომპოზიტორი თენგიზ ჯაიანი.
დას: 13:00; 15:00 სთ.

# პირდაპირ სცენაზე

სოფიო თოდუა

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სიახლეა. სიახლეა ალექსანდრე ახმეტელის სახელობის დრამატულ სახელმწიფო თეატრშიც. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, ინსტიტუტი და თეატრი ერთობლივი პროექტის განხორციელებას აპირებენ. ჩვენს დროში ახალი იდეებით ვისლა გააკვირვებ, მაგრამ ამ წამოწყებამ, წესით, სასურველი შედეგი უნდა გამოიღოს.

ცოტაც და, თეატრალურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდები დაიწყება და ეს გამოცდებიც, ტრადიციულად, მშფოთვარედ ჩაივლის. მაგრამ წლეულს აბიტურიენტებს, მომავალ მსახიობებსა და რეჟისორებს, შესაძლებლობა მიეცემათ, თავადვე აირჩიონ პედაგოგი. მიზნობრივი ჯგუფის სტუდენტები 4 წლის განმავლობაში უშუალოდ ახმეტელის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, რეჟისორ დავით ანდღულაძის ხელმძღვანელობით დაეუფლებიან სამსახიობო და სარეჟისურო ხელოვნებას. რაც მთავარია, ისინი იმთავითვე გახდებიან თეატრის შემოქმედებითი პროცესის მონაწილენი და სწავლის დამთავრების შემდეგ, თუ მათ სურვილი ექნებათ, ამავე თეატრში დარჩებიან. რასაკვირველია, ამ შეღავათით წარმატებული სტუდენტები ისარგებლებენ.

მიზნობრივი ჯგუფის არსებობა პრივილეგიების არსებობას არ გულისხმობს - მსურველები ჩვეულებრივ ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს, ოღონდ საბუთებს ამ ჯგუფში ჩასარიცხად შეიტანენ. აქვე დავძენ, ამ ჯგუფში მოხვედრილებს სცენოგრაფიას ახმეტელის თეატრის მთავარი მხატვარი აივენგო ჭელიძე შეასწავლის. რაც შეეხება მუდმივ დასს, სტუდენტების მონაწილეობა თეატრის სპექტაკლებში მათთვისაც ისევე სასარგებლო იქნება, როგორც ამ ახალგაზრდებისთვის სცენაზე გამოცდილი მსახიობების გვერდით დგომა. სამწუხაროდ, 2004-2005 სასწავლო წლისათვის მიზნობრივ ჯგუფში მხოლოდ მომავალი 14 მსახიობი და 4 რეჟისორი ჩაირიცხება. იმედი ვიქონიოთ, სტუდენტებიცა და მათი პედაგოგებიც აპლოდისმენტებს პირველივე პრემიერის შემდეგ დაიმსახურებენ, მომავალ წელს ჯგუფის გაზრდაზე იზრუნებენ და უკვე სცენიდან დაგვიმტკიცებენ, რომ რაოდენობრივი ცვლილებები თვისობრივ ცვლილებებს იწვევს..

# აფხაზური თეატრი რუმინეთში

აფხაზეთის სეპარატისტული რესპუბლიკის დრამატული თეატრი რუმინეთში დაგეგმილ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას.

თეატრის დასი სპექტაკლს "მახაზი" წარმოადგენს. სპექტაკლი ფაზილ ისკანდერის ნაწარმოების მიხედვით დაიდგა. სპექტაკლის პრემიერა სოხუმში უკვე გაიმართა. სპექტაკლი რეჟისორმა ვალერი კავემ დადგა. *მედია-ნიუსი*

# P.S. პოპკორნი რომ არა, მე ამ სანახაობას ვერ გავუძლებდი...



ნინია კაკაბაძე

ვინაიდან სტატია ბოლოდან, პოსტ სკრიპტუმით დავიწყე, აქვე მოგახსენებთ, რომ ასეთი გემრიელი პოპკორნი რომ არა, რომელსაც მხოლოდ მე მივირთმევდი დარბაზში, ძალიან გამიჭირდებოდა იმის ნახვა, რაც გუშინ საღამოს ვიხილე. იქ დამსწრე საზოგადოება კი იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელსაც ჯერ კიდევ ჰგონია, რომ გენო ცაავას ფილმის ყურება პოპკორნის თანხლებით დაუშვებელია. ეს ბოლო.

ახლა კი თავიდან.

## ტრადიციული ფილმის პრემიერა არატრადიციული ფორმით

პრემიერაზე მისულს, რომელიც რუსთაველის კინოდარბაზში გაიმართა, სულ რამდენიმე ნაცნობი სახე აღმოვაჩინე. დარბაზში შესული ყოველ წამს სცენაზე რეზო ჩხეიძეს და გადამღებ ჯგუფს ველოდი, მსახიობებს მაინც. სცენაზე კი მარტო გენო ცაავა, ფილმის რეჟისორი აბრძანდა, ძალიან მოკლე სიტყვა მოგვახსენა, რომელიც ძირითადად მადლობის ნიშანი იყო და ფილმის დასაწყისიც გვამცნო. სწორედ იქ შევიტყვე, რომ არა ერთი, არამედ ორი ფილმი უნდა მენახა. 15-წუთიანი და 67-წუთიანი. აქ ქრონომეტრაჟს, გთხოვთ, ჩემს გამოცდილებას ენდოთ, დიდი მნიშვნელობა აქვს, პირველი ეს უნდა დაადგინოთ და შემდეგ სხვა დეტალები. ორი ფილმის შესახებ ახლა გავიგე, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცოდი, რომ ბატონი გენო ამ ფილმს უკანასკნელი 10 წელია იღებს. ეს სულ ის ფილმებია, რომელნიც 92-93 წლის საქართველოს შიდა პოლიტიკურ მდგომარეობას შეეწირა და ჩვენ ახლა, დაგვიანებით ვეწირებით. ნეტავ კიდევ რამდენი დარჩა? მგონი, ბევრი აღარ უნდა იყოს. მათ შემდეგ იმედია, ახალი ხელისუფლება და ის ადამიანები, ვის ხელშიც იქნება ახალი ბიუჯეტი, ახალგაზრდა რეჟისორების სცენარებს დააფინანსებენ და არა გასული საუკუნის. ახალგაზრდებს შორის შეიძლება რეჟისორების მოძებნა, სადაც რისკის ფაქტორი შესამჩნევად ნაკლებია. თუკი ამ შემთხვევაში ცუდი შედეგი გარანტირებულია, ახალგაზრდებში ქართული კინოს ყოფნა არყოფნის საკითხი სადღაც 40-დან 60 პროცენტამდე მერყეობს. მოკლედ, ეს სამომავლო საქმეა, დღევანდელ დღეს რაც შეეხება, ქართულ ფილმოგრაფიას კიდევ ორი (და არა ერთი) ახალი ქართული ფილმი შეემატა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ფილმის ჩვენება დაიწყო, მაგრამ რა მოხდა მანამდე.

## საპირველაპრილო ხუმრობა

რედაქციაში მოსაწვევთან ერთად ფილმის ანოტაციები მოვიდა. რა იყო ეს ანოტაციები. მახსოვს, 80-იან წლებში ლანა ღოღობერიძის ფილმის "ორომტრიალის" პრემიერა შედგა საქართველოს ტელევიზიით. ქალბატონი ლანა გამოვიდა და ფილმის დაწყებამდე მაყურებელს როგორც შეეძლო განუმარტა საკუთარი ნამუშევარი, მაგრამ დასასრულს მოგვახსენა, რომ ამ ფილმის ერთხელ ნახვა საკმარისი არ იყო. იმისათვის რომ ეს მხატვრული ნაწარმოები საფუძვლიანად გაგვეგო, აუცილებლად ორჯერ უნდა გვენახა. მგონი ბატონი გენოს გზავნილიც, ანოტაციების სახით ამას ნიშნავდა, მაგრამ რომ გითხრათ, დამეხმარა-თქო ვერ ვიტყვი, მგონი, მეორედ უნდა ვნახო. ვიდრე მეორეჯერ ვიხილავ ამ ახალ ქართულ ფილმებს, ვინაიდან მევალება მათ შესახებ მოგითხროთ, შევეცდები ანოტაციების დახმარებით ორივე ფილმის შესახებ მოგახსენოთ.

ფილმი ნომერი ერთი: "მეოთხე დღის პირველი დღე" ასეთია მისი სახელწოდება. მგონი, გენო ცაავამ გაგვაშაყირა და მოგვატყუა, ვერაფერი რომ ვერ გავიგე ეს იმ პოპულარული რუსული გამონათქვამით ავხსენი: "დღეს პირველი აპრილია მოტყუება ადვილია" და ვინაიდან მეოთხე თვის პირველი დღე სწორედ პირველი აპრილია, ასეთი კინოინსტალაცია შემოგვთავაზა რეჟისორმა. მაგრამ, ანოტაციაში ამას ნამდვილად არ აღიარებს. აი, რას გვეუბნება: **ფილმის პერსონაჟს თავის სენაკში შემოაქვს ნიჟარები, რომელიც ზღვიდან, თავისი ნამდვილი რეალური ცხოვრებიდან ხმელეთზე გამორიყული უკვე დეკორატიული ფუნქციის მატარებელია...** კი ნამდვილად შემოაქვს, ძალიან დიდხანს აწყობს, მერე წამოწვება, მერე მუსიკას მოისმენს, მისი მზერა მუდმივად სადღაც აბსტრაქციისკენ არის მიმართული და, ამავე დროს, მრავლისმთქმელი. შემდეგ გარეთ გადის. მხოლოდ ეს სადღაც 10 წუთის განმავლობაში გრძელდება და კულმინაციის მოლოდინში (კულმინაცია თუნდაც ხმის ამოღება იქნებოდა) თვალს არ აშორებ, თუმცა საკმაოდ რთულია ამის ყურება. შემდეგ:

**გმირის ხასიათი მრავალნაირი მოქმედებითა და ექსცენტრიულობით მიმანიშნებელია მისკური გზის ნიშნებისა. მას რაღაც პირველყოფილი სიშმაგე, აღტკინება, ცხოველმყოფელობა და ველურობაც კი ახასიათებს, იგი მოწესრიგებული ველურია.** ნამდვილად არის ამაში რაღაც ველური, მაგრამ პაატა მოისწრაფიშვილი პირველად ტატო კოტეტიშვილის ფილმში რომ ვნახე, სადაც საკმაოდ კარგად ასრულებდა როლს, და გმირიც საკმაოდ საინტერესო იყო, მას შემდეგ მსახიობს გასაქანს არავინ აძლევს და ტატო კოტეტიშვილის გმირი კიდევ ბევრ ქართულ ფილმში ვნახე. უკვე გამოცდილია ამ კონკრეტულ კინოსახეზე და რატომ იწვალონ, მოიფიქრონ ახალი გმირი ან ახალი მსახიობი რა საჭიროა, ეს ხომ უკვე გააკეთეს. შემდეგ:

**მისთვის წარმოსახვა, განცდა - ერთადერთი გზაა ამ სამყაროდან სულიერ სამყაროში გაჭრისა. - გმირი თავის ოცნებაში იდილიურ გარემოში წარმოიდგენს მშვენიერ გოგონას ვიოლინოთი ხელში, რომელსაც თითქოსდა თვითონ ყრუმუნჯი თხოვს გოგონას დაუკრას ვიოლინოზე. გაკვირვებული გოგონა მიუხედავად იმისა, რომ მის წინ ყრუ-მუნჯია, მაინც უსრულებს თხოვნას; დაუკრავს. გმირი მუსიკით აღფრთოვანებული გოგონას მიუძღვნის ლექსს - გოგონა - გაოგნებულ მდგომარეობაში**




**ყრუ-მუნჯის ჟესტიკულაციით არკვევს, რომ მის წინ ყრუმუნჯი კი არ ყოფილა, არამედ ყველაფერი ეს იყო ლამაზი ტყუილი, ორივე გახარებული ერთმანეთს ჩუქნის სიცილს.** გარეთ რომ გავიდა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ნინო თარხან-მოურავი შემოხვდა გზად. სანდომიანი სახით და ვიოლინოთი ხელში. ისევ ნაცნობი სახე, გამომეტყველება და გმირი. საშა რეხვიაშვილის ფილმი "საფეხური" და ფილმის გმირი. მაინც, დამაინც არც ნინო თარხან-მოურავს ანებივრებენ განსხვავებული სახეებითა და კინოგმირებით. ესეც შექმნა რეხვიაშვილმა და რაღა გენო ცაავამ იწვალოს ახლის მოგონებითა თუ შექმნით. მოკლედ შეხვდნენ ერთმანეთს, დაუკრა ნინომ ვიოლინოზე, გაუღიმა პაატამ და ასე დაშორდნენ ერთამენთს. კი, ისიც მეგონა, რომ ყრუ-მუნჯი იყო, მაგრამ ბატონმა გენომ არაო.

**პერსონაჟის მიზანი ტრანსცედენტურია - შეერთება გამთლიანება წინააღმდეგობებით აღსავსე სამყაროსთან, ის წარმოსახვიდან ბრუნდება მატერიალურ სამყაროში, რომელიც სევდის მომგვრელია და იხსნება იმით, რომ არსებობს კონფლიქტი ამ ქვეყნად ჩვენს ცხოვრებასა და ტრანსცედენტურს შორის.** ტრანსცედენტურიც არის და ეგზისტენციალურიც, ფილმიც პერსონაჟიც და მისი იდეის ავტორიც. ბატონი გენო ადამიანის სულიერ არსებობას განიხილავს. კონფლიქტი ყოფასა და ყოფიერებას შორის. სულიერი ადამიანის ტრანსცედენცია მატერიალურ თუ მერკანტილურ სამყაროსთან. ყველაფერი ეს მეც ვიფიქრე, მაგრამ ფილმში ვერ დავინახე, საწუხაროდ. ეს ანოტაციაც და ფილმიც ყველა ზემოხსენებულზე უფრო თანამედროვე და აქტუალურია, ეს საპირველაპრილო ხუმრობა ინსტალაცია იყო.

## მეორე!

პირველი ფილმი რომ დასრულდა ხალხი ერთმანეთს ასწრებდა კარებში, მეორე ნახევარი დარბაზში



იჯდა და ყვიროდა: "არ დამთავრებულა. კიდევ ერთი იქნება". ნაწილი დაბრუნდა, ნაწილი კი გაღიმებული სახით ვფიქრობ, ან კოკა-კოლას საყიდლად ან კი საპირფარეშოში გავიდა ცოტა ხნით, ვინაიდან ნაწილი რამდენიმე ხანში უკან შემობრუნდა. და აი, მეორე ფილმიც დაიწყო. ისევ ანოტაციები უნდა დავიხმარო, იმისათვის, რომ მკითხველს კიდევ უფრო გაუმარტივდეს ამ ახალი ქართული ფილმის არსის გაგება. მართალი გითხრათ, მეორე, როგორც ანოტაცია, ასევე თავად ფილმი კიდევ უფრო რთულია, ეს უკანასკნელი უფრო სააღდგომო ინსტალაციას წააგავს და არა საპირველაპრილოს. და აი, ისიც: **"სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის "6 და 7" -ის ანოტაცია.**

**ფილმის სათაურის გრაფიკული მხარე ინ და იან-ის პირველი საწყისების უკიდურესად ურთიერთსაპირისპირო - ორი სტიქიის ნათლისა და ბნელის, ძლიერისა და სუსტის, კაცისა და ქალის, მზისა და მთვარის, ცისა და მიწის, სიცხისა და სიცივის, დადებითისა და უარყოფითი ძალების მარადიულ მონაცვლეობაზე, მათი დაპირისპირებისა და ერთიანობის კონცეფციას ემსახურება.** როგორც ხედავთ, რეჟისორმა მთლიანი სამყარო, მისი მსოფლმხედველობა, ისევ არსებობის ფილოსოფია და მარადიული საკითხები მოიცვა. ამდენ კითხვაზე პასუხი არც ერთ ქართველ რეჟისორს არ გაუცია. კონცეპტუალისტი ცაავა ადამიანური და ეშმაკისეული, სულიერი და მატერიალური, ნათელისა და წყვდიადის, ბოროტისა და კეთილის ერთიან და ამავე დროს სხვადასხვაგვარ სახეს, სხვადასხვა დროში გვისახავს. აი, ესეც ვიფიქრე, მაგრამ ფილმში ვერ დავინახე. შემდეგ: **სიუჟეტი შედგება მრავალი განსხვავებული ნაწილისაგან - ფრაგმენტებისაგან, სადაც კაცობრიობის მიერ დაგლეჯილი დრო აღდგება თავისი ნამდვილი სახით და იდუმალ სიცხადედ იქცევა; ფილმში ლიტერატურის არსენალიდან აღებული ტექსტუალური მასალა ბჭეა, უზენაესი საიდუმლოებისა.**

**ყოველივე ამის შემაერთებელი, შემკვრელი ძალა - კინოს გამომსახველობითი საშუალებებით შექმნილი საგნობრივი სამყაროს თხრობის თანმიმდევრობაშია.** ეს მასალა ნამდვილად ბჭეა უზენაესი საიდუმლოებისა, რომელიც მხოლოდ გენო ცაავამ იცის და ცდილობს ჩვენც გაგვაგებინოს. მაგრამ, უბრალო მოკვდავები მერწმუნეთ ამას ვერ გავითავისებთ თუ გავიგებთ. რაც შეეხება კინო გამომსახველობით საშუალებებს, სიამოვნებით მოვუფიქრებდი ამ ფილმს რაიმე ახალ ჟანრულ სახელწოდებას. ვინაიდან ფილმი არც მხატვრულია, არც დოკუმენტური, არც დრამაა, არც მელოდრამა, არც თრილერი და არც სხვა რომელიმე გახმაურებული და პოპულარული ჟანრი. რაღაც ფილმსა და ტელესპექტაკლს შორის, ფანტასტიკის ელემენტებით, კოსტიუმირებული და (სხვათა შორის, ქართული კინორეალობისთვის განსხვავებულად იზრუნეს კოსტიუმებზე) დეკორატიულია. "მატრიცას" და სხვა ფანტასტიკური ჟანრის ფილმების გავლენაც იგრძობა. გამოსახულება ისე მოძრაობს, როგორც გემი და შესაძლებელია პატარა ტოქსიკური შეგრძნებებიც გამოიწვიოს. რაც შეეხება ხმას და გამოსახულებას, ბუნებრივია ეს ორი კომპონენტი ერთამენთს არ ემთხვევა. პირი სხვას ამბობს, დოლბი სხვას. ბოლოს: **ფილმი წარმოადგენს ფიქრს - ჩვენი შინაგანი სამყაროს მეშვეობით თუ როგორ უნდა ვეძიოთ გზა სრულქმნილებისაკენ. ეს არის ცდა ადამიანის ცნობიერების, კრისტალური გულისა და სულის გაღვიძებისა. ფასეულობათა გადაფასებისა, იმ სიძნელეთა დაძლევისა, რომელიც არსებობს როგორც ცოდვის შედეგად დაცემულ ქვეყნიერებაში - მატერიალურ სამყაროში, ასევე, სულიერ არსებათა დასებში, რომელიც წარმართავს ისტორიულ პროცესს".** რამდენი ხანია გზას ვეძებ სრულქმნილებისაკენ და როგორც იქნა, გუშინ ვიპოვნე. ამაში ბატონი გენო დამეხმარა. ღმერთმა გვიმრავლოს მისნაირი ხელოვანები. კი, ჩემში ნამდვილად გაიღვიძა კრისტალურმა გულმა და სულმაც თქვენ წარმოიდგინეთ. ფასეულობებიც გადავაფასე, სიძნელეებიც დავძლიე ამ ოხერ მატერიალურ სამყაროში და ასე დამშვიდებული გამოვედი კინოდარბაზიდან. დღევანდელი დღიდან მე სულ სხვა ადამიანი ვარ, სულ სხვა ფასეულობებითა და მიზანსწრაფვებით. მეორე, ანუ სრულმეტრაჟიანი ფილმის ბოლოს რეჟისორი მეორედ მოსვლის შესახებ გვახსენებს, წარღვნა არ ვიცი და მგონი ღმერთი გენო ცაავაში განსხეულებული მეორედ ნამდვილად მოვიდა.

**P.P.S.** მომიტევეთ ამგვარი ტონი, მაგრამ სხვაგვარად არ ძალმიძს, მე ხომ სამყაროს სულ სხვა თვალით აღვიქვამ. ვისაც ფილმები დააინტერესებს, მერწმუნეთ, ანოტაციის წაკითხვა საკმარისია. სტატიაში რასაც გამუქებული ასოებით წაიკითხავთ, ის არის ფილმი. რასაც აქ გაიგებთ, იგივეს გაიგებთ ფილმის ნახვისას. მე ვერაფერი გავიგე და თუ თქვენ რამეს გაიგებთ, დამიკავშირდით მისამართზე nkakabadze@24hours.ge

# ბათუმი მის გარეშე

ნინო ხონელი

ისე მოხდა, რომ ბათუმში ერთი დიდი სახლის პატარა ნაწილი მერგო ჩემი წინაპრებისგან. სახლი ერთი საუკუნისაა და, შესაბამისად, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა მდგომარეობაშია. მისი აშენების შემდეგ მისთვის ხელი არავის შეუშველებია, დგას ასე და ვიდრე იდგება, ჩვენც მანამდე ვივლით და იქ დავისვენებთ. სამაგიეროდ, ადგილია კარგი, ზედ ბულვარზე, ზღვის პირას. ამბობენ, რომ სახლის აშენებისას ზღვა იმდენად ახლოს იყო, რომ ღელვის დროს ტალღების შხეფები ჩვენს ფანჯრებს ეცემოდა. მაგრამ, ახლა არც ის დროა და ზღვამდეც ერთი ორასი მეტრია. ჩემი სახლის წინ, ანუ სახლსა და ზღვას შორის ისევ ბულვარია და ქართველი უტიფარი მშენებლები იქ ჯერ არ ჩასულან, რომ შუაგულ ბაღში დიდი, მახინჯი და შხამისფერი სახლები წამოჭიმონ. ამიტომ, ასეა თუ ისე, სახლის ფანჯრიდან ზღვა ისევ მოჩანს და დასვენება იქ ახლაც შესაძლებელია.

ამ პატარა ისტორიიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ მინდოდა თუ არა, ყოველ ზაფხულს ბათუმში ვისვენებდი (თუმცა, ამის სურვილი ყოველთვის მქონდა). ამიტომ, ერთი წლის ასაკიდან არც ერთი ზაფხული არ გამომიტოვებია. ბათუმი კომუნისტების დროსაც მახსოვს, პოსტკომუნისტური პატარა პერიოდიც და ბოლოს ასლანის ეპოქაც. თუმცა, არ დავმალავ და გეტყვით, რომ დიდი განსხვავება არც მათ შორის მიგრძვნია. დასასვენებლად ჩასულს არ მიწევდა იმ პოლიტიზირებულ რეჟიმში ცხოვრება, როგორშიც, თუნდაც, თბილისში ვცხოვრობ. ამიტომ, ბათუმში ყოფნისას ყოველთვის ნაკლებად ვიყავი ინფორმირებული, ვიდრე თბილისში. იმასაც ვერ დავმალავ, რომ დროთა განმავლობაში კიდევ და კიდევ უფრო გამაღიზიანებელი ხდებოდა ასლან აბაშიძის პერსონა; ყველა მაღაზიაში მისი ფოტო, რომელმაც სტალინის ფოტო შეცვალა ან ზვიადის; მას ყველა საკუთარ ბაბუდ მოიხსენიებს, კითხვას დასვამ, არ გპასუხობენ; შეშინებული ხალხი, რომელიც ღია სივრცეში მუდმივად სახლში დამონტაჟებულ მოსასმენ აპარატებზე ჩუმად გიყვება და სხვა.

მუდმივად მქონდა სურვილი ასლანის კრიტიკაში (უფრო ზუსტად რომ გამოვხატო საკუთარი სათქმელი სიტყვა, ლანძღვა უფრო შეეფერება ამ შემთხვევას), თანამოაზრე და თანამოსაუბრე მეპოვნა, მაგრამ ბუნებრივია - ამაოდ. ეს ჩემთვის და, ალბათ, ყველა ჩემი თაობის წარმომადგენლისათვის რთული გასაგებია, ვინაიდან ხუთი წლის ასაკიდან სახლში გაგონილი გარეთ გამქონდა და ამას არავინ მიშლიდა. ასე რომ, ჯერ არ ვიცოდი რისთვის, მაგრამ სტალინს და ლენინს სულ მცირეწლოვანი ვლანძღავდი. მოკლედ, ჩემთვის, როგორც იქ ჩასული დამსვენებლისთვის, ყველაზე საგრძნობი სწორედ ის იყო, რომ ხალხი შეშინებულ მდგომარეობაში გარეთ ქუჩაში და ყურში ჩურჩულით თუ გეტყოდა რამეს და ისიც მოზომილად.

რამდენიმე დღის წინ შესაძლებლობა მომეცა, სამი დღით ბათუმში ჩავსულიყავი. გარდა იმისა რომ კარგ ამინდს ველოდი და ზღვაში ჩასვლასაც ვგეგმავდი, მაინტერესებდა ბათუმი და ბათუმელები **მის** გარეშე. ვინაიდან ასლანს ამინდი და წვიმა მოსკოვში არავინ გაატანა, ისევ მისთვის ჩვეულ ფორმაში დამხვდა ქალაქი და ამიტომაც, ჩემს ნაცნობებთან თუ მეზობლებთან ურთიერთობისთვის კიდევ უფრო დიდი დრო მქონდა. და რა გითხრათ, რით გაგახაროთ - ვერაფერი სანუგეშო. მივხვდი, რომ აჭარაში არსებულ მდგომარეობაზე, ის, რაც ჩვენ ვიცოდით და წარმოდგენა გვქონდა, არ იყო სრული. არ მესმოდა, როდესაც მეუბნებოდნენ, რომ სტალინის მიერ დაობლებული ახალგაზრდები თუ შვილმკვადარი მშობლები მისი გარდაცვალების დღეს ტიროდნენ და მას შემდეგ დღემდე მის სადღეგრძელოს სვამენ, თუ მის რეჟიმს ნატრობენ. ვინაიდან ამის თვითმხილველი მე არ გახლდით, მჯეროდა, მესმოდა, მაგრამ გაუგებარი იყო. დღეს ბათუმში ყოფნისას ეს საკუთარი თვალით დავინახე და მივხდი, თურმე რამხელა ძალა აქვს, თუნდაც, მინი დიქტატორს. აქვე მინდა, მოგახსენოთ, რომ მე ურთიერთობა არ მქონია სტუდენტებთან, რომელნიც, უშუალოდ, აბაშიძის რეჟიმის მოწინააღმდეგენი იყვნენ, და დარწმუნებული ვარ, ამ შემთხვევაში სრულიად განსხვავებულ სურათს ვნახავდი. მაგრამ, ის ადამიანებიც, რომელთაც მე ვეკონტაქტე, აჭარლები და ბათუმელები არიან. ერთი - ფსიქოლოგიური ტერორიდან მათ ჯერაც არ დაუღწევიათ თავი; მეორე - თვალნათლივ დავინახე, როგორ შეიძლება ჰქონდეს ადამიანს მონური დამოკიდებულება მისი მბრძანებლის მიმართ. მისთვის არა აქვს მნიშვნელობა, როგორია მბრძანებელი, რას აჭმევს და რას ასმევს; მთავარია, ის მის ძალას გრძნობდეს. ძალაუფლების მოყვარულნიც არიან და ძალაუფლების ქვეშევრმდომნიც და, სამწუხაროდ, მათი რიცხვი საკმაოდ დიდია. ერთი სიტყვით, მე იმის



ბათუმი



ზღვის სანაპირო

თქმა მსურს, რომ ის სიხარული, რომელიც საყოველთაოდ იგრძნობოდა თბილისში შევარდნაძის რეჟიმის დამხობის შემდეგ მე ბათუმში ვერ ვიგრძენი. შეშინებული ხალხი დღეს, პირდაპირი მნიშვნელობით, ვერც ასლანის წასვლას ზეიმობს, ვინაიდან ეშინია და სადღაც ფიქრობს, - ვაითუ, თეთრ ცხენზე ამხედრებული არა, მაგრამ დაბრუნდეს და ჩვენს ლაპარაკზე პასუხს მოგვთხოვოსო. ვერც ახალ მთავრობას აკრიტიკებენ - ფიქრობენ, რომ ისინიც დაიჭერენ მათ ამისთვის და - ვერც აქებენ, ვინაიდან ბაბუ თუ დაბრუნდა, ამაზეც მოითხოვს პასუხს. ყველას შეშინებულნი და ეჭვის თვალით უცქერენ, მხოლოდ ერთია მათი საყოველთაო სიყვარულის ობიექტი - გიგი უგულავა; ყველა გოგონას მეუღლედ უნდა და ყველა დედას სიძედ. გიგის სიყვარულს, განურჩევლად ასაკისა, სქესისა და სოციალური მდგომარეობისა, ყველა ერთნაირად აღიარებს. ყოველი სხვა დანარჩენი ეჭვისა და შიშის ობიექტია. არ მინდა, ეს საყოველთაო ტენდენციად მოვიაზროთ, იმედი მაქვს, ეს პატარა ჯგუფია, რომელთაც უჭირთ მოძალადე ბატონის ხატებასთან განშორება და სიახლის ფობია აქვთ. ეს ჩემთვის იყო შესამჩნევი, ვინაიდან ნოემბრის რევოლუციის დროს ამგვარი სურათი თბილისში არ შემხვედრია. ასევე, განსხვავებულად გამოიყურება წარწერები სახლებზე: "ასლან წადი". ყოველი მათგანი გადასწორებულია და თითოეული ასო სხვა ასოდაა გადაკეთებული. წარწერას, რომელიც სახლზე კეთდებოდა, მისი ბინადარი შლიდა, ვინაიდან ტერორის ქვეშ მოქცევის ეშინოდა.

სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, ასეა თუ ისე, ბათუმი **მის** გარეშე რთულად, მაგრამ მაინც გავაცნობიერე და დავიჯერე, მომავალში, იმედი მაქვს, ყველა აჭარელი გათავისუფლდება თავისუფლების ფობიისგან და აღარ ექნება მოძალადე მბრძანებლის მოთხოვნილება.

დაბოლოს. ერთი პოზიტიური დეტალი ბათუმში. რამდენად საკვირველიც უნდა იყოს, ბათუმი საკურორტო ცხოვრებით წელიწადში მხოლოდ ორ თვეს ცხოვრობს - ივლისში და აგვისტოში. დანარჩენ თვეებში კი, სიტყვაზე მაისში, ივნისში თუ სექტემბერში, ყველაფერი ცარიელდება. წლის ამ პერიოდში, მაგალითად, შეუძლებელია (ვინაიდან დასასვენებლად ხარ მაინც ჩასული) საღამოს წყნარად მოისვენო, გემრიელი საჭმელი მიირთვა, არავინ მოგიჯდეს მაგიდასთან და სუფრების გაერთიანება არ გთხოვოს. ასეთი ადგილი წლის ამ პერიოდში არასდროს იყო. ნელა, მაგრამ პატარა დოზით, ესეც ხდება. ბუნებრივია, თბილისის საჭმელ-სასმელი ობიექტების სიმრავლე სასურველი, მგონი, არსად არის, მაგრამ ზღვისპირა ქალაქში ნამდვილად უნდა იყოს. შარშან გაიხსნა ფრანგული ტიპის კაფე "Привет из Батума", რომელსაც ასეთი ისტორია აქვს: ამ ადგილას ცნობილი ბათუმელი ფოტოგრაფი მუშაობდა, რომელიც ჩამოსულ სტუმრებს ფოტოებს უღებდა და შემდეგ ამ წარწერით საკუთარ ქვეყანაში უგზავნიდა. შემიძლია, ვთქვა, რომ ბათუმში ეს ერთადერთი კაფეა, სადაც დღის ნებისმიერ მონაკვეთში შესაძლებელია წყნარად და უსაფრთხოდ დაჯდომა და საუბარი. ამ კაფეს მეპატრონეებმა ბათუმში ჩემი იქ ყოფნის დროს მეორე, ასე ვთქვათ, პუნქტი გახსნეს - ამ შემთხვევაში რესტორანი "პორტო ფრანკო". ეს მეორე ადგილია, სადაც თუ მოგშივდებათ, ისადილებთ და წყნარ გარემოში დაჯდებით. რატომ არ იხსნებოდა აქამდე ასეთი ადგილები, არ ვიცი. როგორც ეტყობა, ასლან აბაშიძე ჭამა-სმის და ქეიფის ქართულ თუ ევროპულ ტრადიციას არ ცნობდა. თავად ისედაც გემრიელად ჭამდა და ხალხი რას იზამდა, ამას რა მნიშვნელობა აქვს. ერთი სიტყვით, კიდევ ერთი იმედი გაჩნდა, რომ ბათუმიც გახდება ის საკურორტო ქალაქი, რომელიც მინიმალურ მოთხოვნებს მაინც დააკმაყოფილებს და იქ, არა მხოლოდ ჩვენ, არამედ სხვა ქვეყნებიდანაც ჩავლენ დამსვენებლები; ეს კი აჭარის მოსახლეობას ოდნავ მაინც შეუმსუბუქებს ამ ეტაპზე რთულ ყოფას.

# მოხუცი პეტერის ქალაქიდან

ანა კორძაია-სამადაშვილი
საქ.კორ. მიუნხენიდან

*მოხუცი პეტერი ამ ქალაქის უძველესი ეკლესიაა, 91 მეტრის სიმაღლის სამრეკლო. თურმე, 1379 წლიდან შენდებოდა და ასბოლოოო სახე 1654-ში მიუციათ. ზედ ასვლა ბევრი ვერაფერი სიხარულია, კიბეც ციცაბოა და უამრავი ხალხიც ირევა, მაგრამ მაინც ღირს, რადგან მოხუცი პეტერიდან ალპები მოჩანს და ხელისგულზე იშლება გერმანიის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი, მიუნხენი.*

რატუშის წინ, მოედანზე ვზივარ და მრავალ ჩემნაირ დოყლაპიასთან ერთად ველი, როდის ჩამოჰკრავს დიდი საათი და გასაოცარი, თითქოს, მაქმანის შენობის ფასადზე ფიგურები როდის აცეკვდებიან. ცხადია, ყოველი კუთხიდან გამომძვრალი ქიმერები, დიადი, კუშტი მეომრები და წმინდანები არ ჩამოუვლიან დავლურს. მე იმათ შევცქერი, ფერადებს, მთავარი კოშკის ორ აივანზე რომ დგანან. ფერადები მხოლოდ ისინი არიან და აივნებზე გადმოფენილი ვარდისფერი ყვავილები. დანარჩენი სულ ქვაა, შავი და რუხი - ამას, თურმე, ფლანდრიული გოთიკა ჰქვია. სანამ ჩამოვჯდებოდი, ნახევარი საათი შენობას წრეს ვუვლიდი, კურფიურსტებს ვუღიმოდი და ქიმერებს ვეჯღანებოდი, მეტისმეტად საშინელები არიან. შიდა ეზოშიც ვიყავი, სადაც ბავარიელები და იაპონელი ტურისტები ერთმანეთს ლუდის კათხებს უჭახუნებდნენ: ბავარიელები კაცური, ლიტრიანი კათხებით სვამდნენ, სტუმრები კი - ნახევრებით. მაგარი რატუშა კი ჰქონია მიუნხენს.

ბალხის ნაკადმა იმატა. დასაჯდომი ადგილი აღარაა, ქვაფენილზეც კი. ხუთ წუთში 12 შესრულდება და ყველანი კოშკს ვართ მიჩერებული. ნეტა, ვინ დგას სულ ზემოთ? მოხუცი პეტერიდან, რაღაცნაირად, არ დავაკვირდი. დანარჩენებს მეტ-ნაკლებად ვცნობ, სტელაზე აღმართულ, ოქროსფრად მოელვარე ღვთისმშობელსაც და ცხადია, წმინდა გიორგისაც.

აჰა, დაიწყო. კოშკში რაღაცა აზუზუნდა, ქიმერებიდან მტრედები წამოიშალნენ. ქალების ეკლესიის ზარები უკვე ახმიანდა, იქ ათი ზარია, და ყოველ მათგანს სახელი ჰქვია: ქალთა ზარი სუსანა, რომელიც სამხრეთ გერმანიის ულამაზეს ზარად ითვლება; ბენო, გერმანიის მფარველის, მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ზარი, რომელიც ამბობს, რომ ღმერთმა თავის ანგელოზებს ჩვენი და ჩვენი გზების მფარველობა უბრძანა; შპეციოზა, განსაკუთრებით ლამაზი და ტკბილხმოვანი; კანტაბონა, სიკეთის მგალობელი, რომლის რეკვა ნიშნავს "ადიდებს სული ჩემი უფალსა"... ყველა ზარის ამბავი არ მახსოვს, გასაგიჟებელი მოსასმენი კია.

ჩვენი კოშკიც ახმიანდა. ძველი, ლამაზი მელოდიაა, ასეთ ხმაზე ბებიას ნაძვისხე მღეროდა ხოლმე - ნელა, ნელა... მარიამის ზარები სულ გაგიჟდნენ. სხვებიც აჰყვნენ. რამდენნი არიან!

კოშკზე მუსიკოსები დაიძრნენ. მოედანი აღტაცებული შეძახილებით ესალმება. მეფე-დედოფალი ამაყად დასცქერის ცხენოსნებს, ჯამბაზებს, მედროშეებს. ეს მეფე-დედოფალი ვილჰელმ მეხუთე და რენატა ლოთრინგენი ყოფილან.



ზღვის სანაპირო

ერთი რაინდი, ოქროსმუზარადიანი, ლურჯსა და თეთრში გამოწყობილმა დაამარცხა. გამარჯვებული, ცხადია, ბავარიელია, მაგრამ მოედანმა მაინც დაიგმინა - საბრალო, რა მამაცი იყო! რა მოხდენილად იჯდა თავის რაშზე!

მელოდია შეიცვალა და ქვედა აივანზე მამაკაცები აცეკვდნენ. მუხლებამდე შარვლები აცვიათ, წითელი კურტაკები, ულვაშებიც აქვთ. უკან ვიღაცა დირიჟორობს, სანახაობას უძღვება.

ეს ბიჭები ყოფილან, რაც ყოფილან: 1517 წელს, შავი ჭირის ეპიდემია რომ დამთავრდა, თურმე, სწორედ ასე დარბოდნენ ქუჩა-ქუჩა და მოქალაქეებს ამხნევებდნენ, გამოდით, ჭირი აღარ წაგვიღებს, ნუ გეშინიათო.

ათი წუთი გავიდა, ზარები კი რეკენ და რეკენ. ველარც ვხვდები, რომელი რომელია. კოშკი კი ჩუმდება, მტრედები ქიმერებს უბრუნდებიან. რა კარგი იყო!

■ ■ ■

აბა, შეიძლება, ამის მერე წმინდა მარიამის საკათედრო ტაძარს ისე ჩაუარო, რომ მის ეზოში არ ჩამოჯდე და ერთი "აუგუსტინერი" არ დალიო? ბერებს კარგად ესმოდათ ლუდის ყადრი, დიდებული რამაა "აუგუსტინერი". ჩემს კათხაზე წმინდა აუგუსტინეა გამოსახული და J და W წერია: იოზეფ ვაგნერი - სწორედ მან დაიწყო 1328 წელს ამ ლუდის ხარშვა.

ჩემი მაგიდიდან საკათედრო ტაძრის კედელი მოჩანს, ორი კოშკი და მზის საათი. კედელზე პატიოსან მიუნხენელთა საფლავის ქვებია და წარწერა: "ყურადღება! ავდარსა და თოვლში ტაძრის მიმდებარე ტერიტორია საშიში ზონაა!" ნეტა, რატომ? დავიჯერო, აგურები ცვივა?

ფეხბურთი

# "სიონი" UEFA-ს თასიდან გამოვარდა

მიხეილ აბაიშვილი

საკუთარი "გულშემატკივრების" გამო, რომლებმაც "ოქროს მატჩის" დროს ეროვნული სტადიონი ოქტაგონად აქციეს და მინდორზე გულიანად იჯირითეს, "სიონი" უპრეცედენტოდ დაისჯება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გუშინ მკაცრი სასჯელი გამოუტანა ეროვნული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს - წლეულს "სიონი" მონაწილეობას აღარ მიიღებს უეფას თასის გათამაშებაში. ამის თაობაზე გუშინ ოფიციალურად განაცხადა ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ.

"დღევანდელი პრესკონფერენცია კარგა ხნის წინ იყო დაგეგმილი. მასზე წლის შედეგების შეჯამებას, ეროვნული ჩემპიონატის, მონაწილე გუნდების შეფასებას, მათზე მსჯელობას ვაპირებდით. სამწუხაროდ, გუშინ "ოქროს მატჩის" დროს განვითარებულმა მოვლენებმა პრესკონფერენციის თემა შეცვალა და დღეს სულ სხვა, ქართული ფეხბურთის ჩრდილოვან მხარეებზე და მათ აღმოსაფხვრელ ღონისძიებებზე გვიწევს საუბარი.

ძალიან მინდოდა, რომ სეზონის ბოლოს ბოლნისის "სიონსა" და მის გულშემატკივრებზე საქებარი სიტყვები მეთქვა. ამ გუნდმა, მართლაც, გარკვეული წვლილი შეიტანა ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლებაში და მისმა გულშემატკივარმაც თამაშებს სულ სხვა ხიბლი შესძინა. გუშინდელი მოვლენები რომ არა, ბოლნისის "სიონი" და მისი გულშემატკივარი სეზონის გმირებადაც შეიძლებოდა მიგვეჩნია, მაგრამ სტადიონზე დატრიალებულმა ამბებმა ყველა დამსახურებას ხაზი გადაუსვა და გმირები ანტიგმირებად აქცია, რის გამოც ფეხბურთის ფედერაცია უპრეცედენტო გადაწყვეტილებამდე მივიდა - წლეულს "სიონი" უეფას თასზე არ ითამაშებს", - განაცხადა ჟორდანიამ.

"იმისთვის, რომ ან დაუმსახურებლად არ დავსაჯოთ ფეხბურთელი, ან ვინმე არ გამოგვრჩეს, შევქმენით კომისია, რომელიც დეტალურად შეისწავლის მომხდარ ამბებს და მასში მონაწილე ყველა დამნაშავეს გამოავლენს. ფეხბურთელების მიმართ საჯარიმო სანქციების ზომაც მერე დადგინდება. ამ თვალსაზრისით, არც "ვიტ ჯორჯია" იქნება გამონაკლისი. დღესვე შემიძლია დაგისახელოთ ორი ვიტელი ფეხბურთელის გვარი, რომლებიც უმკაცრესად დაისჯებიან. ესენი არიან გოცირიძე და ადამია", - ვერც ჩემპიონი გუნდი გადაურჩა სანქციებს.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

საკუთარი გულშემატკივრის სიფიცხე "სიონს" ძვირად დაუჯდა

რაც შეეხება უეფას თასზე გამოთავისუფლებულ ადგილს, ფედერაცია ცდილობს, საგზური არ დაიკარგოს, თუმცა, არც ამას მოერიდება.

"ჩვენი გადაწყვეტილების თაობაზე უკვე ვაცნობეთ უეფას შესაბამის კომიტეტს. იმის გამო, რომ დღეს იქ უქმეა, პასუხს ხვალისთვის ველოდებით. თუმცა, დარწმუნებული ვარ, უეფა დაამოწმებს ჩვენს გადაწყვეტილებას. ვეცდებით, უეფას თასის ადგილი არ დავკარგოთ და გამოთავისუფლებული საგზური რიგითობის პრინციპით "თბილისმა" მიიღოს, თუმცა, ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად მოესწრება დოკუმენტაციის შეგროვება და გაგზავნა. ეს რომ ვერ მოესწროს, გადაწყვეტილებას მაინც არ შევცვლით, რადგან ერთხელ და სამუდამოდ ყველამ უნდა დაინახოს, რომ სფფ და პროფესიული ფეხბურთის ლიგა არ დაუშვებს არანაირ თავაშვებულობას", - აღნიშნა პრეზიდენტმა.

სამართლიანია თუ არა სფფ-ს გადაწყვეტილება? შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ ქართული ფეხბურთის შეფები ზედმეტად მკაცრნი არიან და "სიონი" ასეთ სასჯელს არ იმსახურებდა. მეორე მხრივ, გუშინწინ ტრაგედიამდე ერთი ნაბიჯი იყო და მხოლოდ ბედნიერ შემთხვევას უნდა ვუმადლოდეთ, რომ უმსხვერპლოდ გადავრჩით. შეგახსენებთ, რომ უეფამ თვით ფეხბურთის მამამთავრები - ინგლისელები არ დაინდო და "ლივერპულის" გულშემატკივრების მიერ ბელგიაში მოწყობილი "ეიზელის ტრაგედიის" გამო ბრიტანული კლუბები 8 წლით მოკვეთა ევროტურნირებიდან. ამის გათვალისწინებით, სფფ-ს გუშინდელი გადაწყვეტილება ერთგვარად ლმობიერიც კია.

# ეს ერთი და სხვა მრავალი

იტალიის ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში ტუნისი დაამარცხა - 4:0. ეს ტრაპატონის გუნდისთვის ბოლო რეპეტიცია იყო ევროპის ჩემპიონატის წინ. ნაკრების იმ სამი ფეხბურთელიდან, რომლებმაც ტუნისს გოლები გაუტანეს (მეოთხე გოლი ტუნისელებმა თვითონ შეაგდეს საკუთარ კარში), ადრე არც ერთს თავი არ გამოუჩენია. არადა, კანავარომ, პირლომ და ძამბროტამ ერთად იტალიის ნაკრებში 120-ზე მეტი მატჩი ჩაატარეს.

ლაჟვარდოვან გუნდში რაღაც სიახლეებია.

სიახლეები არქიმედეს აქსიომებივით ნათელი და ჩვეულებრივია და რომის იმპერიის დაცემის მსგავსად უსიამოვნო. ტრადიციულად, იტალიელები მეტისმეტად მძიმედ ატარებენ დიდი ტურნირებისწინა მოსამზადებელ პერიოდს და უშუალოდ შეჯიბრებებზე ჯგუფური ტურნირის პირველ მატჩებს. ეს ტრადიცია უხსოვარი დროიდან მომდინარეობს. იმდენად უხსოვარი დროიდან, რომ ბევრი ამას ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამს. თუმცა, ამჯერად ევრო 2004-ის წინ იტალია იმედით აღსავსეა. ბებერმა "ტრაპიმ" აშკარად მოიგონა რაღაც საინტერესო.

ბოლო ამხანაგური მატჩი "სკუადრა აძურამ" დიდი ანგარიშით - 4:0 მოიგო, თანაც, აფრიკის ჩემპიონი ტუნისი დაამარცხა. შეხვედრის მე-15 წუთზე რიად ბუაზიზის მიერ საკუთარ კარში გატანილმა გოლმა ტუნისელთა დამარცხებას დაუდო საფუძველი, ხოლო კანავარომ, პირლომ და ძამბროტამ, ფეხბურთელებმა, რომლებსაც მანამდე არასოდეს გამოუჩენიათ თავი, ეს დამარცხება განადგურებად აქციეს.

ტუნისის 7 ნოემბრის სახელობის სტადიონზე მატჩი დაიწყო წუთიერი დუმილით, რომელიც ხუთშაბათს გარდაცვლილ უმბერტო ანიელის - კონცერნ "ფიატის" პრეზიდენტისა და ტურინის "იუვენტუსის" საპატიო პრეზიდენტის ხსოვნას მიეძღვნა. ამავე მიზეზით იტალიელები მინდორზე შავი სამკლაურებით გამოვიდნენ.

"სკუადრა აძურას" განლაგება დაახლოებით ისეთივე იყო, რომლითაც გუნდი ევრო 2004-ს დაიწყებს. კარში - ჯანლუიჯი ბუფონი. ტრაპატონიმ არც კი შეამოწმა ანჯელო პერუცის მზადყოფნა, რაც ირიბად მიანიშნებს, რომ პორტუგალიის მინდვრებზე "ლაციოს" მეკარე, ალბათ, არც ჩადგება კარში.

დაცვის ცენტრში გუნდის კაპიტანმა ფაბიო კანავარომ ალესანდრო ნესტასთან წყვილში დაიწყო თამაში, ხოლო მეორე ნახევარში მარკო მატერაცი და მატეო ფერარი გამოჩნდნენ. მარჯვნივ ოდოს შემართებას ტრაპატონიმ პანუჩის გამოცდილება ამჯობინა. თუმცა, შესვენების შემდეგ ოდო მინდორზე მაინც გამოვიდა. მარცხნივ უპირატესობა მიენიჭა ნომინალურ ჰავბეკს, რომელიც ადრეც თამაშობდა. ჯანლუკა ძამბროტამ მატჩი სრულად ჩაატარა.

ორი საყრდენი ნახევარმცველის ადგილზე პირველ ტაიმში ოდნავ მარჯვნივ სიმონე პეროტამ ითამაშა, ხოლო ოდნავ მარცხნივ - კრისტიანო ძანეტიმ. შესვენების შემდეგ ისინი "მილანის" დუეტმა (გატუზო-პირლო) შეცვალა.

შემტევი ტიპის ნახევარმცველთა ტრიუმვირატი მარცხნივ ალესანდრო დელ პიერომ, მარჯვნივ მაურო კამორანეზიმ, ხოლო ცენტრში ფრანჩესკო ტოტიმ შეადგინეს. ტრაპატონის ტაქტიკურ წყობას კი წინ წაწეული ფორვარდი კრისტიან ვიერი აგვირგვინებდა.



ტრაპატონიმ რაღაც საინტერესო მოიფიქრა

ერთი სიტყვით, როგორც მოსალოდნელი იყო, "ტრაპიმ" ითამაშა 4-2-3-1 სისტემით, რაც, პრინციპში, პიროზითია. ფაქტობრივად, იტალიის ნაკრებმა ოთხი ფორვარდით ითამაშა და, რაც დამახასიათებელია, ვერც ერთმა მათგანმა გოლი ვერ გაიტანა. თუმცა, სწორედ ტოტი-ვიერის დუეტმა ითამაშა იმ მომენტში, როცა მასპინძელთა მცველი იძულებული გახდა, საკუთარ კარში ჩაექრა ბურთი. ტოტიმ ათრია ბურთი, მეურვე ჩამოიცილა და საჯარიმო მოედანში ვიერის მიმართულებით დაარტყა, ბუაზიზი კი შეეცადა, ჩაექრა ბურთი და თავური დარტყმით საკუთარ კარში გაგზავნა. ერთი წუთის შემდეგ ტოტიმ ტრიუკი გამოიყენა, მაგრამ ვიერიმ ბურთი სადღაც ღრუბლებში გაუშვა. 20 წუთის შემდეგ ტუნისური დაცვის მორიგმა შეცდომამ ფაბიო კანავაროს საშუალება მისცა, გამხდარიყო პირველი საღამოს ახალგამომცხვარი, მოულოდნელი ბომბარდირებიდან, რომლებმაც თავი გამოიჩინეს. არადა, კანავარომ აქამდე "სკუადრა აძურას" შემადგენლობაში 77 მატჩი ჩაატარა და ერთი გოლიც არ გაუტანია. აქ კი შეტევაში ჩაერთო და ტოტის მიერ ჩამოწოდებული კუთხურიდან ორამდე გაზარდა იტალიელთა უპირატესობა.

შესვენებაზე ტრაპატონიმ ექვსი ფეხბურთელი შეცვალა, მაგრამ ამით იტალიის ნაკრებს არაფერი დაჰკლებია. "სკუადრა აძურა", როგორც დომინირებდა მოედანზე, ისევე გააგრძელა. ყველა ხსენებული ცვლილების გარდა, ვიერის, მეტი დამაჯერებლობისთვის, ანტონიო კასანოც დაემატა. ცოტა ხნის შემდეგ კი თვითონ ვიერი ბერნარდო კორადიმ შეცვალა. ალესანდრო დელ პიეროს ნაცვლად ჯუზეპე ფავალი გამოვიდა. ფავალიმ დაცვის მარცხენა ფრთაზე დაიკავა ადგილი, ხოლო ძამბროტამ მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე გადაინაცვლა.

მატჩის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე მესამე გოლი გავიდა. ანდრეა პირლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ტყუილად არ ჰქვია თანამედროვე რობერტო ბაჯოს სახელი. მან დაახლოებით 20 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით გაიტანა გოლი.

იტალიელები მიღწეულით არც ამჯერად დაკმაყოფილდნენ. დაცვითი ფუნქციებიდან გათავისუფლებულმა ძამბროტამ შეტევაში შესანიშნავად ითამაშა. კორადიმ იბრძოლა საჰაერო ბურთისთვის და თავით დაუგდო ძამბროტას, რომელმაც გაიტანა კიდეც თავისი პირველი გოლი ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში.

"არ შეიძლება, თამაშზე შედეგის მიხედვით იმსჯელო - ასეთი რეზიუმე გაუკეთა მატჩს ჯოვანი ტრაპატონიმ, - შედეგის გათვალისწინებით ჩვენ იოლად გავიმარჯვეთ, თუმცა, პირველ ტაიმში ძალიან გაგვიჭირდა. ბიჭებმა დავალება შეასრულეს და თავისი თამაშით ძალიან გამახარეს. პირველ რიგში ვაჩვენეთ, რომ მორალურად მზად ვართ".

იტალიელთა მორალური მზადყოფნა კი, აშკარაა, რომ რაღაც ახალია.

# სკოლარი რისკის მომხრეა

ევროპის ჩემპიონატის მასპინძელმა პორტუგალიის ნაკრებმა ტურნირის წინ მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა და დიდი ანგარიშით - 3:0 დაამარცხა ლუქსემბურგის ნაკრები.

პორტუგალიის ნაკრებმა ლუქსემბურგთან გამარჯვება პირველივე ტაიმში გაინაღდა, როცა მეტოქეს სამი უპასუხო გოლი გაუტანა. ამით გუნდის ბრაზილიელ მწვრთნელს ლუიშ ფელიპე სკოლარის ექსპერიმენტებისთვის მთელი ტაიმი დაუტოვა. თუმცა, ეს არ იყო ბოლო შანსი ბრაზილიელი მწვრთნელისთვის. ჩემპიონატის დაწყებამდე მას კიდევ ექნება ექსპერიმენტის ჩატარების საშუალება. შაბათს პორტუგალიის ნაკრები სეტუბალში ლიტვას შეხვდება.

პორტუგალიელთა სასტარტო შემადგენლობაში, ისევე როგორც შვედებთან შეხვედრისას (28 აპრილს), არ იყვნენ "პორტუს" ფეხბურთელები. ოთხშაბათს "პორტუმ" ჩემპიონთა ლიგა მოიგო. პორტუგალიელებმა ფინალში "მონაკო" - 3:0 დაამარცხეს და სკოლარიმაც გადაწყვიტა, ისინი ცოტა ხნით დაესვენებინა. რიკარდუ კარვალიო, კოშტინია, მანიშე, დეკუ და პაულუ ფერეირა მინდორზე მეორე ტაიმში გამოჩნდნენ, როცა მწვრთნელმა ექსპერიმენტები წამოიწყო. ამ ფეხბურთელთა გარდა, მინდორზე გამოვიდნენ კრისტიანუ რონალდუ, რომელმაც ფიგუ შეცვალა, ელდერ პოშტიგა ნუნუ გომეშის ნაცვლად და ბეტუ სევერუ.

ანგარიში ლუიშ ფიგუმ გახსნა. მე-14 წუთზე მან ზუსტად დაარტყა საჯარიმო. 14 წუთის შემდეგ რუი კოშტას გადაცემა ნუნუ გომეშმა გა-



სკოლარი თავისი ფეხბურთელებისაგან მეტ რისკს მოითხოვს

მოიყენა, ხოლო შემდეგ შორიდან ზუსტი დარტყმით რუი კოშტამაც გამოიჩინა თავი. ევროპის ჩემპიონატის მასპინძლებს მეორე ტაიმშიც ჰქონდათ საგოლე მომენტები. მარტო დეკუ ორჯერ გავიდა მეკარესთან დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოახერხა.

"მინდა, ჩემმა გუნდმა ხშირად გარისკოს და დაარტყას კარში, - მატჩის შემდეგ განაცხადა სკოლარიმ, - დღეს საუკეთესო საშუალება გვქონდა, სწორედ ამ მანერით გვეთამაშა".

თამაშით კმაყოფილი დარჩა ლუქსემბურგის ნაკრების მწვრთნელი ალან სიმონსენიც: "ვფიქრობ, ძალიან კარგად ვითამაშეთ მეორე ტაიმი. გვქონდა გოლის გატანის სამი-ოთხი შანსი. გვინდოდა, კარგი თამაში გვეჩვენებინა და ეს გამოგვივიდა კიდეც".

ფეხბურთი

# ზამერი შტუტგარტში



ზამერმა სამუშაო ადგილი შეიცვალა

დორტმუნდის "ბორუსიას" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, დაემშვიდობოს გუნდის მთავარ მწვრთნელს მათიას ზამერს. 36 წლის სპეციალისტმა დორტმუნდში 4-წლიანი მუშაობის შედეგად, 2002 წელს გერმანიის ჩემპიონის ტიტული მოიგო, ხოლო ხუთი წლით ადრე, კლუბის ფეხბურთელის რანგში, ჩემპიონთა ლიგის თასს დაეუფლა. კონტრაქტის მიხედვით ზამერს გუნდში კიდევ ორ წელიწადს უნდა ემუშავა. თუმცა, კლუბის ინიციატივით, შეთანხმება ვადამდე შეწყდა.

დორტმუნდის "ბორუსია" დიდი ხნის განმავლობაში ბუნდესლიგის ერთ-ერთ ყველაზე ვარსკვლავურ კლუბად ითვლებოდა. თუმცა, ფინანსური კრიზისი, რომელმაც გუნდი მოიცვა, უარყოფითად აისახა თვითონ ზამერის მუშაობაზეც და საბოლოო ჯამში გუნდმა წლევანდელ ჩემპიონატში მეექვსე ადგილი დაიკავა. ეს იმას ნიშნავს, რომ კლუბმა დაკარგა ევროტურნირებში მონაწილეობის შანსი და უეფას თასის საგზური "ბოხუმს" დაუთმო. შედეგად, კლუბის პრეზიდენტმა გერდ ნიბაუმმა მიიღო გადაწყვეტილება, გაეყიდა თავისი ვარსკვლავები, რათა გაესტუმრებინა გუნდში დაგროვილი აუარებელი ვალი და ურთიერთობა გაეწყვიტა მათიას ზამერთან. "ჩვენ ზამერთან დიდხანს ვისაუბრეთ და ბოლოს მასთან განშორება გადავწყვიტეთ. ვფიქრობთ, მწვრთნელის შეცვლა პირველ რიგში დადებითად აისახება გუნდში შექმნილ ატმოსფეროზე და კლუბს საშუალება ექნება, თავისუფლად მოემზადოს მომავალი სეზონისთვის", - განაცხადა ნიბაუმმა.

"ბორუსიას" მწვრთნელის ვაკანტურ ადგილზე უმთავრეს ფავორიტად გერმანული პრესა ასახელებს ჰოლანდიელ ბერტ ვან მარვეიკს, რომელიც ადრე როტერდამის "ფეიენოორდს" ედგა სათავეში.

მათიას ზამერი აღმოსავლეთგერმანული ფეხბურთის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია. 32 წლის ასაკში, ქრონიკული ტრავმიანობის გამო, საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, ზამერმა კლუბისგან წინადადება მიიღო, მთავარი მწვრთნელის პოსტი დაეკავებინა, რადგან 1997 წელს ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ ზამერი დორტმუნდში ნომერ პირველი პერსონა გახდა. ისეთი სპეციალისტები, როგორებიც ნევიო სკალა და მიხაელ სკიბეა, უძლურნი აღმოჩნდნენ "ბორუსიას" ვარსკვლავური" კლუბის მმართველობის საქმეში. ამ დროს გამოჩნდა მათიას ზამერი. 1996 წელს ევროპის ჩემპიონატზე ფრანც ბეკენბაუერის სტილში მოთამაშე ზამერი ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა და მყისვე გაითქვა სახელი, როგორც მსოფლიო მასშტაბის ფეხბურთელმა.

ზამერმა დრეზდენის "დინამოში" ნახევარმცველის ამპლუაში დაიწყო საფეხბურთო კარიერა და ჯერ კიდევ ბერლინის კედლის დანგრევამდე, გდრ-ის ნაკრებში 21 მატჩის გამართვაც მოასწრო. თუმცა, 1992 წლის ევროპის ჩემპიონატზე, ზამერმა უკვე გერმანიის ნაკრების შემდეგენლობაში ითამაშა და იმედგაცრუებული დარჩა, როცა ფინალში გერმანელებმა დანიასთან - 0:2 წააგეს, ხოლო ზამერი პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს.

ამის მიუხედავად, ზამერის საფეხბურთო კარიერა შეიძლება წარმატებულად მივიჩნიოთ. თუმცა, მისი სამწვრთნელო საქმიანობის შეფასება ჯერჯერობით არ შეიძლება. ფაქტი კი ის არის, რომ ზამერი, ალბათ, დიდხანს არ დარჩება უმუშევარი. როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში ზამერი "შტუტგარტს" ჩაუდგება სათავეში და ამ პოსტზე შეცვლის ფელიქს მაგათს, რომელიც მიუნხენის "ბაიერნში" გადაბარგდა. თვითონ ზამერი ფიქრობს, რომ თუ ყველაფერი ამ სცენარით განვითარდა, მაშინ არ ღირს იმაზე სინანული, რომ დორტმუნდის "ბორუსია" დატოვა. იმ გუნდის ნაცვლად, რომელმაც შეიძლება ყველა ლიდერი დაკარგოს და ფსკერზე აღმოჩნდეს, ზამერს ერგო გუნდი, რომელშიც შეიძლება ახალგაზრდა ფეხბურთელებთან ნაყოფიერი მუშაობა. მაგათი უაღრესად ნიჭიერ ფეხბურთელებს ტოვებს მემკვიდრეობად. გუნდმა წლევანდელ ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა და უეფას თასზე თამაშის უფლება მოიპოვა. ამასთან, დღეს ბუნდესლიგაში "შტუტგარტზე" უფრო პერსპექტიული გუნდი არ არსებობს.

# კამაჩო: "რეალს" გაძლიერება სჭირდება

## მადრიდელთა ახალი მწვრთნელი მომავალი წარმატებებისთვის ემზადება

*ხოსე ანტონიო კამაჩო მადრიდის "რეალის" მთავარი მწვრთნელის ამპლუაში თავისი პირველი ოფიციალური მატჩისთვის ემზადება. ახლა მას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს - წარმატებით ჩაატაროს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩები, რომელსაც "რეალი" აგვისტოში გამართავს. მადრიდელები ხომ მეოთხე ადგილზე გავიდნენ ესპანეთის ჩემპიონატში და, აქედან გამომდინარე, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა საკვალიფიკაციო მატჩებში მოუწევთ. უკვე ერთი კვირაა, რაც კამაჩო "რეალის" მწვრთნელად დაინიშნა, თუმცა, მან უკვე მოასწრო სეზონისწინა მზადების დაგეგმვა. ახლა ის თავისი გუნდის მატჩების ვიდეოფირებს ადევნებს თვალს და მომავალი წარმატებებისთვის ემზადება.*

**- "რეალის" სათავეში თქვენი მოსვლის შემდეგ ერთი კვირა გავიდა. როგორი მდგომარეობა დაგხვდათ გუნდში?**

- პრეზიდენტს მიზნად აქვს დასახული, რომ მადრიდელ გულშემატკივარს ღიმილი დაუბრუნოს. ჩემი გუნდი კი ყველაფერში ძალიან მეხმარება. ხორხე (ვალდანო), ემილიო (ბუტრაგენიო)... ჩემთვის აქ ყველა კარი ღიაა.

**- მაგრამ ყველა იმ სახელს შორის, რომელთაც თქვენ ახსენებთ, არ არის ერთი, თქვენთვის მეტად განსაკუთრებული. ვისენტე დელ ბოსკე.**

- და რა უნდა ვქნა? მოვიწვიო კლუბში მხოლოდ იმიტომ, რომ ის ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარია? არა, ღმერთმანი! მე ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირი ვარ გუნდში, მაგრამ ხალხმა უნდა გაიგოს, რომ კლუბში სხვა ადამიანების მოწვევის უფლება არ მაქვს. ჩემი სამსახური საფეხბურთო მოედნით შემოიფარგლება. დელ ბოსკე ჩემი მეგობარია და, ეჭვი არ მეპარება, ახალგაზრდა თაობის ფეხბურთელებთან სამუშაოდ იდეალური კანდიდატურა იქნებოდა. კარგი იქნება, თუ ის "რეალში" მოვა, მაგრამ ამ საკითხებს პრეზიდენტი წყვეტს, რომელმაც უკვე საჯაროდ განაცხადა, რომ კლუბში ვისენტეს დაბრუნება სურს.

**- როგორი ურთიერთობა გაქვთ ფლორენტინო პერესთან?**

- ძალიან ახლო და პირდაპირი. უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში ჩვენ ხშირად ვხვდებით ერთმანეთს. მას კარგად ესმის ჩვენი მოთხოვნების. პრეზიდენტი გვერდში გვიდგას და მეც ვერაფერზე დავიჩივლებ.

**- პრეზიდენტს კიდევ ერთი ცენტრალური მცველის შეძენა სთხოვეთ?**

- თქვენ მხოლოდ ტრანსფერებზე ფიქრობთ! სიმართლეს გეტყვით. ბოლო დღეებში იმდენი საქმე გვქონდა კლუბის ინფრასტრუქტურის შესწავლასთან, ახალი სამწვრთნელო შტაბის შექმნასთან და მომავალი სეზონისთვის მზადებასთან დაკავშირებით, რომ ახალი შენაძენების საკითხი უკანა პლანზე გადავიდა. ჩვენ უკვე შევიძინეთ ვალტერ სამუელი. რასაკვირველია, კიდევ ერთი ცენტრალური მცველი ხელს არ შეგვიშლიდა. ჩვენ ნამდვილად უნდა გავაძლიეროთ გუნდი, მაგრამ ახლა ამ საკითხზე არ ვმუშაობთ.

**- გასულ სეზონში "რეალმა" 54 ბურთი მიიღო საკუთარ კარში. ბევრია?**

- დიახ, ძალიან ბევრია და ეს არ არის ჩვეულებრივი მოვლენა "რეალისთვის". ახლა ყველაფერი კარგად უნდა გავაანალიზოთ, რათა გავიგოთ, რატომ მოხდა ასე. გაშვებულ გოლებში მცველების დადანაშაულება ყველაზე ადვილია, მაგრამ ეს არ იქნება სწორი. ფეხბურთი კოლექტიური თამაშია.

**- ვალდანო გუნდიდან მიდის, მის ადგილს კი ბუტრაგენიო დაიკავებს, თქვენი მეგობარი.**

- ემილიო მრავალი წლის განმავლობაში იყო ჩემი მეგობარი და წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ მასთან ცუდი ურთიერთობა მქონდეს. უკანასკნელ ხანს ჩვენ დიდ დროს ვატარებთ ერთად, ისევე როგორც ხორხესთან ერთად. ერთად ვგეგმავთ სამომავლო სამუშაოს. მათ გვერდით თავს კომფორტულად ვგრძნობ. ემილიოსთვის არასოდეს მჭირდება რაიმეს გამეორება, რადგან მან ძალიან კარგად იცის, რა არის ფეხბურთი.

**- ამბობენ, რომ გუნდში გარკვეული ხარვეზები აღმოაჩინეთ...**

- საქმე ის არის, რომ მე მუშაობის საკუთარი მეთოდები მაქვს. მიყვარს, როდესაც თითოეული ფეხბურთელის შესახებ ყველაფერი ვიცი. მიჩვეული ვარ იმას, რომ მოთამაშეებთან მინდორზეც ვმუშაობ და მის გარეთაც. "ლას როსასში" შესანიშნავი პირობებია, ხოლო თუ იქ რაიმე ნაკლი არსებობს, ჩვენ მათ აღმოფხვრაზე უკვე ვმუშაობთ.

**- რა ხანგრძლივობის შვებულებას მისცემთ რაულს, სალგადოს, ელგერას, ბრავოს და კასილიასს, თუ ესპანეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალში გააღწევს?**

- იმდენივეს, რამდენსაც ზიდანს, ფიგუს ან ბექჰემს. ყველამ კარგად იცის, რომ 16 ივლისს მონტეკასტილიოში ვმართავთ შეკრებას. მინდა, რომ იქ მთელი ჩემი გუნდი ვიხილო, გამონაკლისების გარეშე.

**- ფინალი 4 ივლისსაა დანიშნული. თუ ესპანეთი, მართლაც, გააღწევს იქ, მაშინ ამ ფეხბურთელებს მხოლოდ 11 დღე ექნებათ დასასვენებლად.**

- ეს მადრიდის "რეალია" და ის ჩემპიონთა ლიგაში თამაშისთვის იბრძოლებს. მე არ ვარ დამნაშავე იმაში, რომ ჩემპიონთა ლიგაში გასვლის საკითხი გადაწყდება წინასწარ საკვალიფიკაციო მატჩებში, რომლებიც აგვისტოში გაიმართება. შესაძლოა, ძლიერი მეტოქე შეგვხვდეს და უვარჯიშებელი ფეხბურთელებით თამაში სარისკო იქნება. ჩემპიონთა ლიგა მადრიდის "რეალის" ცხოვრებაა და ამ ტურნირში თამაშისთვის ყველამ უნდა გავიღოთ გარკვეული მსხვერპლი. ხანგრძლივი არდადეგები არც მე მექნება. ფეხბურთელები პროფესიონალები არიან და, დარწმუნებული ვარ, გაგვიგებენ.

**- თქვენ დააბრუნებთ ძველ რაულს?**

- რაული ჩვენი წარმატების გარანტია. ის ჩვენი კაპიტანია...



კამაჩო მომავალი წარმატებებისათვის ემზადება

სამბო

# დაგვიანებული მედლები ევროპიდან

"კარგ შედეგებს ვაღწევთ, მაგრამ ყოველთვის დავიდარაბა კი გვიწევს ჩემპიონატებზე გამგზავრების წინ. არადა, რას ვაკეთებთ ცუდს? არც ერთი ასპარეზობიდან უმედლოდ არ ვბრუნდებით. ისეთი შედეგები გვაქვს, ბევრი სახეობა ვერც შეგვედრება. იმის გამო, რომ სამბო ოლიმპიური სახეობა არ არის, ალმაცერად ნუ გვიყურებთ. ჩვენც ისეთივე სპორტული ოჯახის წევრები ვართ, როგორც სხვები", - ემოციური და გულნატკენი იყო საქართველოს სამბისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი და ფედერაციის პრეზიდენტი ოლეგ იაძე, რომელმაც გუშინ საქართველოს სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენციაზე მიგვიწვია. მართალია, პრესკონფერენცია ცოტა დაგვიანებული გამოდგა, მაგრამ ამას თავისი მიზეზები ჰქონდა.

ერთი კვირის წინათ საქართველოს სამბისტთა ნაკრებმა ლიტვაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე სამ ასაკობრივ ჯგუფში იასპარეზა და 17 მედალი მოიპოვა. ამ მხრივ საუკეთესონი აღმოჩნდნენ ჭაბუკები, რომლებმაც სამი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედლით გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს. პირველზე, რა თქმა უნდა, რუსეთის ნაკრები გავიდა, ხოლო მესამეზე - ბელორუსისა. გუნდური შედეგები დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებშიც შესაბამისი თანმიმდევრობით განაწილდა: ახალგაზრდებმა ორ-ორი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. გუნდურში სხვაობა მხოლოდ ისაა, რომ მესამე ადგილზე გასული ბელორუსი უკრაინასთანაა თანაზიარი. რაც შეეხება დიდებს, მათ მხოლოდ ერთი ჩემპიონი ჰყავთ. აქვთ ერთი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი.

მოგვიანებით იაძემ აღიარა: მიკვირს, ექვსი მედალი როგორ ავიღეთო. შედეგებს ქვევით გაეცნობით. ახლა კი იმაზე, თუ რა ხდებოდა კულისებში. აქ ევროპის სამბოს ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებისთვის ემზადებოდნენ. კანდიდატურა ორი ყოფილა. შესაძლოა, ამაზე არც გაგვემახვილებინა ყურადღება, მაგრამ, ერთ-ერთი კანდიდატი საქართველოდან საბერძნეთში გადახვეწილი მერაბ ილიადისია (გარაქლოვი). ის ახლა საბერძნეთის სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი და საბერძნეთის ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელია.

ოლეგ იაძე ევროპის სამბოს პრეზიდიუმის წევრად იქნა არჩეული და საპრეზიდენტო არჩევნებში ორი მანდატით სარგებლობდა. ბუნებრივია, იფიქრებთ, ვის მიცემდა იაძე ხმას, თუ არა მერაბ ილიადისსო, მაგრამ...

მეორე კანდიდატი რუსი სერგეი ელისეევი გახლდათ და, როგორც შევიტყვეთ, საკმაოდ შთამბეჭდავი პროგრამითაც წარმდგარა ამომრჩეველთა წინაშე. ერთი სიტყვით, ელისეევის არჩევის შემთხვევაში, როგორც იაძემ განმარტა, სამბო წინ წაიწევდა. თუმცა, მოხდა ისე, რომ იაძე არჩევნებს გაერიდა. "თუ არჩევნებში მივიღებდი მონაწილეობას, მერაბისთვის უნდა დამეჭირა მხარი. თუ რატომ, ეს კითხვა უადგილოცაა. არადა, სამბოსთვის ელისეევის კანდიდატურა უფრო მისაღები იყო. ილიადისს ვუთხარი კიდეც, ელისეევი უფრო მეტს გააკეთებს საბოსთვის-მეთქი".

ერთი სიტყვით, არჩევნებმა იაძის გარეშე ჩაიარა და ელისეევმა ერთი ხმით აჯობა მერაბ ილიადისს. და მაინც, რით იყო გამორჩეული აწ უკვე ევროპის სამბოს ფედერაციის პრეზიდენტის პროგრამა ასე მიმზიდველი? ისევ იაძისგან ვიგებთ, რომ მომავალ ევროპის ჩემპიონატებზე გამარჯვებულები პრემიის სახით 10 ათას დოლარს მიიღებენ, რაც სამბოსთვის, მართლაც, მნიშვნელოვანი დახმარება იქნება.

ახლა იმათი ვინაობაც შევიტყოთ, ვინც ლიტვაში მედლები დაისაკუთრეს.

ჭაბუკებში ჩემპიონები გახდნენ: დავით ასუმბიანი, იოსებ კუმლაძე და ლომერ ჟორჟოლიანი. ვერცხლი: ლევან ქოჩაევი. ბრინჯაო: ლევან ფერაძე და მიშა თურქაძე;

ახალგაზრდებში ჩემპიონები არიან: გიორგი ბაინდურაშვილი და ლევან წიკლაური. ვერცხლი: ლევან მარკოზიშვილი და იმედა გორგოძე. ბრინჯაო: ნუკრი ბერაია;

მთავარი ნაკრებიდან ჩემპიონობა მოიპოვა გელა ბარათაშვილმა. სხვათა შორის, ამ გამარჯვებისთვის ბარათაშვილს სულ მალე ერთოთახიან ბინას მისცემენ.

ვერცხლი: მამუკა კურდღელაშვილი. ბრინჯაო: არჩილ ჩოხელი, უშანგი კუზნაშვილი, ზვიად ჩინჩალაძე და ნუკრი ბიბილაშვილი.

TV-სპორტი

### სამშაბათი. 1 ივნისი

**НТВ+ФУТБОЛ**

08:30 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
09:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ერლ მონრო
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "იუვენტუსი" - "რომა"
15:00 ფუტზალი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. საკვალიფიკაციო ეტაპი
16:00 ესპანეთის ჩემპიონატი. შედეგები
17:00 თავისუფალი დარტყმა
17:15 განვლილი სეზონის გახსენება. პორტუგალიის ჩემპიონატი. "პორტუ" - "სპორტინგი"
19:00 ფუტზალი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ფინალი
20:00 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
20:30 თავისუფალი დარტყმა
20:45 სახვალიო ტელეპროგრამა
20:55 გერმანიის ჩემპიონატი. შედეგები
21:55 განვლილი სეზონის გახსენება. ჰოლანდიის ჩემპიონატი. "ფეიენოორდი" - პსვ
23:40 ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ ნაკრებთა შორის გერმანიაში. იტალია - ხორვატია. პირდაპირი ტრანსლაცია
01:40 ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ ნაკრებთა შორის გერმანიაში. ბელორუსი - სერბეთი და მონტენეგრო
03:25 03:25-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. დღიური
05:00 NBA TV. აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალი. "DETROIT PISTONS" - "INDIANA PACERS" . მე-6 თამაში. პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**

11:00, 14:00, 17:20, 20:00 პრესცენტრი
11:20, 20:15 "ოლიმპის შვილები"
11:25, 14:15 "ფორმულის ჰარმონია"
11:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. "როლან გაროსი"
14:35 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. მე-4 მატჩი
16:50 ჭადრაკი. ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ელისტაში
17:35 "ორშაბათამდე მივატანთ"
18:05 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
18:35 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
19:05 "მხურვალე ქვიშა"
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. მე-4 მატჩი. შესვენებისას (21:30) - პრესცენტრი
23:00 ჭადრაკი. ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ელისტაში
23:30 ბრძოლა წესების გარეშე. "Ultimate Fighting Championship"
00:50 ამერიკული ფეხბურთი. ევროპული ლიგის ჩემპიონატი. "RHEIN FIRE" - "FRANKFURT GALAXY". შესვენებისას (01:20) ახალი ამბები

**EUROSPORT**

11:30 მულტისპორტი
12:00 მულტისპორტი
12:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
14:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი ევრო-2004 - ამხანაგური მატჩი
15:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
23:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
00:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
01:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
02:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
02:30 ახალი ამბები
02:45 ნასკარის ავტორბოლა. Nextel-ის თასი
03:45 ინდიკარის ავტორბოლები. ინდიკარის სერიათა ეტაპი აშშ-ში
04:00 ფეხბურთი. უეფას ისტორიები

## პეჟო 207 მერმის გამოჩნდება

მიუხედავად იმისა, რომ სუბკომპაქტური მოდელი "პეჟო 206" დღეისათვის დამაჯერებლად ლიდერობს ევროპულ ავტობაზარზე, ფრანგული კომპანია მას უახლოეს მომავალში მაინც უპირებს შეცვლას – 2005 წლიდან დაიწყება ამ სერიის სრულიად ახალი მოდელის, 207-ის გაყიდვები.

ბოლოდროინდელ ტრადიციას, რაშიც დაბალი კლასის ავტომობილების ზომების ზრდა იგულისხმება, არც "ფრანგული ლომები" დაარღვევენ – "პეჟო 207" ზომებში საგრძნობლად გაიზრდება, რაც დადებითად აისახება როგორც ავტომობილის ინტერიერის მოცულობაზე, ასევე მის მანევრულობაზეც მაღალი სიჩქარით მოძრაობისას.

პირველ რიგში, ბაზარზე გამოვა სამ და ხუთკარიანი ჰეტჩბეკები, 2006 წლიდან კი მყიდველს შესთავაზებენ უნივერსალსა და კუპე-კაბრიოლეტს. გარეგნულად ეს ავტომობილები ახალ "პეჟო 407"-ს დაემსგავსებიან, რომლის დებიუტიც შარშან, ფრანკფურტის ავტოსალონზე შედგა. პირველ რიგში, მსგავსება შეეხება გაზრდილი ზომის სათავო მაშუქებს, ასევე გაზრდილ ჰაერისამღებს წინა ბამპერში, საიდანაც ჰაერი გასაგრილებლად რადიატორს მიეწოდება.

გარდა ამისა, თუ გერმანულ ჟურნალ "აუტო მოტორ უნდ შპორტს" დავუჯერებთ, სერიის გამაში მოსალოდნელია კიდევ ერთი სიახლე ერთმოცულობიანი ავტომობილის სახით, რომელიც კონკურენციას გაუწევს ისეთ ავტომობილებს, როგორებიცაა "ოპელ მერივა", "ფიატ იდეა" და ერთმოცულობიანი "რენო კლიო", რომლის ახალი თაობის ავტომობილის დებიუტიც უახლოეს მომავალშია მოსალოდნელი.

აღსანიშნავია, რომ "პეჟო სეზამის" სახელით, მომავალი სიახლის პროტოტიპი შარშანდელ ავტოსალონებზე უკვე გაეცნო მომავალ მყიდველს. ამასთან, ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა, ახალ ლომს რა ინდექსს მიუწერენ – გამორიცხული არაა, რომ 207-ის ნაცვლად გამოყენებულ იქნას ინდექსი 208.

## მინივენი ბავარიიდან

კონცერნ "ბეემვეს" მმართველობის თავმჯდომარე ჰელმუტ პანკეს განცხადებით, "ბეემვეს ხელმძღვანელობა განიხილავს მინივენის კლასის ავტომობილის შექმნის შესაძლებლობას". "ბაზრის ეს სეგმენტი ჩვენთვის მეტად მიმზიდველია, თუმცა წინასწარ შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენი მინივენი "ბეემვესთვის" დამახასიათებელ თვისებებს შეინარჩუნებს", - ამბობს პანკე.

მისივე სიტყვებით, გამორიცხული არაა, რომ მინივენი მე-5 სერიის უნივერსალის პლატფორმაზე დამზადდეს. ამასთან, აქციონერთა მორიგ შეკრებაზე კომპანიის ხელმძღვანელმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ბავარიელებს თავიანთი სამოდელო გამის საგრძნობი გაფართოება აქვთ განზრახული, რაც საბოლოოდ, თითქმის ყველა კლასის ავტომობილების წარმოებას ითვალისწინებს.

ცნობისათვის, მარტის დასაწყისში, კომპანიის მმართველობის წინაშე წარმოდგენილ იქნა 16 კონცეპტუალური მოდელი, რომელთა შორისაც ერთმოცულობიანი მინივენიც იყო. მოდელების ჩვენება განხორციელდა კომპანიის დიზაინ-ცენტრში, რომელიც ეკრანირებულ და შპიონაჟისგან კარგად დაცულ შენობაშია განთავსებული. მსოფლიოს საავტომობილო პრესაში გავრცელებული "ბეემვეს" მინივენის ფოტო კი მომავალი სიახლის კომპიუტერულ ვარაუდს წარმოადგენს და, შესაძლოა, ძლიერ განსხვავდებოდეს ბავარიელთა ქმნილებისგან.

პერსპექტივაში, "ბეემვეს" მინივენი კონკურენციას გაუწევს პირველ რიგში "მერსედეს-ბენცის" მინივენებს, "ვანეოსა" და "ვიტოს". ამასთან, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ბავარიული მინივენი არ იქნება საოჯახო ავტომობილი და გააგრძელებს "დრაივერ-კარულ" ტრადიციებს, რომლებსაც რამდენიმე ათეული წელიწადია, მკაცრად იცავს "ბაიერიშე მოტორენვერკე".

## „მაზერატი" ახალ კუპეს ამზადებს



მაზერატი კუპეს მალე შემცვლელი გამოუჩნდება

წარმოებისთვის თითქმის უკვე მომზადებულია და სრულყოფის უკანასკნელ ფაზაში იმყოფება სუპერავტომობილების იტალიური მწარმოებელ "მაზერატის" მორიგი სპორტული ავტომობილი, რომლის გაყიდვების დაწყებაც 2005 წლის ბოლოსთვისაა მოსალოდნელი. წინასწარი მონაცემებით, ამ ახალი ავტომობილით კომპანია უკვე მოძველებული "მაზერატი სპაიდერსა" და "მაზერატი კუპეს" შეცვლას აპირებს.

ინგლისური პრესის ინფორმაციით, ახალი ავტომობილის ბაზად გამოყენებულია სედან "მაზერატი კვატროპორტეს" შემოკლებული პლატფორმა, რომელზეც შესაძლებელია სრულმოდებიანი (ოთხივე წამყვანი თვლით) სისტემის დაყენება. სიახლე დაკომპლექტდება "ფერარის" წარმოების (მაზერატი ფერარის ნაწილია) მოდერნიზებული V8 აგრეგატით, რომლის მუშა მოცულობა 4.2-დან 5 ლიტრამდე გაიზრდება, სიმძლავრე კი 470 ცხენის ძალას მიაღწევს. მასთან შეწყვილდება სეკვენტალური (ისეთი, როგორიც ფორმულა 1-ის ბოლიდებზე გამოიყენება) გადაცემათა კოლოფი, რომლის საფეხურებსაც მძღოლი საჭის რგოლზე განლაგებული ღილაკებით შეცვლის. ავტომობილი აღიჭურვება "მაზერატისვე" წარმოების დაკიდების სისტემით სახელად "სკაიჰუკ", რომელიც წინასწარ მოდერნიზაციას გაივლის.

ახალი ავტომობილის რამდენიმე საცდელი ვარიანტი უკვე გადის წინასწარ გამოცდებს გერმანიის "ნურბურგრინგისა" და "ფერარის" კუთვნილ ავტოდრომზე, რომელიც ქალაქ ფიორანოში მდებარეობს. ამასთან, ტესტები დახურულია, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ დროს ტრასაზე მედიას არ უშვებენ.

## „ლამბორგინი გაიარდო" იტალიური პოლიციისთვის




ლამბორგინი გაიარდო პოლიციისთვის

იტალიის სახელმწიფო პოლიციის 152 წლისთავთან დაკავშირებით, კომპანია "ლამბორგინიმ" დაამზადა თავის სუპერკარ "გაიარდოს" სპეციალური, პოლიციური ვერსია, რომელიც სამართალდამცველებს სარგებლობისთვის გადაეცათ.

ეს ავტომობილი გარეგნობით თავისი სამოქალაქო ნათესავისგან პირველ რიგში, ფერით განსხვავდება – იგი პოლიციურ ფერში, ლურჯადაა შეღებილი. ამასთან, სპეციალური სუპერკარის თავზე დამაგრებულია საპოლიციო მაშუქები. სამაგიეროდ, არაფერი შეცვლილა ავტომობილის ტექნიკურ აღჭურვილობაში – მის გულად მწარმოებელმა დატოვა ათცილინდრიანი, ხუთლიტრიანი ძრავა, რომლის სიმძლავრეც 500 ცხენის ძალაა.

გარდა ამისა, საპოლიციო "გაიარდო" რიგი დამხმარე საშუალებებითაც აღიჭურვა. მათ შორისაა სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის აუცილებელი საშუალებები, თანამედროვე სანავიგაციო სისტემა და კავშირის სისტემა, რომელიც გლობალური პოზიციონირების სისტემის სათანამგზავრო კავშირის გამოყენებით, ცენტრს გადასცემს არა მხოლოდ სხვადასხვა მონაცემებს, არამედ ვიდეოგამოსახულებასაც.

ამ უჩვეულო სუპერკარის ექსპლუატაცია მოხდება ჩქაროსნულ ავტომაგისტრალებზე, რომელთათვისაც განკუთვნილია "გაიარდო". გარდა ამისა, ეს ავტომობილი შეიძლება გამოყენებულ იქნას ტრანსპლანტაციისთვის აუცილებელი ორგანოების სასწრაფო ტრანსპორტირებისთვისაც, რისთვისაც იგი აღჭურვილია სპეციალური სამაცივრო დანადგარით.

# სარბოლი ბოლიდი სამოქალაქო სარგებლობისთვის

კონცერნმა "დაიმლერკრაისლერმა" ოფიციალურად გამოაცხადა, რომ შემოდგომიდან შეუდგება სუპერკუპე "მერსედეს CLK DTM"-ის წარმოებას, რომელმაც სახელი გაითქვა გერმანიის ტურიზმის კლასის ავტომობილების ჩემპიონატში (DTM – დოიჩე ტურენვაგენ მაისტერშაფტ).

როგორც ირკვევა, სერიული ავტომობილები დაგეგმილთან შედარებით აგრესიულები იქნებიან. ეს აგრესიულობა, პირველ რიგში, ავტომობილის გარეგნობაში აისახება – იგი გაჭრილი ვაშლივით ჰგავს თავის სპორტულ თანამოძმე ჩემპიონს. რაც მთავარია, ამ სუპერკუპეს კაპოტქვეშ განლაგებულია კომპრესორით აღჭურვილი V8, რომლის მუშა მოცულობა 5.5 ლიტრს შეადგენს, სიმძლავრე კი 582 ცხენის ძალაა.

ძრავის მაქსიმალური მაბრუნი მომენტი 800 ნმ-ა (!), რომელიც უკანა, წამყვან თვლებს ნახევრადავტომატური გადაცემათა კოლოფის (AMG სპიდშიფტ) გავლით გადაეცემა. კოლოფის საფეხურების ცვლა საჭის რგოლზე განთავსებული ბერკეტების მეშვეობით ხორციელდება, როგორც სარბოლ ავტომობილებში (ანალოგიური სისტემა გამოყენებულია ფორმულა 1-ში "მერსედესის" პარტნიორ გუნდ "მაკლარენის" ბოლიდებში). მაბრუნ მომენტს წამყვან თვლებს შორის ანაწილებს გაძლიერებული ტრანსმისია, რომელსაც თვითბლოკირებადი დიფერენციალი გააჩნია.



მერსედეს CLK DTM

ამ აგრეგატებით აღჭურვილი "მერსედეს CLK DTM" ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის აკრეფას სულ 3.9 წამში ასწრებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი ხელოვნურადაა შეზღუდული 320 კმ/სთ-ით!

სუპერკუპეს შექმნაზე ერთობლივად მუშაობდნენ "მერსედეს-ბენცის" პარტნიორი და მისივე მფლობელობაში შემავალი სატუნინგო კომპანია AMG და "მერსედესისვე" პარტნიორი, საქარხნო სპორტული გუნდი H.W.A., რომელიც DTM–ის რბოლებისთვის ამზადებს შესაბამისი კლასის სარბოლ ტექნიკას.

რა თქმა უნდა, ქალაქის ქუჩებში ამ "ჯიშიან ცხენს" არაფერი ესაქმება. მისი მფლობელები ამ ავტომობილს დახურულ ტრასებზე, საკლუბო რბოლებში თუ გამოიყენებენ. თუნდაც იმიტომ, რომ ავტომობილის დაკიდების სისტემაც სარბოლი გზების შესაბამისადაა დაპროექტებული. დაკიდებაში გამოყენებულია ზეხისტი ზამბარები და ამორტიზატორები, ტიტანისა და კომპოზიციური მასალებით დამზადებულია სამუხრუჭე სისტემები. გზის საფართან მაქსიმალურ ჩაჭიდებას უზრუნველყოფენ 19 და 20-დუიმიანი თვლები, რომლებიც შემოსილნი არიან ვიწროპროფილიანი, სპეციალური პლასტიკატით დამზადებული საბურავებით.

სალონშიც ყველაფერი სპარტანულ-სპორტულია – აქაა სპორტული სავარძლები, რომლებიც უსაფრთხოების ოთხწერტილოვანი ღვედებითაა აღჭურვილი, საჭის სპორტული რგოლი, ნახშირბადოვანი კომპოზიტით დამზადებული პანელები. ძრავის გაშვება სპეციალური ღილაკით ხორციელდება, რომელიც საჭის სიახლოვეს, მოხერხებულ ადგილას მდებარეობს.

რაღა თქმა უნდა, ამ ექსკლუზიურ ავტომობილებს კონვეიერზე არავინ გააჭაჭანებს. მათი აწყობა ხელით, სპეციალურ სტენდებზე მოხდება. შტუტგარტელები ირწმუნებიან, რომ სულ 100 ცალ "მერსედეს CLK DTM"-ს დაამზადებენ, რომელთა ფასიც დაახლოებით 240 000 დოლარი იქნება.

# ყველაზე დიდი ავტომობილი მსოფლიოში

ქალაქ მიუნხენში ჩატარებულ სამშენებლო დანადგარების გამოფენის დამთვალიერებელმა საკუთარი თვალით იხილა მსოფლიოს მერვე საოცრება – მსოფლიოში ყველაზე დიდი ზომისა და ტვირთამწეობის ავტომობილი, რომელიც მძიმე საგზაო ტექნიკის წარმოების მსოფლიო ლიდერმა, გერმანულმა კომპანია "ლიბერმა" წარმოადგინა.

გაიცანით, საკარიერო თვითმცლელი "ლიბერ T282B". ესაა სიგრძეში 14-მეტრიანი მონსტრი, რომელიც 222 ტონას იწონის და რომლის ძარითაც შესაძლებელია მოზრდილი სააგარაკე სახლის გადატანა. რაც მთავარია, ამ გიგანტს თავის წონასთან შედარებით თითქმის ერთნახევარჯერ მეტი ტვირთის გადატანა შეუძლია – ავტომობილის სასარგებლო ტვირთამწეობა თითქმის 360 ტონას შეადგენს.

შედარებისთვის, ჩვენთვის კარგად ცნობილი "ბელაზის" მიერ დამზადებულ ექსპერიმენტულ ავტომობილს სულ 220 ტონის გადაზიდვა შეუძლია. საერთოდ კი, ბელარუსული წარმოების საკარიერო მონსტრებით ერთ ჯერზე 40-დან 200 ტონამდე ტვირთის გადატანაა შესაძლებელი.

მაინც, რით ამზადებენ "ლიბერის" კონსტრუქტორები ამ ავტომობილებს, ესოდენ დიდ ტვირთს რომ ეზიდებიან? მათ საავტომობილო მრეწველობისთვის უნიკალური საკონსტრუქტორო გადაწყვეტა მოძებნეს: ყოველ ღერძზე ავტომობილს ორის ნაცვლად სამი გიგანტური თვალი გააჩნია, რომელთა სიმაღლეც გაბერილ მდგომარეობაში 3.5 მეტრს აღწევს. თვითმცლელის საერთო სიმაღლე 7 მეტრია და მის კაბინაში მოსახვედრად, მძღოლს სპეციალური კიბის 16 ვეება საფეხურის ავლა უწევს.




ყველაზე დიდი ავტომობილი მსოფლიოში ლიბერ T282B

გერმანული პრესის ცნობით, "ლიბერმა" ეს გიგანტი ავსტრალიური, სამხრეთაფრიკული და კანადური სამთო-მომპოვებელი კომპანიების შეკვეთით დაამზადა. ამასთან, წინდაწინ განსაზღვრულია, რომ T282B გამოუსადეგარია ევროპული ანალოგიური პროფილის კომპანიებისთვის, რადგან "ძველ სამყაროში" მათი გადაადგილებისთვის გამოსადეგი გზები არ მოიპოვება.

T282B არის არა მხოლოდ ყველაზე დიდი, არამედ ასევე ყველაზე მძლავრი ავტომობლი. იგი აღჭურვილია მსოფლიო ავტომრეწველობისთვის უნიკალური, 20-ცილინდრიანი, დიზელის აგრეგატით, რომლის სიმძლავრეც 3650 ცხენის ძალას აღწევს. შედარებისთვის, 1986 წელს, კომპანია "ბეემვეს" მიერ ფორმულა ერთისთვის მომზადებული 1.5 ლიტრი მუშა მოცულობის მქონე ოთხცილინდრიანი ტურბომოტორის საკვალიფიკაციო ვარიანტის სიმძლავრე 1500 ცხენის ძალაზე მეტი იყო, თუმცა მისი რესურსი 15 წუთს არ აღემატებოდა.

მსოფლიოში ყველაზე დიდი საკარიერო თვითმცლელის ღირებულება 2.5 მილიონი ევროა. სამაგიეროდ, T282B ჩვეულებრივ ავტომობილებს ერთი პარამეტრით მაინც ჩამოუვარდება – მისი მაქსიმალური სიჩქარე მხოლოდ 64 კმ/სთ-ია.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი – მიუნხენის საგამოფენო პავილიონში T282B "საკუთარი ფეხით" არ მისულა, იგი იქ ნაწილ-ნაწილ მიიტანეს 5 სატრანსპორტო საშუალებით და ადგილზე ააწყვეს. რა თქმა უნდა, პრესამ შანსი ხელიდან არ გაუშვა და ავტომობილს "სამყაროს მერვე საოცრება" უწოდა.

# "ბუგატის" ამერიკელი კონკურენტი

სანამ "ფოლკსვაგენი" წარმოებისთვის ამზადებს თავის სუპერკარს სახელად "ბუგატი ვეირონ", ამერიკელები უკვე სთავაზობენ მყიდველს ავტომობლს, რომელიც გერმანული კონცერნის მიერ შეთავაზებულ მონსტრს მხოლოდ ფასით თუ ჩამოუვარდება.

ამერიკული პატარა კომპანია SSC სულ რაღაც 239 ათას დოლარად, წინასწარი შეკვეთის შემთხვევაში, დაგიმზადებთ სუპერკარ "SSC აერო SC/T8"-ს, რომელიც, თუ მწარმოებელს დავუჯერებთ, 400 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს, ზუსტად იმდენს, რამდენსაც "ბუგატი ვეირონი", ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელის მაქსიმალური სიჩქარე ხელოვნურადაა შეზღუდული.

ამერიკულ სუპერავტომობილს ჟანრის შესაფერისი შეთანწყობა გააჩნია – მძღოლის სავარძლის უკან, ბაზაში განთავსებულია V8 აგრეგატი, რომლის მუშა მოცულობა 6.187 ლიტრია, მაქსიმალური სიმძლავრე კი მუხლა ლილვის 6 600 ბრ/წუთზე 782 ცხენის ძალას აღწევს (ვეირონის სიმძლავრე 997 ცხენის ძალაა). 5 800 ბრ/წუთზე ძრავის მაქსიმალური მომენტი 860 ნმ-ია და ეს მომენტი წამყვან, უკანა თვლებს 7-საფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფის გავლით მიეწოდება.

"SSC აერო SC/T8" სპორტული ზომებითაც გამოირჩევა. მისი სიგრძე 4.47 მეტრია, სიგანე – 2.08 მეტრი, სიმაღლე კი – 1.09 მეტრი. წინა, 18-დუიმიან და უკანა, 19-დუიმიან თვლებს შორის დაშორება (თვლების ბაზა) 2.6 მეტრია. თვლები შემოსილნი არიან ვიწროპროფილიანი საბურავებით, რომელთა ზომებია 245/45 (წინ) და 345/30 (უკან). თვლების შიგნით განთავსებულია 14-დუიმიანი (!) სამუხრუჭე დისკოები და 6-ცილინდრიანი სამუხრუჭე საყრდენები (სუპორტები).



SSC აერო SC/T8 ბუგატის ამერიკელი კონკურენტია

ავტომობილის ძარა დამზადებულია შუშა-კარბონისა და კევლარის კომპოზიციური მასალებით და ეყრდნობა სივრცით ჩონჩხს, რომელიც უჟანგავი ფოლადისგან დამზადებული უნაკერო მილებითაა შეკრული და იმავე კომპოზიციური მასალებით არმირებული. ავტომობილის დიზაინში იგრძნობა "ლამბორგინის" აშკარა გავლენა, თუმცა მასთან საერთო თითქმის არაფერი აქვს.

სალონში თვალშისაცემია უსაფრთხოების რკალები, რომლებიც, ისევე როგორც ფორმულა 1-ის სარბოლ ავტომობილებში, სავარძლების უკანაა განთავსებული. მძღოლის "სამუშაო" ადგილიც სარბოლი ბოლიდის კოკპიტს მოგვაგონებს სარბოლი ავტომობილისთვის დამახასიათებელი სავარძლით, სარბოლი საჭის რგოლით და მწირი, თუმცაღა ძვირფასი ტყავით გაწყობილი დაფით, რომელზეც მხოლოდ ის ხელსაწყო-მაჩვენებლებია განთავსებული, რომლებიც ავტომობილის აგრეგატების გამართული მუშაობისთვის თვალყურის დევნებისთვისაა აუცილებელი. ამასთან, სპიდომეტრის მაქსიმალური მაჩვენებელი 420 კმ/სთ-ია, ტახომეტრისა კი – 8000 ბრ/წთ.

თუმცა, მწარმოებელმა აბსოლუტური სპარტანულობისგან მაინც შეიკავა თავი – მძღოლის და მისი ერთადერთი მგზავრის გასართობად სალონში განთავსებულია ციფრული მაგნიტოფონი DVD-სისტემით და 10 (!) დინამიკით. ცენტრალურ პანელზე დამონტაჟებულია 7.5-დუიმიანი ეკრანი, რომელიც უერთდება როგორც ვიდეოპლეერს, ასევე კომპიუტერს. ავტომობილი, ასევე, აღჭურვილია კონდიციონერით, უკანა ხედვის ელექტრო-რეგულატორებით და გვერდითა შუშების ელექტროამწევებით, რაც ამ კლასის ავტომობილისთვის სულაც არაა საჭირო, მაგრამ არც ხელს შეუშლის მის პატრონს.

# არ დავივიწყოთ ჩვენი ფესვები

## ანუ ქართული ფოლკლორის სადარაჯოზე

ნანა ბასილაშვილი

დღეიდან, მთელი კვირის განმავლობაში თბილისში ქართული ფოლკლორის ზეიმი ეწყობა. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა "ფოლკ ფესტივალის" "სათაურით" მოიხსენიება და ლოგიკურად მისთვის ყველაზე შესაფერის ადგილას, ეთნოგრაფიის მუზეუმში (გიორგი ჩიტაიას სახელობის ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმში) იმართება.

სათქმელი საკმაოდ ბევრია, განსაკუთრებით, ევრო-ამერიკული პოპ-კულტურისაგან გაბეზრებული არა ერთი ქართველი მსმენელისთვის, თუმცა - არა მხოლოდ მათთვის. ეროვნულ თუ ტრადიციულ საწყისებზე აღმოცენებული მისია არასამთავრობო ორგანიზაცია "თემის დაცვისა და კულტურული განვითარების კავშირმა" აიღო თავზე. ამ კავშირს საკმაოდ ცნობილი ადამიანები წარმოადგენენ: ზაზა კორინთელი, ნიაზ დიასამიძე, გიორგი ბარამიძე, უცნობი და სხვანი. ფოლკლორის ფესტივალი Art-გენი სწორედ ამ ადამიანების უშუალო მეცადინეობით ეწყობა. მათ საქართველოს, თითქმის, ყველა კუთხე, შეიძლება ითქვას, თითოეული ოჯახი მოიარეს, შეძლებისდაგვარად, სრულყოფილად წარმოედგინათ ჩვენი ტრადიციული ქართული ფოლკლორი; და, რაც ყველაზე მთავარია, აუდიო თუ ვიდეო ჩანაწერების საშუალებით, გააუკვდავყონ ისინი. ფოკლორის ფესტივალის ძირითადი მიზანი სწორედ აუდიო და ვიდეო არქივის შექმნაა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში არსებული ძირძველი ტრადიციების შენარჩუნებას.




მარიკა ამურველაშვილის ფოტო

"Art გენის" ორგანიზატორები

იმის გარდა, რომ ქართული ფოლკლორი "აღმოჩენილ" ოჯახებში ადგილზე, მათ მარნებსა თუ ეზო-კარმიდამოში, ყოველდღიური ყოფაცხოვრების ფონზე აღბეჭდეს, დღეიდან შვიდი დღის განმავლობაში მათ დედაქალაქში მრავალათასიანი მაყურებელი ცოცხლად მოუსმენს. კახეთი, გურია, სამცხე-ჯავახეთი, ლეჩხუმი, სვანეთი, თუშეთი, თიანეთი, სამეგრელო, აჭარა, ლაზეთი, რაჭა, იმერეთი, ფშავ-ხევსურეთი - ამ კუთხეების წარმომადგენლები ფოლკორის ფესტივალზე გიმასპინძლებენ. ძნელად წარმოსადგენი, ალბათ, არ არის, რომ ამ საშვილიშვილო საქმის შესრულება მაინცდამაინც ადვილი არ უნდა ყოფილიყო. თუმცა, დღეს ფოლკლორის ფესტივალი გახსნილად გამოცხადდება, სადაც თქვენ მოგეცემათ უნიკალური საშუალება, მოუსმინოთ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ შემსრულებლებს (თითოეული რაიონის 4-5 ოჯახს), რომლებიც დღემდე ინახავენ ოჯახური ფოლკლორის ტრადიციებს.

საფესტივალო სამზადისის შესახებ მისმა ორგანიზატორებმა საბოლოო ანგარიში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე წარმოგვიდგინეს. ქართული ტრადიციული, ოჯახური ფოლკლორის ფესტივალის ინიციატორებსა და ორგანიზატორებს საქართველოს სხვადასხვა რაიონებში რამდენიმე კვირიანი გასვლები ჰქონდათ, - "მინდა, გაგახაროთ და გითხრათ, რომ ვსტუმრობდით ძალიან ლამაზ ოჯახებს, სადაც ქართული სიმღერა შენარჩუნებულია როგორც ცხოვრების წესი და არა - როგორც განყენებული ცნება. ამას განსაკუთრებული დაცვა სჭირდება, ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ქართული ფოლკლორი ძეგლთა დაცვის პრიორიტეტია. სწორედ ამ ოჯახის წარმომადგენლები დღეს თავად წარმოგვიდგენენ ჩვენს განძს. ფესტივალში მონაწილეობენ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები. ყველაზე უფროსებს კარგად ახსოვთ თავიანთი წინაპრების ფოლკლორი, რომელიც სათავეს მეცხრამეტე საუკუნიდან იღებს".

ფოკლორის ფესტივალზე აქტუალური და პრიორიტეტული, რასაკვირველია, ქართული ფოლკლორია, მაგრამ ამავე დროს აქ წარმოდგენილი იქნება ქართული საბავშვო თამაშები და ქართული რეწვის არაერთგვაროვანი ნიმუშები, ფარდაგებიდან და ხალხური რეწვით დაწყებული, კერამიკით დამთავრებული, რომელიც, სხვათა შორის, ადგილზევე, მაყურებლის თვალწინ დამზადდება. ფოკლორის ფესტივალში მონაწილეობას ღებულობენ ქართული საბრძოლო ხელოვნების წარმომადგენლებიცა და ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებიც: "ლაშარი", "ურმული", "ხრიდოლი", "სუხიშვილები", სხვადასხვა თეატრი (მოძრაობის თეატრი, თითების თეატრი, ზღაპრის თეატრი, მარიონეტების თეატრი). ყოველ საღამოს დაასრულებს თანამედროვე ფოლკლორული ჯგუფები (Soft-eject, "მწვანე ოთახი", ბაკურ ბურდული, ნინო ქათამაძე - "ინსაითი", "ზუმბა", "33ა"), რომლებიც, როგორც აღვნიშნე, ამ ფესტივალის უშუალო ორგანიზატორები არიან.

"ფესტივალის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ეთნოგრაფიის აღორძინება, საზოგადოების ყურადღების მიპყრობა. ეთნოგრაფიის მუზეუმი საშუალებას გვაძლევს, ჩვენს ახალგაზრდა თაობას გადავცეთ ძირძველი ტრადიციები; ამდენად, ვეპატიჟებით ოჯახებს სრული შემადგენლობით", - ამბობს ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი გიორგი ბარამიძე.

"ამ მოძრაობის სავიზიტო ბარათია საკუთარი გენის პატივისცემა და მისი განვითარების ხელშეწყობა. ეს არის ხაზგასმული პრინციპი იმისა, რომ თუკი ჩვენ ვზრუნავთ მომავალზე და გვსურს, რომ ჩვენი ხვალინდელი დღე უფრო ხალისიანი, წარმატებული და პროგრესული იყოს, პირველ რიგში, უნდა დავიწყოთ იმ ფესვების გასუფთავება, რომლებსაც ირგვლივ სარეველა ახვევია, რათა საზრდო გვქონდეს ხვალინდელი დღისათვის. ეს ფესტივალიც უპრეტენზიო, მოკრძალებული განაცხადია იმ საქმეში, რასაც საკუთარი კულტურის, ტრადიციების, ეროვნული ღირსების და, უბრალოდ, ადამიანური ურთიერთობის პატივისცემა ჰქვია.

რაც შეეხება შედეგებს, უნდა გაგახაროთ, რომ ყველა კუთხეში, ასე თუ ისე, კარგად არის საქმე. მოგეხსენებათ, ბოლო წლების განმავლობაში სოციალურმა კრიზისმა ბევრ ოჯახზე გადაიარა და ამდენად, ბევრი შეგვხვდა ისეთიც, ვისაც, უბრალოდ, აღარ ემღერება. სწორედ ამ ხალხს სჭირდება მოფერება, თანადგომა და თქმა იმისა, რომ ჩვენ ისინი ძალიან გვჭირდება; და რომ ქართული ფოლკორის გადარჩენა თუ შენარჩუნება მათ ხელთაა. ფესტივალის კიდევ ერთი უმთავრესი მისია ის არის, რომ, როგორმე, ჩვენი მომავალი თაობა ღირსეულ ტრადიციებზე გაიზარდოს - იმ ღირსეულ ფესვებზე, რომელსაც ქართული არქაული შემოქმედება ჰქვია. და მესამე მთავარი მომენტი - ქართულ სიმღერის იმ თვისების აღდგენა, რომ იყოს ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი; როდესაც გიხარია, მღეროდე; სტუმარი მოგივა, მღეროდე; მუშაობდე, მღეროდე; და თუ ქართულმა სიმღერამ ეს ფუნქცია არ აღიდგინა, ხვალინდელი დღის შენებაზე ლაპარაკს არანაირი აზრი არ ექნება", - აღნიშნავს ზაზა კორინთელი და მეგობრებთან ერთად ქართული ფოლკორის სადარაჯოზე დგას.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

15 მაისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "უკვდავი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელელიპუცები" **19.10** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **23.00** ღამის კურიერი **23.50** მხ. ფილმი "ზღვის მბრძანებელი". მთ. რ-ში: რასელ ქროუ (15).

### TV5

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.15(შვეიცარია), 03.40(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **11.30** ქრონიკები მთიდან **12.05** ზიგზაგ კაფე. **13.15** აბუნა. მხ.ფილმი. რეჟისორი მაჰამტ-სალე ჰარუნი. 2001. **20.05** სამხრეთის ანარეკლი. მალი. **24.05** რადაც არ უნდა დამიჯეს, რეპორტაჟი. **05.20** მოკლე გზა. მხ.ფილმი. რეჟისორი კატერინ ბრელა.2001.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.20** სერიალი "რვაფეხა-3" **16.25** დოკ. სერიალი **17.00** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **17.30** "ამბობენ" (განმ.) **18.00** მომავლის სარკმელი **21.00** სერიალი "სოლედადი" **22.00** სერიალი "ფსიქ-ფაქტორი" **23.20** "მუსიკალური არჩევნები" **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "მარტოსული გმირი" (15)

### 202

**10.00** დებატები 202-ზე (განმ). **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "მეტრო" (12) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "უკან მომავალში" (მაიკლ ჯეი ფოქსი) (15) **17.00** საბ. ფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** ანიმ. ფილმი "დარდუბალა" **20.00** მხ. ფილმი "მონღოლები" (ჯეკ პელენსი) (გ) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "ფორმულა 51" (სემუელ ლ.ჯეკსონი) (18)

### მზე

**09.00** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "შოკის შემდეგ" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.10** მხ. ფილმი "სიჩქარე" (გ) (კიანუ რივზი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "20000 ლიე წყლის ქვეშ" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **17.35** მულტსერიალი "არგაი" **18.10** მულტსერიალი "კლიფორდი" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "ფოლადის გათიადი" (18) (პატრიკ სუეიზი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** პალიტრა **21.30** ისტორიანი **22.00** მხ. ფილმი "ერთადერთი გამოსავალი" (15)

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი **13.30** "საქმე და ეკონომიკა" **14.30** მხ. ფილმი "ზვიგენი" (15) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **23.00, 00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 11.20, 13.15, 17.20, 01.45** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.05** "იმედითა შენითა" **11.30** სპ. პროგრამა "გოლი" **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.15** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "ნირო ვულფის საიდუმლოება" **15.15** მხ. ფილმი "ასტერიქსი და ობელიქსი-მისია კლეპატრა" **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 00.55** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "პრინცესა ნერის თავგადასავალი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **21.30** ლარის მახე **23.00** "კანონის უზენაესობა" **23.30** მხ. ფილმი "დეტექტივთა კლუბი დაკარგული პრინცესას ძებნაში" (გ)

### იბერია

**08.00** დოკ. ფილმი **10.00** კონცერტი **13.00** მხ. ფილმი "ამაოების ბაზარი" (15) **14.10** დოკ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი "შიშისმომგვრელი ბაღები" **17.00** კონცერტი **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი "დიდი მანევრები" (ჟერარ ფილიპი) **21.00** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი "მოიშორო კარტერი" (18) (სტალონე)

### ОРТ

**07.00** "Доброе утро" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.30, 19.50 Сериал "КЛОН" 12.40** Дисней-клуб: "Мышиный дом" **13.20** Город женщин **14.20** Олег Басилашвили в фильме **"КУРЬЕР" 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** "Ералаш" **20.50** "Стирка на миллион" **21.00 Сериал "ДРУГАЯ ЖИЗНЬ"**. Закл. серия **22.00** Время **23.40** Премьера. "Зита и Гита. Год спустя". Док. фильм **00.30** Ночное "Время" **00.50** "Фабрика звезд" **01.10** "Подводный мир Андрея Макаревича" **01.40** "На футболе" **02.10** "Гении и злодеи" **02.40** Элайджа Вуд в фильме **"ОЛИВЕР ТВИСТ" 04.20** Софи Лорен в фильме **"ОТВАГА"**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ. **09.55 Сериал "ЛЮБОВЬ ВДОВЦА" 11.00** Сегодня утром. **11.25** "Их нравы" с Дмитрием Захаровым. **12.20** Ток-шоу "Страна советов". **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.10** "Сегодня" **13.30** Анатолий Котенев в фильме **"СЕКРЕТНЫЙ ФАРВАТЕР". 1 с. 15.05** Время есть. **15.35** Протокол. **16.35** Ток-шоу "Принцип домино". **18.30** "Дикий мир: борьба за выживание". "Кошки-убийцы". **19.35** Протокол. **20.40 "СЫЩИКИ-3: ДОЛГАЯ НОЧЬ МЕРТВЕЦА". 21.45** Сериал **"БАЛЬЗАКОВСКИЙ ВОЗРАСТ, ИЛИ ВСЕ МУЖИКИ СВО..." 10с. 23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела. **23.50 Сериал "ОДНАЖДЫ В КАЛИФОРНИИ". 2-я с. 00.55 Сериал "СЫЩИКИ-3". 02.35** Кома: это правда.

# კანიბალიზმი



მეთვრამეტე საუკუნეში ისე ხშირად ილუპებოდნენ გემები და ისე ხშირად რჩებოდნენ მეზღვაურები ყოველგვარი საკვების გარეშე, რომ კანიბალიზმი ამ წრეებში ერთობ გავრცელებული მოვლენა იყო. "ზღვის კანონად" ცნობილი ეს ჩვეულება, ეტყობა ლეგიტიმიური იყო, რადგან მეზღვაურებში შესაჭმელ ობიექტს კანონის დაცვით - ჩალის ღერების ამოღებით საზღვრავდნენ.

■ ■ ■

გაერთიანებულ სამეფოში ადამიანების ჭამა არ ითვლება დანაშაულად.

■ ■ ■

ჩინეთის ზოგიერთ რაიონში ნაყოფს, აბორტის შემდეგ ყიდიან როგორც საკვებს: ითვლება, რომ ეს სასარგებლოა კანისა და ღვიძლისათვის და მას წვნიანის სახით მიირთმევენ. ერთი ნაყოფის საშუალო ფასი დაახლოებით ერთი ფუნტი სტერლინგია.

■ ■ ■

საუნი ბინი, მისი ცოლი, 14 შვილი და 32 შვილიშვილი მეჩვიდმეტე საუკუნეში, გელოვეის გამოქვაბულში ცხოვრობდნენ. მთელი ოჯახი კანიბალები იყვნენ. ისინი წლიწადში 50 ადამიანს ჭამდნენ.

■ ■ ■

სანამ თავის მსხვერპლს შეჭამდა, ჯეფრი დამერი გვამთან ორალურ სქესობრივ კავშირს ამყარებდა.

■ ■ ■

ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა ზოგიერთ ტომში გავრცელებული რწმენის თანახმად, მტრის გულის ჭამა, მათ განსაკუთრებულ ძალას ჰმატებდა.

■ ■ ■

მეორე მსოფლიო ომში ლენინგრადის ბლოკადის დროს შიმშილობის გამო საფლავებიდან გვამების ამოთხრამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ სასაფლაოებზე სპეციალურ დაცვას აყენებდნენ.

■ ■ ■

პაპუა ახალ გვინეაში 1950-ან წლებში გავრცელდა დაავადება - ე.წ. "კურუ". ამის მიზეზი კი ის იყო, რომ იქ ქელეხებში მიცვალებულის ტვინს ჭამდნენ.

# სიახლე "კრისტიდან"

საქვეყნოდ არის ცნობილი თამბაქოს მაგნატის მემკვიდრის, დორის დიუკის კოლექცია, რომელსაც ერთ დროს "მსოფლიოში უმდიდრეს გოგონასაც" ეძახდნენ. ის, ძირითადად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიური და ისლამური ხელოვნებით იყო გატაცებული, უყვარდა ფრანგული და ინგლისური ავეჯი და დეკორაციები. ამ უძვირფასესი ნივთებით მისი ოთხი სახლი იყო მორთული, ნიუპორტიდან ჰავაიმდე. დორისი ყოველთვის საუცხოო სამკაულს ატარებდა – ზოგი ოჯახური მემკვიდრეობით ერგო, ზოგიც საგანგებოდ მისთვის შექმნეს. სიცოცხლის ბოლო წლებამდე აგროვებდა ძვირფას ღვინოებსაც. მსოფლიო ელიტარულ წრეებში ცნობილი ქალბატონი 1993 წელს 80 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი სიკვდილის ისტორია დღემდე ბურუსითაა მოცული და მსახურის სახელს უკავშირდება.

ამ ყველაფრის გახსენება აუქციონის სახლის "კრისტის" მესვეურებს 2-5 ივნისს დაგეგმილი აუქციონისთვის დასჭირდათ. ამ დღეებში როკფელერის ცენტრში გამართულ ღონისძიებაზე დორის დიუკის კოლექციის მნიშვნელოვანი ნაწილი გაიყიდება. აუქციონის ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ 1300 ლოტისგან შემდგარი საგანძური 15-20 მილიონი დოლარის მოგებას მოიტანს. "ვაშინგტონ პოსტის" შეფასებით, ასეთი შანსი აუქციონების მოყვარულებს სიცოცხლეში ერთხელ აქვთ. შემოსავალი მთლიანად დორის დიუკის საქველმოქმედო ფონდში გადაირიცხება (თვითონ "უმდიდრეს გოგონას" შვილები არ ჰყოლია). წარმოდგენილ ლოტებს შორის ყველანაირი ფასის ნივთის პოვნა შეიძლება – ყველანაირი გემოვნების დასაკმაყოფილებლად. აქ არის ჯორჯ მეორის ნაქონი ჩიპენდეილის სარკე (1752-53 წ.წ.), რომლის სავარაუდო ფასი 250-400 ათასი დოლარია; იმავე მეფის მოოქროვილი რვასანთლიანი შანდალი – სავარაუდო ფასით 150-250 ათასი დოლარი. ასევე უძვირფასესი ჭურჭელი, ბროლი, ვერცხლეული, ავეჯი, ხელოვნების ნიმუშები ხალიჩები და, რაც ყველაზე მთავარია, "ტიფანის" 19.7 კარატიანი ბრილიანტის ბეჭედი სავარაუდო ფასით 800 ათასიდან 1.2 მილიონ დოლარამდე.





1-ლი ქართული საერთაშორისო გამოფენა "მშენებლობა"

Georgia Build 2004

შერატონ მეტეხი პალასი

9-11 ივნისი

თბილისი, საქართველო

შესვლა უფასოა

ორგანიზატორები: ITE GROUP PLC, ITECA

ოფიციალური მხარდამჭერი:

Tel.: +995 32 552130 Fax: +995 32 552190
E-mail: office@ite.cdn.ge

თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

- იურიდიული (სამართლისმცოდნეობა)
- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
- ფინანსები და საბანკო საქმე

მისაღები გამოცდები ჩატარდება ტესტირების წესით.

ინსტიტუტში ლექციებს კითხულობენ ცნობილი მეცნიერები და პედაგოგები, პროფესორები ოთარ გამყრელიძე, იაკობ ფუტკარაძე, ნინო სავანელი, გრიგოლ თოდუა, შოთა ვეშაპიძე, მალხაზ ჩახნაშვილი, ნათია თურნავა და სხვები.

ინსტიტუტს გამოცემული აქვს შესაბამის კათედრებზე შედგენილი და სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული ორიგინალური სასწავლო პროგრამები.

ინსტიტუტთან არსებული ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა აცხადებს მიღებას VII-XI კლასებში.

მისამართი: ქ. თბილისი, ბროსეს 8
(46-ე საშუალო სკოლის შენობა)
ტელეფონები: 99 96 88, 8 99 51 80 84.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

**შპს "იბერია რეფრეშმენტსი", "პეპსი-კოლას"** ოფიციალური ბოთლერი საქართველოში სამუშაოდ იწვევს 25 წლამდე ასაკის მამაკაცებს, სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე. სამსახურში მიღება წარმოებს ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე.

**აუცილებელი მოთხოვნები:**
ა) ასაკი 25 წლამდე;
ბ) უმაღლესი განათლება;
გ) მართვის მოწმობა (სასურველია BC კატეგორია)

**დაინტერესებულმა პირებმა გამოაგზავნონ CV ფაქსის შემდეგ ნომრებზე: 241090, 758565**

**განცხადების მიღების მოლო ვადაა 31.05.2004**







## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.